საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

№272 (12 342) 21 ნოემბერი ოთხშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან
ფასი 50 თეთრი

ყაზბეგი



გუშინ, მიხეილ მესხზე. საქართველოსა და რუსეთის ახალგაზრდული ნაკრებების მატჩი. ფოტოზე გოლების ავტორები: ბექა გოცირიძე (10) და რევაზ ბარაბაძე (9)

## საქართველო 2
## რუსეთი 0

დღეს, 19:30. საქართველო-ლიტვა.

# მეხუთე ადგილისა და მეოთხე კალათისთვის



კლაუს ტოპმიოლერი დღეს თავის პირველ შესარჩევ ციკლს ასრულებს. კვირას მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის წილისყრაა

დღეს, ბორის პაიჭაძის ეროვნულ სტადიონზე საღამოს რვის ნახევარზე საქართველოს ნაკრები მიმდინარე შესარჩევი ციკლის დასკვნით მატჩს გამართავს. მიზანი ერთია - მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის წილისყრისთვის მეოთხე კალათში ყოფნა. ამის წინაპირობა რეიტინგში იმ ადგილის შენარჩუნებაა, რომელზეც ახლა ვიმყოფებით - ევროპულ გუნდებს შორის 35-ე ადგილზე ვართ, თითოეულ კალათში კი ცხრა გუნდია. მეოთხე კალათში ყოფნა კი იმადაა სარგო, რომ მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში სულ მცირე ორი გუნდი გვეყოლება რეიტინგში ჩვენზე დაბლა მყოფი ანუ, ფაქტობრივად, ჩვენზე სუსტი, რაც ჯგუფიდან გასვლის შანსებს გვიზრდის.

თავის მხრივ ამ ადგილის შესანარჩუნებლად სადღეისოდ სატურნირო ცხრილში ერთი საფეხურით წინ მდგომ ლიტვას 1:0 ან ნებისმიერი ორბურთიანი სხვაობით უნდა ვძლიოთ. 1:0 მოგების შემთხვევაში ლიტვასთან ურთიერთშეხვედრებში თანაბრად ვიქნებით (სტუმრად 0:1 გვაქვს წაგებული), სამაგიეროდ ბურთების სხვაობა გვექნება უკეთესი. ორბურთიანი სხვაობით მოგებისას კი უკვე ურთიერთშეხვედრებში ვაჯობებთ. ამის გაკეთება დღეს იოლი ნამდვილად არ იქნება. საქართველოს ნაკრებს ტრავმების გამო **ხიზანიშვილი, გოგუა** და **ჯაკობია** დააკლდებათ. **გრიგალაშვილი** კი დისკვალიფიკაციის გამო დაისვენებს.

მსოფლიო ჩემპიონატის წილიყრა დურბანში კვირას გაიმართება, ორი დღით ადრე კი ფიფა ახალ რეიტინგს გამოაქვეყნებს, საიდანაც გაირკვევა რომელ კალათში ვიქნებით. ჩვენი გადასწრების შანსი მაკედონიას აქვს, რომელმაც ხორვატიას მოუგო და დღეს ისრაელს ეთამაშება. თუმცა მაკედონიელთა გადასწრება წილისყრისთვის ვერაფერს შეცვლის, ევროპელთა შორის 36-ე ადგილიც მეოთხე კალათში მოხვედრის გარანტია. მთავარია, კიდევ სხვამ არ გადაგვისწროს.

# ფინალი: ლელო-ყოჩები, 25 ნოემბერს



გუშინ შევარდენზე. ყოჩებმა 18:9 დაამარცხა მოქმედი ჩემპიონი ლიგამუსი და საქართველოს ჩემპიონატის ფინალში ლელოს შეხვდება

ნუგზარ სუარიძის ფოტო

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდული ნაკრები

# პროგრესი, რომელიც ხალხმაც დაინახა

## რუსებს ისევ ხორვატით ვძლიეთ



ანგარიში რევაზ ბარაბაძემ გახსნა

ნუგზარ სუარიძის ფოტო

| საქართველო–რუსეთი | 2:0 |
|---|---|

20 ნოემბერი. თბილისი.
მ. მესხი. 2 000 მაყურებელი

1:0 ბარაბაძე (37), 2:0 ბ. გოცირიძე (82)

საქართველო: თევდორაძე – თომაშვილი, ლობჟანიძე, ლვინიანიძე, ნავალოვსკი – კლიმიაშვილი (90. თარგამაძე), ბჟალავა, ხიდეშელი, კობახიძე – ბარაბაძე (83. ელბაქიძე), ბ. გოცირიძე (88. დვალიშვილი)

*სათადარიგოები: ლორია, გვაძაბია, ბეგლარიშვილი, დაუშვილი*

რუსეთი: ჯანაევი – იატჩენკო, ლებედევი (68. ეფიმოვი), გრანატი, კუდრიაშოვი (72. სამსონოვი) – კ. კომბაროვი, შიშკინი (46. კოჟანოვი), ტარანოვი, დ. კომბაროვი – ფაიზულინი, პრუდნიკოვი

*სათადარიგოები: მ. კერჟაკოვი, ლუკანჩენკოვი, ნაგუმანოვი, ტიხონოვი*

გაფრთხილება: შიშკინი (25), ბჟალავა (34), ბარაბაძე (40), ლებედევი (40), ფაიზულინი (45), ეფიმოვი (76)

არბიტრი: მ. გერმანაკოსი (საბერძნეთი)

*"დღეს მთელმა საქართველომ გაიმარჯვა და არამარტო საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა"*, - თქვა მატჩის შემდეგ **პეტარ სეგრტმა** და მართალიცაა, ძნელია, გუშინდელი სიხარული ამაზე ნათლად და ლაკონიურად შეაფასო. აღარ დავიწყებთ იმაზე საუბარს, რას ნიშნავს რუსეთის ნაკრებთან ბრძოლა და მისი ძლევა სპორტის ნებისმიერ სახეობაში. გუშინ ქართველმა ახალგაზრდებმა მოედანზე ყველაფერი დადეს, კაცურად ითმეს და გულშემატკივარს ლამაზი და ცუდი სატურნირო მდგომარეობის მიუხედავად, უმნიშვნელოვანესი გამარჯვება აჩუქეს.

რაც ყველაზე სასიხარულოა, სამი ქულა სამართლიანად და ულაპარაკოდ მოვიპოვეთ. 90 წუთის განმავლობაში ერთხელაც კი არ დამდგარა მომენტი, სტადიონზე მყოფ თუ ტელეეკრანებთან მიმსხდარ ქომაგს ჩვენი ბიჭების უპირატესობაში ეჭვი შეჰპარვოდა. დღევანდელი შეხვედრის წინ, ქართველთა 21-წლამდელებმა ბრწყინვალე ფონი შექმნეს და იმედია, წელიწადს მაჟორულ ნოტზე დავასრულებთ.

რუსეთის ახალგაზრდული ნაკრები ამ ციკლში სტაბილური შემადგენლობით თამაშობს, მაშინ როცა სეგრტი კონტინგენტს მატჩიდან მატჩამდე ცვლის, ამის მიზეზი კი მისი შეხედულებებიცაა და ეროვნული ნაკრების ინტერესებიც. სიახლეები გუშინდელ შემადგენლობაშიც იყო. თუკი წინა შეხვედრებში კარს **ლორია** იცავდა, რუსეთთან მისი ადგილი **თევდორაძემ** დაიკავა, ახალგაზრდულს უკაპიტნა ეროვნულის წევრმა **ლვინიანიძემ**, **კლიმიაშვილს** სულ ცოტა ხანია, რაც ახალგაზრდულში იწვევენ, **ბჟალავა** კი ნაკრებს საკმაო პაუზის შემდეგ დაუბრუნდა.

აუგს კი ნამდვილად ვერავისზე ვიტყვით. ყველა ფეხბურთელი ბოლომდე დაიხარჯა, ნაკრების წევრები საოცრად მონდომებულნი და მობილიზებულნი იყვნენ და რაც გამარჯვებისთვის უმთავრესია, თავიდან ბოლომდე სწორი ფეხბურთი ითამაშეს. **რევაზ თევდორაძემ** თამაში უშეცდომოდ ჩაატარა, რამდენიმე რთული ბურთი მოიგერია და გამოსვლებზეც აულელვებელი იყო. **მათე ლვინიანიძე** დალვინებული მცველივით ირჯებოდა, როგორც კაპიტანს შეეფერება, აშკარად ჩანს, რომ გუნდის ჭეშმარიტი ლიდერია. ბევრი იშრომეს ცენტრალურმა ნახევარმცველებმა, ეფექტური იყო **სანდრო კობახიძე** თითქმის მთელი მატჩი, **ირაკლი კლიმიაშვილმა** კი განსაკუთრებით მეორე ტაიმში დაგვამახსოვრა თავი. და თავდასხმის დუეტი - **რევაზ ბარაბაძემაც** და **ბექა გოცირიძემაც** თანამედროვე ფორვარდთათვის შესაფერისი მანერით ითამაშეს, ბევრი იმოძრავეს, შავი სამუშაოც შეასრულეს და დამსახურებული გოლებითაც გაიხარეს.

შედეგი სტანდარტულ სიტუაციებზე მუშაობასაც მოჰყვა და თუკი წინა წლებში ამ მხრივ ახალგაზრდულიცა და ეროვნულიც საკმაოდ ჩამორჩენილები იყვნენ, გუშინ გამოჩნდა, რომ ეს უმნიშვნელოვანესი კომპონენტი კარგად გვაქვს ათვისებული.

და რა თქმა უნდა, პეტარ სეგრტი, რომელსაც გუშინდელ ზეიმში ლომის წვლილი მიუძღვის. ხორვატმა მწვრთნელმა ქართული კარიერა არცთუ წარმატებულად დაიწყო, მაგრამ იგი სულ ამბობდა, გარკვეული დრო მჭირდებაო. დიდი დრო სულაც არ გასულა და მან სიტყვა შეასრულა – საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს მწვრთნელის ხელი აშკარად ეტყობა. რუსეთის დამარცხებას მისთვისაც სულ სხვა ეშხი ჰქონდა, კაცი მთელი თამაში სკამზე არ დამჯდარა, სიხარულიც ყმაწვილურად გამოხატა, საპრესკონფერენციო დარბაზში კი ოფლში გაწურული შემოვიდა და ალალად გვითხრა, ასეთი ბედნიერება ჩემს სამწვრთნელო კარიერაში არასდროს განმიცდიაო.

... 37-ე წუთი: **ნავალოვსკიმ** აუტის ხაზიდან საჯარიმო ჩაჰკიდა, ბარაბაძემ რუს მცველებსა და მეკარე **ჯანაევს** დაასწრო და თავურით ანგარიში გახსნა.

82-ე წუთი: გოცირიძე სტუმართა საჯარიმოში დიდი სისწრაფით შეიჭრა, რამდენიმე მეურვე ჩამოიცილა და ჯანაევს მარცხენა დაბალ კუთხეში გაუტანა.

მომენტები ამის გარდაც იყო, მაგრამ საგოლე შანსების რეალიზების პროცენტი მაინც მაღალი გვქონდა. რუსებსაც შეეძლოთ გატანა, თუმცა თევდორაძე მტკიცედ იდგა, **კირილ კომბაროვს** კი პირველ ტაიმში, 0:0-ზე, ურთულესი ბურთი აულო. შესვენების წინ მან **ფაიზულინის** არანაკლებ სახიფათო დარტყმული ფეხით მოიგერია.

მატჩი საშუალო ტემპში წარიმართა, ამინდისა და უვარგისი მოედნის კვალობაზე, შეხვედრა ნორმალური სანახავი გახლდათ. ორივე მწვრთნელმა 4-4-2 ტაქტიკა აირჩია. თავიდან პოზიციური თამაში გაჩაღდა, მაგრამ გუნდები ერთმანეთის საჯარიმოებს მალევე გაუშინაურდნენ. სველი მოედნისა და მეკარეთა შეცდომის იმედით, ხშირი იყო შორეული დარტყმები, მაგრამ ამას ხეირი არავისთვის მოუტანია.

ჩვენი გუნდის მცირე უპირატესობა დაახლოებით პირველი ნახევრის შუაწელიდან გამოიკვეთა და ბარაბაძის გოლი ალოგიკური ნამდვილად არ იყო. **კუდრიაშოვმა** ამის შემდეგ თავური ააცილა. თევდორაძის მიერ მოგერიებულ ბურთებზე უკვე გითხარით, ჩვენი მხრიდან კი ნახევრად მომენტები **ხიდეშელს**, ბჟალავასა და ლვინიანიძეს ჰქონდათ.

შორი, უშედეგო დარტყმები მეორე ტაიმშიც გაგრძელდა, რეალური მომენტი კი რუსებს მეორე 45 წუთში არ შეუქმნიათ. სეგრტმა ცვლილებები ბოლოსთვის შემოინახა და შესაბამისად, ამ ქმედებას ტაქტიკური ხასიათი არ ჰქონია, **ბორის სტუკალოვმა** კი გადაადგილებებს თავიდანვე მიმართა, მაგრამ ამას ჩრდილოელთათვის ხეირი არ მოუტანია. ბარაბაძეს დუბლის შესრულება შეეძლო, მაგრამ თავით ახლოდან ააცილა. გოცირიძის შესანიშნავ გოლზეც უკვე გითხარით...

რუსები 1:0-ზეც ვერ გარდაიქმნენ და გოცირიძის გოლის შემდეგ ყველაფერი ნათელი იყო. სატურნირო ცხრილში რუსეთი ჩვენზე მაღლა დარჩა, მაგრამ ეს მეორეხარისხოვანია, გუშინ საქართველომ რუსეთი დაამარცხა! დაამარცხა ხორვატი მწვრთნელის მეთაურობით, მანამდე რუსეთი ისევ ხორვატს, **ივო შუშაკს** ჰყავდა დამარცხებული.



პეტარ სეგრტი მთელი მატჩის განმავლობაში ემოციებს ვერ იოკებდა

### მატჩის შემდეგ

**პეტარ სეგრტი:** *"ეს ლოგიკური და დამსახურებული გამარჯვება იყო. მე და ჩემს ფეხბურთელებს გვჯეროდა, რომ ამ მატჩის მოგება შეგვეძლო და ბედნიერი ვარ, მთელი საქართველოს გახარება რომ შევძელით".*

**ბორის სტუკალოვი:** *"რომ არა პირველი მიღებული გოლი, შეიძლება თამაში სხვაგვარად წარმართულიყო. მეტოქეს გამარჯვებას ვულოცავ და სამომავლო წარმატებებს ვუსურვებ".*

**რევაზ ბარაბაძე:** *"ძალიან გახარებულები ვართ. რუსეთთან თამაში და მოგება ჩვენთვის უდიდესი მოტივაცია იყო. ყველამ ერთად მოვინდომეთ მოგება და შევძელით კიდეც".*

**გიორგი ნავალოვსკი:** *"ჩვენ მოვიგეთ, რუსეთს მოვუგეთ და კიდევ ერთი წარმატებული ფურცელი ჩავწერეთ ჩვენი ფეხბურთის ისტორიაში. Mმეტს ვერაფერს გეტყვით, უზომოდ გახარებული ვართ".*

**მათე ლვინიანიძე:** *"ერთ მუშტად ვიყავით შეკრული ყველანი, ერთმანეთის გულისცემას ვგრძნობდით. უSზომოდ გახარებულები ვართ. კKარგად ვიცოდით თუ როგორ გაახარებდა გულშემატკივარს რუსეთის ძლევა და ეს საჩუქარი გავუკეთეთ ჩვენს ერთგულ ქომაგებს".*

**ლევან ჯანეზაშვილი**

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

ევრო 2008. დღეს. 19:30. საქართველო-ლიტვა. კლაუს ტოპმიოლერის პრესკონფერენცია

# ხიზანიშვილი, გოგუა, ჯაკობია, გრიგალაშვილი გამორიცხულია

**გუშინ** ნინასამატჩო ვარჯიშამდე კლაუს ტოპმიოლერმა ეროვნულ სტადიონზე პრესკონფერენცია გამართა.

- ლიტვასთან ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი გვაქვს. ჩვენი ამოცანაა ლიტვა დავამარცხოთ და მომდევნო შესარჩევი ციკლის წილისყრისთვის მეოთხე კალათაში დავრჩეთ. ამასთან, გვინდა ამ საკვალიფიკაციო ეტაპზე, ცხრილში ლიტვაზე წინ ვიყოთ. მატჩისთვის კარგად მოვემზადეთ. მართალი გითხრათ მსიამოვნებს, როცა ჩვენი გუნდის ვარჯიშს ვუყურებ. დღეს დილით თეორიული მეცადინეობა გვქონდა. ვნახეთ ლიტვის თამაშები და ჩვენი მატჩებიც. მათ შორის გავარჩიეთ შოტლანდიასთან თბილისური მატჩიც. მოგეხსენებათ, სტადიონზე "ამესკოს" სისტემა გვაქვს დამონტაჟებული. მისი მეშვეობით დადგინდა, რომ ჩვენი გუნდის თითოეულმა ფეხბურთელმა საშუალოდ 500 მეტრით მეტი ირბინა, ვიდრე შოტლანდიელმა, ორთაბრძოლების 63 პროცენტი მოვიგეთ. შოტლანდიელები სწორედ ორთაბრძოლებში გამოირჩევიან, ჩვენ ამ კომპონენტშიც დავჯაბნეთ მეტოქე. სწორედ ესაა ფეხბურთის ერთ-ერთი საიდუმლოება, რაც შეიძლება მეტი ორთაბრძოლა უნდა მოვიგოთ, მეტოქეზე მეტი ვიმოძრავოთ მოედანზე. ფეხბურთელებს ავუხსენით ლიტვასთან მატჩის მნიშვნელობა და მათ ეს კარგად გაითავისეს...

- სამწუხაროდ ამ მატჩს კვლავაც დანაკლისით ვხვდებით. ხიზანიშვილი მუხლის ტრავმის გამო ვერ ითამაშებს. გამოგვაკლდა ჯაკობია. გოგუას ძველმა ტრავმამ შეახსენა თავი. ალბათ, ცოტა ადრე იყო მისთვის ვარჯიშის დაწყება, თორემ გოგიტა სიამოვნებით მეყოლებოდა გუნდში. ასევე დაგვაკლდება დისკვალიფიცირებული გრიგალაშვილი. თუმცა ჩვენ გვყავს 18 ჯანმრთელი ფეხბურთელი და მათგან ავარჩევთ იმ თერთმეტს, ვინც თავიდან გამოვა მოედანზე...

ვიმედოვნებ ქომაგობა არ მოგვაკლდება. შოტლანდიასთან მოგების შემდეგ გულშემატკივრისთვის ეროვნული ნაკრების თამაში უფრო მნიშვნელოვანი გახდა. ხვალ გამარჯვებით ზედიზედ მესამე მოგებას მივითვლით. მჯერა ამას შევძლებთ...

- ერთი რამ მინდა გითხრათ. ამას მხოლოდ ჩემი ინიციატივით ვამბობ. ჩემი კოლეგები, რომლებიც 17, 19 და 21 წლამდელთა ნაკრებებს ხელმძღვანელობენ, პრესის კრიტიკაში არაერთხელ მოექცნენ. ჩემი აზრით, ეს არაა სამართლიანი. მაკარიძე, სანაია, კანკავა, ყენია, მჭედლიძე... და სხვა ფეხბურთელები სწორედ ამ ასაკობრივი ნაკრებიდან მოვიდნენ ეროვნულში და ეს სწორედ ამ ნაკრებთა მწვრთნელების დამსახურებაა. ისინი ყველაფერს აკეთებენ ეროვნულ ნაკრებს კარგი ფეხბურთელები რომ ალუზარდონ. სხვა ქვეყნებში ამ მწვრთნელებს მედლებსა და ჯილდოებს გადასცემდნენ, აქ კი მათ მიმართ უკმაყოფილება გამოითქმის. ეს გულზე მანვა და არ შემეძლო რომ არ მეთქვა.

**- ლიტვას ივნისში ვეთამაშეთ. მას მერე რამდენად შეიცვალა ეს ნაკრები. ლიტველებს ახლა უკეთესი გუნდი ჰყავთ, იგივე თუ უფრო ცუდი?**

- ლიტვა კარგი და სახიფათო გუნდია. საფრანგეთთან ამ გუნდს 80 წუთის განმავლობაში გოლი არ გაუშვია, მხოლოდ ბოლო 10 წუთში წააგეს, ამასთან ორი საგოლე მომენტი ჰქონდათ. ასე რომ, რთული თამაში გველის. მათ კონტრშეტევას უნდა ვუფრთხილდეთ. ლიტვა დაცვაში კარგი თამაშით გამოირჩევა. ლიტვის ნაკრების ფეხბურთელები იტალიისა და სხვა კარგი ქვეყნის ჩემპიონატებში ასპარეზობენ. ლიტვამ უკრაინას 2:0 მოუგო და ესეც იმაზე მეტყველებს, რომ ძლიერი მეტოქე გვყავს.

**- წარუმატებლობათა გამო თუ არ გავაკრიტიკეთ მწვრთნელი, 19-წლამდელთა ნაკრების ფიასკოს ვგულისხმობთ, აბა რა უნდა გავაკეთოთ?**

- სამწუხაროდ წარმატებებს წარუმატებლობებიც თან ახლავს. 19- წლამდელთა ნაკრებს თავიდანვე არ აეწყო საქმე. ჰოლანდიასთან ჩვენმა გუნდმა ჩინებულად ითამაშა, რომ არა ჩვენი ფეხბურთელის გაძევება და სანაიას ტრავმა, იმ თამაშს მოვიგებდით...... ამას თავი რომ დავანებოთ, 19-წლამდელთა ნაკრებმა ეროვნულს სამი ისეთი ფეხბურთელი მისცა როგორებიცაა ყენია, მაკარიძე და მჭედლიძე. ალბათ, უმჯობესია ყოველწლიურად 3 ასეთი ფეხბურთელი მისცეს ჭაბუკთა ნაკრებმა ეროვნულს, ვიდრე მხოლოდ პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი მოიგოს.

**- არის თუ არა დღეს ნაკრებში ის შემართება რაც შოტლანდიასთან მატჩამდე იყო?**

- ვფიქრობ შემართება ისეთივეა, როგორიც შოტლანდიელებთან თამაშამდე იყო. 25 ნოემბერს მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის წილისყრაში მეოთხე კალათში უნდა ვიყოთ და ეს ყველას კარგად აქვს გათავისებული. ჩვენ ახლაც მეოთხე კალათაში, ბოლოდან მეორე ადგილზე ვართ. ჩვენს უკანაა მაკედონია, რომელმაც ხორვატია დაამარცხა და ალბათ ცოტა მაღლაც აიწევს. ლიტვას თუ ვერ მოვუგებთ, მაშინ მეხუთე კალათაში აღმოვჩნდებით. მეოთხეში დარჩენა კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენს უკან ორი სუსტი გუნდი იქნება.

**- ყატარის მატჩთან შედარებით რამდენაც შეიცვლება ლიტვასთან მატჩში სასტარტო შემადგენლობა?**

- დიახ, ცვლილებები იქნება.

**- მენთეშაშვილი და სირაძე თუ გამოჯანმრთელდნენ?**

- სირაძე ჯანმრთელადაა. მენთეშაშვილი დღესაც ინდივიდუალურად ივარჯიშებს. ის ხვალ თავად გვეტყვის შეძლებს თუ არა თამაშს. დღეს ამბობს რომ ითამაშებს, ვნახოთ, ხვალ როგორ იქნება. ერთადერთი მენთეშაშვილის თამაშია კითხვის ნიშნის ქვეშ, სხვა ყველა მწყობრშია.

პრესკონფერენციის შემდეგ ნაკრებმა წვრთნა გამართა. ჟურნალისტებს მხოლოდ 10 წუთით მოგვეცა დასწრების საშუალება, მერე მწვრთნელმა ვარჯიში დახურა. დროის ამ მონაკვეთში Kლაუს ტოპმიოლერმაც წაივარჯიშა. **ბესიკ ფრიდონაშვილთან, ზაურ სვანაძესა** და **მამუკა აბუსერისთან** ერთად კვადრატი ითამაშა. მათთან ერთად თავიდან მხოლოდ **როინ კვასხვაძე** იყო, მერე კი **ნიკა გელაშვილი** და **გიორგი მაკარიძეც** ჩაერთვნენ საქმეში. თავდაპირველად ინდივიდუალურად ვარჯიშობდა **სანაია**, მერე კი **მჭედლიძეს** უკეთებდა გადაცემებს და ისიც ერთი შეხებით ცდილობდა ბურთის კარში გადაგზავნას.

მენთეშაშვილის საქმე ჩანს კარგადაა, რადგან ტოპმიოლერის თქმის მიუხედავად, ზურამ ის 10 წუთი გუნდთან ერთად ივარჯიშა და ალბათ, მერეც ასევე გააგრძელებდა. ის, **კალაძე, შაშიაშვილი, კვირკველია, ყენია** და **სირაძე** მოედნის ცენტრში ბურთობდნენ. **ცქიტიშვილი** და **მინგე** აწვდიდნენ პასებს და ერთმანეთში გერმანულად საუბრობდნენ. ოდნავ მოშორებით იდგნენ **კანკავა, ასათიანი, კვახაძე, დეკანოსიძე, მარცვალაძე** და **სალუქვაძე**.

ჯაბა კანკავა: *"შესარჩევში ბოლო თამაში გვაქვს და ყველანი მობილიზებულნი ვართ. ჩვენ მოგება გვჭირდება და შევუტევთ. კარგად ვიცით, რომ ლიტვა დაცვიდან ითამაშებს, მაგრამ მათი დაცვის გარღვევა უნდა შევძლოთ. მჯერა მოვიგებთ".*

გიორგი მაკარიძე: *"ლიტვამ უკრაინა დაამარცხა და კარგად ვიცით, რომ რთული მატჩი გველის. ხვალაც საიმედოდ უნდა ვითამაშო და ყველანაირად ვეცდები გუნდის წარმატებაში ჩემი წვლილიც შევიტანო".*

დავით კვირკველია: *"მშვენივრად ვიცით თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს ხვალინდელ მატჩს. მაქსიმუმს გავიღებთ მოსაგებად და ამას შევძლებთ კიდეც".*

დაბოლოს, საქართველო-ლიტვის მატჩს მაკედონიელი მსაჯები მოემსახურებიან. აArბიტრი **ალექსანდარ სტავრევია**. თანამსაჯები **მარიან კიროვსკი** და **ლუბომირ კრსტევსკი**. მეოთხე მსაჯი **დიმიტარ მესკაროვსკია**.

**დავით ცაბაძე**







გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა



ინტერვიუ ლევან მჭედლიძესთან

# მხოლოდ მოსაგებად ვიბრძოლებთ

## რატომ არ ითამაშა ქართველმა მილანთან?

კლაუს ტოპმიოლერი ჯიუტად იწვევდა ნაკრებში ლევან მჭედლიძეს, რომელსაც ქართველი გულშემატკივარი არ იცნობდა. მხოლოდ ის ვიცოდით, რომ 17 წლის ბიჭი იტალიაში, "ემპოლიში" ვარჯიშობდა და თამაშის უფლება არ ჰქონდა.

შესაძლოა, ლევანი მოედანზე, თამაშის ამსახველ კადრებში გაუცინარ უფლისწულს ჰგავს, ცხოვრებაში კი ღიმილიანი, მხიარული და ასაკისთვის შესაფერისად ბავშვურია.

**- ლევან, ლიტვასთან შეხვედრაზე რას გვეტყვი.**

- არანაირი ფრე! მხოლოდ და მხოლოდ მოსაგებად გავდივართ მოედანზე. მჯერა, რომ საბოლოოდ, სამი ქულა თბილისში დაგვრჩება.

**- შოტლანდიასთან მატჩის შემდეგ, "ემპოლის" სარეზერვო გუნდში დებიუტი გქონდა. სასიამოვნო გრძნობა იქნებოდა.**

- "ატალანტასთან" ვითამაშე. ვფიქრობ, შეხვედრა ნორმალურად ჩავატარე. მწვრთნელმა ძირითადში დამაყენა, თუმცა 41-ე წუთზე მწვრთნელმა შემცვალა, რადგან ფეხი ამტკივდა. ხომ გაგიგიათ ალანი? ის ახლა "ატალანტაში" თამაშობს, მან მომარტყა ფეხი და მწვრთნელმა გამიყვანა, რომ ტრავმა არ გამრთულებოდა.

სხვათა შორის, პირველი ოცი წუთის განმავლობაში საგოლე მომენტები მქონდა, მაგრამ ვერ გამოვიყენე, მეკარემ ამილო.

**- რადგან ნაკრებში ვარჯიშობ, გამოდის, ტრავმა საბოლოოდ მოირჩინე.**

- დიახ, ახლა თავს კარგად ვგრძნობ.

**- როგორც შევიტყვეთ, შოტლანდიასთან მოგების შემდეგ "ემპოლის" მწვრთნელს შენი "მილანთან" დაყენება სურდა, მაგრამ საქართველოს 19-წლამდელთ ნაკრებში თამაში ამჯობინე.**

- დიახ, ასე იყო, იმ მომენტში ასე ვამჯობინე. ქართველი ვარ და უპირველესად ჩემს ქვეყანას უნდა გამოვადგე და შემდეგ "ემპოლის".

**- მერე, იტალიელებმა არ გისაყვედურეს?**

- არა, რადგან ჩემი მშვენივრად გაიგეს. არც უკითხავთ, ეს რატომ გავაკეთე. ისედაც მშვენივრად ხვდებიან, ჩვენნაირი პატარა ქვეყნისთვის თითოეული მოგება რას ნიშნავს.

ეს არაფერია, წინ კიდევ დიდი დროა და "ემპოლის" ძირითადში თამაშს მოვასწრებ. იტალიაში სკამზე დასაჯდომად არ ჩავსულვარ.

მერაბ მამულაშვილი

# ლიტველებთან სწრაფი მოქმედებაა აუცილებელი

## მარცვალაძემ მომავალი გუნდი არ იცის

საქართველოს ნაკრებში ოთარ მარცვალაძე იტალიასა და შოტლანდიასთან მატჩებისთვის არ გამოიძახეს. რატომ და რა მიზეზით, უცნობია. მთავარია, რომ კლაუს ტოპმიოლერის თვალში უეგოროდის "ზაკარპატიეში" ნახევარმცველად გარდაქმნილ თავდამსხმელს ნდობა არ დაუკარგავს.

ოთარი "ზაკარპატიეში" კიევის "დინამომ" ნახევარი წლით გაანათხოვრა. უკრაინის ჩემპიონატის პირველი წრე და იჯარის ვადა იწურება. რა ბედი ელის ქართველ ლეგიონერს?

ოთარ მარცვალაძესთან საუბარი ამ კითხვით დავიწყეთ:

- "ზაკარპატიეში" აღარ ვრჩები. ჯერ ერთი, განათხოვრების ვადა დასრულდა და სიმართლე გითხრათ, თავადაც აღარ მსურს იქ თამაში.

**- სად აპირებ გადასვლას?**

- წარმოდგენა არ მაქვს. კიევში დავბრუნდები და "დინამოს" ხელმძღვანელობასთან დალაპარაკება მომიწევს.

**- ალბათ, შენთან ერთად, გუნდს ალადაშვილიც დატოვებს.**

- დიახ, ასეა. ქართველები გუნდიდან ქართველები მივდივართ.

**- სხვათა შორის, დაუჯერებელი რამ გვითხრეს, "ზაკარპატიეში" საყრდენ ნახევარმცველად გათამაშებენ.**

- დიახ, მართლა ნახევარმცველად მათამაშებენ. საყრდენად არა, მაგრამ ცენტრში ხშირად შევდივარ.

**- ასეთი გადაწყვეტილება მწვრთნელმა რატომ მიიღო?**

- "ზაკარპატიეს" დიდი ამბიცია არ გააჩნია. გუნდი ფრთხილი, დაცვითი ტაქტიკით თამაშობს. მხოლოდ ერთი თავდამსხმელით გავდივართ მოედანზე. მე შეტევების დახმარება მევალება, მაგრამ ამას ნახევარდაცვიდან ვაკეთებ.

**- ამის ბრალია, შენი მცირე შედეგიანობაც?**

- დიახ, ასეა.

**- ლიტვასთან თამაშით შესარჩევი ციკლი მთავრდება. ჯგუფიდან გასვლის შანსი ჩვენც დავკარგეთ და ბალტიისპირელებმაც. თუმცა მატჩი მაინც პრინციპულია, გასარკვევია ჩვენ ორს შორის, ვინ დაიკავებს უკეთეს ადგილს.**

- ორი აზრი არაა, ეს შეხვედრა უნდა მოვიგოთ.

**- ლიტველების პლუს-მინუსებზე რას გვეტყოდი?**

- მათ უკრაინის ნაკრები 2:0 დაამარცხეს. ეს უკვე ძალიან ბევრ რამეზე მეტყველებს. მძიმე თამაში გველის, რადგან ლიტველები ძირითადად დაცვაში იჯდებიან. ასეთ გუნდთან წარმატება ძნელი იქნება, მაგრამ უნდა მოვიგოთ.

**- შენი აზრით, მათთან რის ხარჯზე შეიძლება წარმატების მიღწევა?**

- ისევე როგორც შოტლანდიასთან, სტანდარტულები კარგად უნდა გამოვიყენოთ. ამას გარდა, დაცვაში ჩამჯდარ გუნდთან სწრაფი მოქმედებაა აუცილებელი.

მერაბ მამულაშვილი



ოთარ მარცვალაძე

# ყენია შალკემ 500 000 ევროდ იყიდა?



ლევან ყენია

გუშინ რუსული სააგენტოები მთელი დღე ჩვენთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას აქვეყნებდნენ. პირველწყაროდ "სპორტ-ექსპრესია" მითითებული - "შალკემ" 17 წლის ქართველ ნახევარმცველ **ლევან ყენიას** კონტრაქტი გაუფორმა, რომელიც მანამდე თბილისის "ლოკომოტივში" თამაშობდა. ჭაბუკი ტალანტის შეძენა გერმანულ კლუბს 500 ათასი ევრო დაუჯდათ.

*"რა თქმა უნდა, ყენია ფიზიკურად ჯერ ძლიერი არაა,* - განაცხადა "სპორტ-ექსპრესთან" საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა კლაუს ტოპმიოლერმა, - *თუმცა მას მოედანზე თუ შეუშვებ, მისი შეცვლა წარმოუდგენელი ჩანს. ლევანი ლინკოლნს ჰგავს (გასულ წლებში "შალკეს" ლიდერი გახლდათ), ის გასაოცარ გადაცემებს აკეთებს".*

*"მცირე ასაკის მიუხედავად, ლევან ყენიამ ეროვნულ ნაკრებში უკვე ოთხი შეხვედრა ჩაატარა"*, - წერს რუსული გაზეთი.

ტოპმიოლერმა რუსული კლუბების მისამართით კენჭიც ისროლა: *"გასაოცარია მხოლოდ, რუსული კლუბების სელექციონერებმა გელზენკირხენელებს როგორ ვერ დაასწრეს?"*

როგორც ჩანს, ტოპმიოლერმა არ იცის, რომ ყენიას რუსული კლუბი, მოსკოვის "დინამო" იწვევდა, ისევე როგორც უკრაინული გრანდი კიევის "დინამო", მაგრამ ქართველმა ფეხბურთელმა სწორი არჩევანი გააკეთა და რუსულ მილიონებს გერმანული კარიერა ამჯობინა.

რაც შეეხება სატრანსფერო თანხას, როგორც ჩანს, ამ ინფორმაციის გამოქვეყნება რუსებმა იჩქარეს.

კომენტარისთვის თბილისის "ლოკომოტივის" გენერალურ დირექტორს, **დიმიტრი ობოლაძეს** დავუკავშირდით. *"კონტრაქტი გაფორმებულია და ლევანი "შალკეში" ვარჯიშობს. თუმცა ტრანსფერის შესახებ საბოლოო შეთანხმება მალე მოხდება"*, - გვითხრა მან.

მერაბ მამულაშვილი

# ალკმაარში, ლარისასთან...

სასიხარულოა, რომ ბოლო პერიოდში ქართველი მსაჯები ხშირად ინიშნებიან მნიშვნელოვან საერთაშორისო შეხვედრებზე. როგორც იცით, დღეს კვიპროსისა და ჩეხეთის ეროვნულ ნაკრებთა შესარჩევ მატჩს ლევან ფანიაშვილის ბრიგადა განსჯის, გუშინ კი ცნობილი გახდა, რომ ფანიაშვილი უეფას თასის ჯგუფური ეტაპის შეხვედრასაც წარუძღვება.

29 ნოემბერს ჰოლანდიური "ალკმაარი" ბერძნულ "ლარისას" უმასპინძლებს. ფანიაშვილის ასისტენტები ზურაბ მენთეშაშვილი და ლევან მიქელაძე იქნებიან, მეოთხე მსაჯის ფუნქციებს კი დავით ხარიტონაშვილი შეასრულებს.

# საქართველო-ლიტვა რუსთავი 2-ზე

ტელეკომპანია "იმედისთვის" ლიცენზიის ჩამორთმევამ გულშემატკივრები გაურკვევლობაში ჩააგდო - ვინ აჩვენებდა საქართველო-ლიტვის დღევანდელ შეხვედრას, რომლის ექსკლუზიურ უფლებას "იმედი" ფლობდა, დიდი ხნის განმავლობაში უცნობი იყო.

თავდაპირველად, "საზოგადოებრივი მაუწყებელი" აპირებდა შეხვედრის ტრანსლაციას. თუმცა გუშინ დავადგინეთ, რომ საკითხი გადაწყვეტილია და პირდაპირი რეპორტაჟი "რუსთავი 2"-ის ეთერით გადაიცემა.

შეხვედრა 19.30 საათზე დაიწყება.

## გულშემატკივართა საყურადღებოდ!

### საქართველო - ლიტვა, 21 ნოემბერი

საქართველოსა და ლიტვის ეროვნულ ნაკრებთა შეხვედრაზე დასასწრები ბილეთების გაყიდვა ბ. პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის სალაროებში დაიწყო ორშაბათს, 19 ნოემბერს, დილის 11 საათიდან.

მატჩის დღეს სალაროები დილის 11 საათიდან 19.30 საათამდე იმუშავებს.

ბილეთის ფასია 5, 10 და 20 ლარი.

თამაშის დღეს სტადიონზე შესასვლელი კარებები 17 საათიდან გაიღება.

ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე შეხვედრა 19 საათსა და 30 წუთზე დაიწყება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge


ინტერვიუ გიორგი მაისაშვილთან

# არ ვემხრობი ოლიგარქებს, არ ვუცდი ეკონომიკის ზრდას

## მარკეტინგი ქვეყნისთვის და წინასაარჩევნო დაპირებანი



გიორგი მაისაშვილი

**ის ბავშვობიდან მისდევს სპორტს და ახლაც სპორტულად ცხოვრობს. ვარჯიშობს, არ ეწევა, არ აწუხებს ჭარბი წონა. ის ახალი ფორმაციის პოლიტიკოსია დასავლური განათლებით და მსოფლმხედველობით - ეს არ არის ვილაცის პირადი აზრი, ამას განაპირობებს მისი ბიოგრაფია, მისი საქმენი, მისი CV. ის ერთი პერიოდი მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკური თანაგუნდელიც კი იყო, მაგრამ ვარდების რევოლუციამდე ორი თვით ადრე მისი და სააკაშვილის გზები გაიყარა. მას დასავლეთში სერიოზულ ეკონომიკურ პროექტებში უმუშავია და ასეთ დონეზე მუშაობის საკმაო გამოცდილება აქვს. მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია რეპუტაცია და მიაჩნია, ვისაც არ გაუვლია სათანადო ეტაპები, ის არ უნდა იყოს დაწინაურებული იმ დონემდე, რომლისკენაც თავისი საქმიანობით და რეპუტაციით არ მისულა. ის 5 იანვრის არჩევნებში პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატია. მან საქრთველოში ლიდერთა სკოლა დააფუძნა . მოკლედ და კონკრეტულად რომ ვთქვათ, ამ სკოლაში პრაქტიკული ფილოსოფია ისწავლება. ერთ-ერთი, არც თუ უმნიშვნელო ასპექტი ყოველივე ამაში ცხოვრების ჯანსალი სტილი და სპორტია. გიორგი მაისაშვილს სწორედ ამ სკოლაში ვესტუმრეთ ინტერვიუსთვის...**

**- სპორტის რა სახეობებს მისდევდით სიყმაწვილეში და რატომ არ აირჩიეთ პროფესიონალი სპორტსმენის კარიერა?**

- ტანვარჯიში, ძიუდო და ფეხბურთი - ამ სახეობებით ვიყავი გატაცებული, თუმცა ყოველივე სამოყვარულო დონეზე დარჩა. 1982-83 წლებში კი უკვე სერიოზული არჩევანის წინაშე დავდექი - იყო საუბარი ჩემი თბილისის "დინამოს" დუბლშემადგენლობაში მისვლაზე, მაგრამ სწავლა ავირჩიე. სხვათა შორის, საფეხბურთო სკოლაში არ მივლია, ჩემთვის საფეხბურთო სკოლა ვერაზე ფეხბურთის თამაში იყო.

**- ალბათ იცით, დაახლოებით რა ვითარებაა ახლა ქართულ ფეხბურთში...**

- კი, ზოგადი ინფორმაცია მაქვს.

**- კონკრეტულ საკითხებს არ ჩაძიებიხართ? მაგალითად იმას, თუ რა მოხდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის წლევანდელ არჩევნებზე.**

- რა თქმა უნდა, ვიცი, რაც მოხდა. ყოველივე ცინიკურად შეასრულეს, ეს არ იყო სამართლიანი არჩევნები, დაპირისპირებას სახელისუფლებო კლანები წარმართავდნენ.

**- სპორტის მნიშვნელობა სახელმწიფოში - მოკლედ როგორ ჩამოაყალიბებდით ამ საკითხს?**

- სპორტს ორი მნიშვნელობა აქვს - დანერგოს ცხოვრების ჯანსალი სტილი და გახდეს მარკეტინგის საშუალება ქვეყნისთვის. აი მაგალითად საქართველოს მორაგბეთა ნაკრები მსოფლიოთასზე რომ თამაშობს, შესანიშნავი რამაა. ქვეყანას მთელი მსოლფიო იცნობს. ასევე საფეხბურთო ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე რომ ითამაშოს - 4.5 მილიარდი ადამიანი გაიგებს საქართველოს შესახებ და ძალიან ბევრი დაინტერესდება ჩვენი ქვეყნით, ქართული სპორტით, რაც ჩვენს ეკონომიკას ძალიან წაადგება - უცხოელები ჩვენში ბიზნესის წარმოებით დაინტერესდებიან.

**- ოქტომბერში გამოქვეყნდა საქართველოში ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამა, რაც სტადიონების მშენებლობას, ფეხბურთის ფედერაციისთვის სოლიდურ ფინანსურ დახმარებას და რამდენიმე ფინანსურად მდგრადი საფეხბურთო კლუბის შექმნას ისახავს მიზნად. თუმცა, ალბათ, ძალიან სახამუშოა ერთი რამ - ბიზნესმენი, რომელიც რალაც საწარმოს შეიძენს, ვალდებული ხდება საფეხბურთო კლუბი იყოლიოს და დააფინანსოს...**

- ეს არის ანაქრონიზმის ელემენტები. ფაქტობრივად, ძალდატანებით სურთ კლუბის დაფინანსება, რაც დამანგრეველ შედეგს მოიტანს. არც ის არის სწორი, სახელმწიფო ფედერაციას ეროვნული ნაკრების მწვრთნელისთვის ხელფასის გადახდაში რომ ეხმარება - ეს არ არის საქმისადმი ჯანსალი მიდგომა და ეს შედეგს ვერ მოგვიტანს. ეკონომიკამ უნდა მოაწესრიგოს საფეხბურთო მეურნეობა.

**- როგორი იქნება თქვენი წინასაარჩევნო დაპირება საქართველოს სპორტული სამყაროსადმი?**

- ბავშვთა სპორტს ძალიან დიდ ყურადღებას მივაქცევ. მესმის, რომ სპორტის გუნდურ სახეობებში საქართველო დღეს სპორტსმენების ექსპორტიორი ქვეყანაა, მაგრამ აქაც შესაძლებელია ისეთი ხარისხის პროდუქტის შექმნა, რომელიც მიმზიდველი იქნება გულშემატკივრისთვის. საზოგადოება უნდა იყოს ძლიერი, რომ სპორტი ფეხზე დადგეს.

**- ყოველივე ეს მაინც ზოგადი ნათქვამია. თითქმის ყველა საფეხბურთო კლუბი არარენტაბელურია და სავსებით რეალურია იმის საფრთხე, ამ კლუბების დამფინანსებელმა მეწარმეებმა მალე ფეხბურთს ზურგი შეაქციონ. თუ თქვენ გახდებით საქართველოს პრეზიდენტი, რაიმე სტიმულს მისცემთ ასეთ ბიზნესმენებს თუ ეტყვით, რომ ქვეყანაში ეკონომიკის ზრდას უნდა დაველოდოთ?**

- არა, ეკონომიკის ზრდას კი არ უნდა დაველოდოთ, მუშაობა უნდა გავაგრძელოთ სპორტში, მაგრამ ეს ეკონომიკური ზრდის პარალელურად უნდა მოხდეს. სახელმწიფომ კი ბიზნესის განვითარებისთვის სათანადო პირობები უნდა შექმნას.

**- დასავლეთის რამდენიმე ქვეყანაში გიმუშავიათ - იქ რა დამოკიდებულებაა სახელმწიფოსა და სპორტს შორის?**

- სახელმწიფო იშვიათად ერევა სპორტის განვითარებაში. თუ ფინანსური დახმარებაა საჭირო, ამას კერძო ფონდები აკეთებენ. სახელმწიფოს შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ბავშვთა და მასობრივი სპორტის წამოწევაში.

**- ჩემპიონმა სამშობლო ასახელა, მისი გამარჯვება ქვეყნის გამარჯვებაა - ზოგი ასე უყურებს საკითხს...**

- ეს კომუნიზმის გადმონაშთია. სპორტსმენის გამარჯვება სპორტსმენს ეკუთვნის, თუმცა ამავე დროს ეს არის მარკეტინგის საშუალება მისი სამშობლოსთვის. თუ სახელმწიფო სპორტსმენს სათანადო პირობებს უქმნის, ცხადია, მასაც მიუძღვის წვლილი სპორტსმენის წარმატებაში.

**- სპორტში ოლიგარქები მომრავლდნენ. რუსმა ოლიგარქებმა ევროპაში უკვე შეიძინეს რამდენიმე საფეხბურთო კლუბი. ასეთ ტენდენციას როგორ შეაფასებდით?**

- სპორტში ოლიგარქების ჭუჭყიანი ფულით მოსვლას არ ვემხრობი, ამით სპორტული სული კვდება. ოლიგარქების მოსვლით სპორტში სანახაობრივი, გამარჯვების პროცესი თითქოს უფერულდება. ბრიტანეთში უარყოფითად აფასებენ ლონდონის "ჩელსიში" აბრამოვიჩის მისვლას. "ჩელსიში" აბრამოვიჩი საუკეთესო ფეხბურთელებს ყიდულობს, ბევრ ფულს ხარჯავს და თუ "ჩელსი" წამგებიანი კლუბია, აბრამოვიჩი მოგებაზე მუშაობს - ამ სფეროში ასეთი მდგომარეობით ის სხვა სფეროში აღწევს ფინანსურ წარმატებას. "ჩელსი" კი უფრო მექანიკურ ერთობას ემსგავსება, ვიდრე სპორტულ გუნდს.

**- საქართველოშიც არის იმის მაგალითი, თუ როგორ საქმიანობს ოლიგარქი სპორტში. ფაქტია, ბადრი პატარკაციშვილი ბევრ სპორტსმენს დაეხმარა და ბოლო ოლიმპიადაზე რამდენიმე მედალიც მოიპოვეს ქართველმა სპორტსმენებმა. პატარკაციშვილი "დინამო თბილისის" მფლობელიცაა...**

- როცა ოლიგარქი სპორტს აფინანსებს, ეს გარკვეული პირობებითაა გამოწვეული და როცა, რალაც პირობა უკვე დაკმაყოფილებულია, სპორტი შესაძლოა, განზე დარჩეს. ეს არ არის ჯანსალი დამოკიდებულება და საერთოდ, არ ვემხრობი ყველაფრის ერთი ადამიანის ხელში მოქცევას, მონოპოლია არ უნდა იყოს.

**- ბოლო, აპოლიტიკურ კითხვას დაგისვამთ - თინეიჯერობაში გყავდათ საყვარელი სპორტსმენი?**

- ასეთი ორი იყო - მანუჩარ მაჩაიძე და მიხეილ ქორქია. ერთ რამედ ღირდა, როცა მაჩაიძე ბურთს მოიგდებდა და შეეძლო, მარტოს ეტარებინა ის კარგა ხანი. ქორქიას ჩინებული თამაშით კი მოსკოვის ცსკა-ს ვამარცხებდით...

**დავით თავართქილაძე**


CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

24 საათის განმავლობაში
უწყვეტი მომსახურება
ტექნიკური მხარდაჭერა
გარანტირებული ხარისხი
გადახდა სახლიდან გაუსვლელად

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!



დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევრო 2008. შესარჩევი მატჩების წინ

# ინგლისი ცხოვრების მატჩისთვის მზადაა

## ხორვატია ბოლომდე იბრძოლებს...



ინგლისი-ხორვატია. ეშლი კოულისა და ივიცა ოლიჩის ირთაბრძოლა. პირველი თამაში ხორვატებმა 2:0 მოიგეს

**შაბათის შემდეგ მთელი ინგლისი ბედნიერია. დიახ, ფეხბურთის სამშობლო ბედნიერია იმით, რომ რუსეთის ნაკრები ისრაელში დამარცხდა, რამაც ინგლისს ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის შანსი შეუნარჩუნა. მაგრამ დღეს ამ ბედნიერებას განმტკიცება სჭირდება. იმისათვის, რომ ინგლისელებმა ავსტრია/შვეიცარიის საგზური გაიფორმონ, საკუთარ მოედანზე ჯგუფის ლიდერ ხორვატიასთან ფრეც ეყოფათ, მაგრამ ეს ფრე ჯერაც მისაღწევია. თურქები ვალდებულები არიან, ბოსნია დაამარცხონ, რათა ხიფათის წინაშე არ დადგნენ. ერთგვარი ფინალია პორტუგალიაში, სადაც სკოლარის სამწყსოს დევიზი, ფინელებთან შეხვედრისთვის ასეთია: არ წავაგოთ! ჩრდილოეთ ირლანდია კი პატარა სასწაულზე ოცნებობს.**

| A ჯგუფი |
|---|
| სომხეთი-ყაზახეთი |
| აზერბაიჯანი-ბელგია |
| სერბეთი-პოლონეთი |
| პორტუგალია-ფინეთი |
| 24.11 |
| სერბეთი-ყაზახეთი |

ბოლო მატჩების წინ ამ ჯგუფში გასათამაშებელი მხოლოდ ერთი საგზურია, რომლის მოპოვების საუკეთესო და თითქმის იდეალური შანსი პორტუგალიას აქვს, რადგან პირენეელები მესამეადგილოსან ფინეთს მასპინძლობენ და არ უნდა წააგონ. თუ **სკოლარის** გუნდი მინიმუმ ქულას მოიპოვებს, რაშიც ეჭვი ალბათ ძალიან ცოტას თუ ეპარება, სერბეთიც უშანსოდ დარჩება. როგორც იცით, სერბებს ორი თამაში აქვთ დარჩენილი, რადგან შაბათს სერბეთი-ყაზახეთი გადაიდო. პორტუგალიამ სომხეთს მხოლოდ 1:0 მოუგო და რაკი წარმატების მიღწევა გაუჭირდა, ეს გარემოება ფინელებს შედარებით ოპტიმისტურად განაწყობს.

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | 13 | 8 | 3 | 2 | 22-10 | 27 |
| პორტუგალია | 13 | 7 | 5 | 1 | 24-10 | 26 |
| ფინეთი | 13 | 6 | 5 | 2 | 13-7 | 23 |
| სერბეთი | 12 | 5 | 5 | 2 | 19-9 | 20 |
| ბელგია | 13 | 4 | 3 | 6 | 13-16 | 15 |
| სომხეთი | 11 | 2 | 3 | 6 | 4-12 | 9 |
| ყაზახეთი | 12 | 1 | 4 | 7 | 10-20 | 7 |
| აზერბაიჯანი | 11 | 1 | 2 | 8 | 6-27 | 5 |

| B ჯგუფი |
|---|
| საქართველო-ლიტვა |
| იტალია-ფარერები |
| უკრაინა-საფრანგეთი |

ჩვენს ჯგუფში მთავარი ინტრიგა უკვე აღარ არსებობს: ევროპის ჩემპიონატზე, როგორც მოსალოდნელი იყო, იტალია და საფრანგეთი ითამაშებენ. შესაბამისად, დამაინტრიგებელი და საინტერესო მხოლოდ ის კომენტარებია, რაც დღევანდელი მატჩების წინ იტალიელთა და ფრანგთა ბანაკებიდან გაკეთდა. მაგალითად, საფრანგეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **რაიმონ დომენეკმა**, რომელსაც თამამად შეიძლება, რომ იტალიელთმოძულე ვუწოდოთ, ირონიული განცხადება გააკეთა: *„დიდი მადლობა იტალიელებს იმისათვის, რომ თავიანთი გამარჯვებით ჩვენც გაგვინაღდეს ევროპის ჩემპიონატზე თამაში. მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ უმოტივაციო შეხვედრებში მონაწილეობა არ მიყვარს. ჩემთვის უმჯობესი იქნებოდა, რომ უკრაინაში გადამწყვეტი და მნიშვნელოვანი მატჩი გვქონოდა."*

ირონიით საუბარი არ დაუწყია იტალიელ **ჯენარო გატუზოს**, რომელმაც არც აცია, არც აცხელა და ფრანგებს პირდაპირ უკბინა: *„კვერცხებზე მკიდია ის, რომ ჩვენი გამარჯვებით ფრანგები ევროპის ჩემპიონატზე გავიყვანეთ. ჩვენ სხვებს არ ვგავართ და მხოლოდ საკუთარ გამარჯვებაზე ვფიქრობთ ხოლმე, ფრანგები კი იმაზე ოცნებობდნენ, რომ იტალია ევროპის ჩემპიონატზე ვერ გასულიყო. შოტლანდია ძალიან შემეცოდა, რადგან მიმაჩნია, რომ სქოთებმა ევროპის ჩემპიონატზე თამაში ფრანგებზე მეტად დაიმსახურეს,"* – თქვა გატუზომ ფარერებთან მატჩის წინ გამართულ პრესკონფერენციაზე.

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 11 | 8 | 2 | 1 | 19-8 | 26 |
| საფრანგეთი | 11 | 8 | 1 | 2 | 23-3 | 25 |
| შოტლანდია | 12 | 8 | 0 | 4 | 21-12 | 24 |
| უკრაინა | 11 | 5 | 1 | 5 | 16-14 | 16 |
| ლიტვა | 11 | 4 | 1 | 6 | 9-13 | 13 |
| საქართველო | 11 | 3 | 1 | 7 | 16-17 | 10 |
| ფარერები | 11 | 0 | 0 | 11 | 3-40 | 0 |

| C ჯგუფი |
|---|
| თურქეთი-ბოსნია |
| მალტა-ნორვეგია |
| უნგრეთი-საბერძნეთი |

ევროპის მოქმედი ჩემპიონი საბერძნეთს უკვე დიდი ხანია, თავი ქუდში აქვს და ამ ჯგუფში მოვლენების განვითარებას მშვიდად ადევნებს თვალს. დღეს მეორე საგზურის მფლობელის ვინაობა უნდა გაირკვეს. ამ მხრივ უპირატესობა თურქეთს აქვს, რომელიც ბოსნიას მასპინძლობს. **ფატიჰ თერიმის** შეგირდებმა შაბათს უშუალო კონკურენტი ნორვეგია მისსავე მოედანზე დაამარცხეს და ის, რომ დღეს ნორვეგიის ბედი უკვე ბოსნიის ხელთაა, სკანდინაველებმა მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ თავს უნდა დააბრალონ.

*„ჩვენ, თურქები სირთულეებს თვითონ ვიქმნით ხოლმე და მერე ამ სირთულეების გადალახვით ძალიან ვხალისობთ. ნორვეგიაში დამსახურებული გამარჯვება ვიზეიმეთ და ახლა ბოსნიასაც მოვუგებთ,"* – ამბობს თერიმი. ნორვეგია კი მალტას სტუმრობს და ალბათ უპრობლემოდ მოიგებს, ზუსტად ისე, როგორც პირველ მატჩში (4:0 სკანდინაველთა სასარგებლოდ).

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 11 | 9 | 1 | 1 | 23-9 | 28 |
| თურქეთი | 11 | 6 | 3 | 2 | 24-11 | 21 |
| ნორვეგია | 11 | 6 | 2 | 3 | 23-10 | 20 |
| ბოსნია | 11 | 4 | 1 | 6 | 16-21 | 13 |
| მოლდოვა | 12 | 3 | 3 | 6 | 12-19 | 12 |
| უნგრეთი | 11 | 4 | 0 | 7 | 10-20 | 12 |
| მალტა | 11 | 1 | 2 | 8 | 9-27 | 5 |

| D ჯგუფი |
|---|
| კვიპროსი-ჩეხეთი |
| გერმანია-უელსი |
| სან მარინო-სლოვაკეთი |

ამ ქვეჯგუფში პირველი ადგილისთვის ბრძოლა გრძელდება: ვის დარჩება ლიდერობა, ჩეხეთს თუ გერმანიას? ბოლო ტურის წინ უპირატესობა ჩეხებს აქვთ. მართალია, მათაც იმდენივე ქულა აქვთ, რამდენიც გერმანელებს, მაგრამ ჩეხეთი ბუნდესგუნდს პირადი ბალანსით სჯობნის. დღეს **კარელ ბრიუკნერის** შეგირდები კვიპროსზე თამაშობენ და თუ მოიგეს, პირველ ადგილზე გავლენ, **იოახიმ ლიოვის** ალემანები კი უელსს უმასპინძლებენ.

გერმანიას გამარჯვება პირველ რიგში იმისთვის სჭირდება, რომ ფინალური ეტაპის წილისყრაზე მეორე კალათაში განთესვა გაინაღდოს და თავიდან აიცილოს, მაგალითად, ისეთ ჯგუფში მოხვედრა, სადაც (დღევანდელი სიტუაციით) იტალია შეიძლება მოხვდეს. გერმანიას უელსთან, ცხადია, დადებითი ბალანსი აქვს: 14 დაპირისპირებიდან, ალემანებმა 7 მოიგეს, 5 თამაში ფრედ დასრულდა, 2-ში კი უელსმა იმარჯვა.

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 11 | 8 | 2 | 1 | 25-5 | 26 |
| გერმანია | 11 | 8 | 2 | 1 | 35-7 | 26 |
| ირლანდია | 12 | 4 | 5 | 3 | 17-14 | 17 |
| უელსი | 11 | 4 | 2 | 5 | 18-19 | 14 |
| კვიპროსი | 11 | 4 | 2 | 5 | 17-22 | 14 |
| სლოვაკეთი | 11 | 4 | 1 | 6 | 28-23 | 13 |
| სან მარინო | 11 | 0 | 0 | 11 | 2-52 | 0 |

| E ჯგუფი |
|---|
| ისრაელი-მაკედონია |
| ანდორა-რუსეთი |
| ინგლისი-ხორვატია |

*„ეს ჩვენი ცხოვრების მატჩია, რომლისთვისაც 100 პროცენტით მზად ვართ!"* – აი, ასეთი განცხადება გააკეთა ინგლისის ნაკრების კაპიტანმა **სტივენ ჯერარდმა** ხორვატიასთან მატჩის წინ.

*„არანაირი ალიბი აღარ გვიშველის. ხორვატიასთან წაფორხილება დაუშვებელია და ეს არც მოხდება,"* – ეს კი ინგლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელის, **სტივ მაკლარენის** სიტყვებია. მიუხედავად იმისა, რომ ხორვატიას ევროპის ჩემპიონატზე თამაში უკვე განაღდებული აქვს, ხორვატები ინგლისში ფეხებს არ გაუფრთხილდებიან. აი, რას ამბობს მათი მწვრთნელი **სლავენ ბილიჩი**: *„ისრაელმა ჩვენ იმის მაგალითი მოგვცა, რომ ფეხბურთი არ არის ბინძური სპორტი. ისრაელი არ დაუწვა რუსეთს და ჩვენც ვალდებულები ვართ, რომ ინგლისთან 100 პროცენტით დავიხარჯოთ. თუ ინგლისელებს ჰგონიათ, რომ მოსაგებად არ ვიბრძოლებთ, ძალიან ცდებიან!"*

ინგლისელებს დღეს ტრავმირებული **მაიკლ ოუენი** არ ეყოლებათ, რომლის სანაცვლოდაც მაკლარენმა ტოტენჰემელ **დარენ ბენტს** უხმო. როგორც იცით, ვერ ითამაშებენ **რიო ფერდინანდი** და **უეინ რუნიც**. იმედგაცრუებულ რუსეთს კი ანდორასთან უწევს თამაში, მაგრამ რუსების ბედი მათ ხელში აღარაა, ვინაიდან მათ ჰქონდათ ე.წ. მატჩ-პოინტი, რომელიც ვერ გამოიყენეს.

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 11 | 8 | 2 | 1 | 25-6 | 26 |
| ინგლისი | 11 | 7 | 2 | 2 | 22-4 | 23 |
| რუსეთი | 11 | 6 | 3 | 2 | 17-7 | 21 |
| ისრაელი | 11 | 6 | 2 | 3 | 19-12 | 20 |
| მაკედონია | 11 | 4 | 2 | 5 | 12-11 | 14 |
| ესტონეთი | 12 | 2 | 1 | 9 | 5-21 | 7 |
| ანდორა | 11 | 0 | 0 | 11 | 2-41 | 0 |

| F ჯგუფი |
|---|
| ესპანეთი-ჩ.ირლანდია |
| დანია-ისლანდია |
| შვედეთი-ლატვია |

რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ჩრდილოეთ ირლანდიას ჯერ კიდევ აქვს იმის შანსი, რომ ევროპის ჩემპიონატზე მოხვდეს. მართალია, ბოლო ტურის წინ ეს შანსი მიზერულია, მაგრამ ის, რომ ჩრდილო ირლანდიელებმა საქმე აქამდე მიიყვანეს, უკვე დიდი მიღწევაა და ამ მიღწევისთვის ისინი **დევიდ ჰილის** უნდა უმადლოდენ, რომელმაც შესარჩევ ციკლში 13 გოლის გატანა მოახერხა. ამ შედეგით ჰილიმ 1996 წელს ხორვატი **დავორ შუკერის** მიერ დამყარებული რეკორდი (12 გოლი) დაამხო. ჩრდილოეთ ირლანდიის მიზერული შანსი კი ასე გამოიყურება: **ნაიჯელ ვორტინგტონის** შეგირდებმა ესპანეთს უნდა სძლიონ, ხოლო შვედეთმა კი საკუთარ მოედანზე ლატვიასთან უნდა წააგოს. ასეთ შემთხვევაში შვედებს და ჩრდილოეთ ირლანდიელებს ქულების თანაბარი რაოდენობა კი დაუგროვდებათ, მაგრამ პირად ბალანსში კუნძულელები გაიმარჯვებენ, რადგან მათ შვედებს 2:1 მოუგეს, მეორე მატჩი კი ფრედ 1:1 დასრულდა.

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 11 | 8 | 1 | 2 | 22-8 | 25 |
| შვედეთი | 11 | 7 | 2 | 2 | 21-8 | 23 |
| ჩ.ირლანდია | 11 | 6 | 2 | 3 | 17-13 | 20 |
| დანია | 11 | 5 | 2 | 4 | 18-11 | 17 |
| ლატვია | 11 | 4 | 0 | 7 | 14-15 | 12 |
| ისლანდია | 11 | 2 | 2 | 7 | 10-24 | 8 |
| ლიხტენშტაინი | 12 | 2 | 1 | 9 | 9-32 | 7 |

| G ჯგუფი |
|---|
| რუმინეთი-ალბანეთი |
| სლოვენია-ბულგარეთი |
| ბელარუსი-ჰოლანდია |

ამ ჯგუფში ყველაფერი გარკვეულია: ევროპის ჩემპიონატზე რუმინეთი და ჰოლანდია მიემგზავრებიან. მიუხედავად ამისა, ჰოლანდიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **მარკო ვან ბასტენი** ზეწოლის ქვეშაა მოქცეული. გავრცელებული ინფორმაციების თანახმად, თუკი რუსეთი ევროპის ჩემპიონატზე ვერ გავა, რაც ალბათ ასეც იქნება, **გუუს ჰიდინკი** ვან ბასტენის მრჩეველი უნდა გახდეს. მაგრამ ჰიდინკმა განაცხადა, თუ რუსეთი ევროპის ჩემპიონატზე ვერ გავა, ამ ტურნირზე მე საერთოდ არ ვიქნებიო, რითაც ეს ინფორმაცია უარყო.

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 11 | 8 | 2 | 1 | 20-6 | 26 |
| ჰოლანდია | 11 | 8 | 2 | 1 | 14-3 | 26 |
| ბულგარეთი | 11 | 6 | 4 | 1 | 16-7 | 22 |
| ალბანეთი | 11 | 2 | 5 | 4 | 11-12 | 11 |
| სლოვენია | 11 | 3 | 2 | 6 | 9-14 | 11 |
| ბელარუსი | 11 | 3 | 1 | 7 | 15-22 | 10 |
| ლუქსემბურგი | 12 | 1 | 0 | 11 | 2-23 | 3 |



იმპერატორ ფატიჰ თერიმის შეგირდებს ევროპის ჩემპიონატისაგან ერთი საშინაო გამარჯვება აშორებთ



რაფა ბენიტესი ლივერპულიდან წასვლას არ აპირებს

ბაიერნი VS ლივერპული

# პიონესი: ბენიტესი ტყუილია

## არავითარი გეგმა B არ არსებობს, რაფა ენფილდზე რჩება...

ამას წინათ, ინგლისურ და გერმანულ პრესაში გავრცელებული ინფორმაცია გაგაცანით. ჩვენი კოლეგები საიდუმლო წყაროზე დაყრდნობით იუწყებოდნენ, რომ მიუნხენის „ბაიერნი" „ლივერპულის" თავკაც **რაფაელ ბენიტესს** უმიზნებს. დაიწერა, რომ ბენიტესი მიუნხენური კლუბის „გეგმა B" არის, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ **ოტმარ ჰიტცფელდი** „ბაიერნთან" კონტრაქტის გაგრძელებას არ მოისურვებს, ბავარიელები „ლივერპულის" დამრიგებელს გადაიბირებენ. მაგრამ გუშინ, მიუნხენური გრანდის გენერალურმა მენეჯერმა **ული ჰიონესმა** განაცხადა, რომ ეს სპეკულაციებია და რომ არანაირი „გეგმა B" არსებობს.

*„ეს ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება. აბსოლუტური ტყუილია, რადგან ჩვენ ბენიტესზე არც კი გვიფიქრია,"* – განუცხადა ჰიონესმა „ზუდდოიჩე ცაითუნგს", რითაც ინგლისური „დეილი მირორისა" და გერმანული „ბილდის" მასალებს ხაზი გადაუსვა.

ჰიტცფელდი ამბობს, რომ თუ ვინმეს დაელაპარაკება, პირველ რიგში „ბაიერნს". ბენიტესისთვის კი, უპირველესი საზრუნავი „ლივერპულია", რასაც რაფა არც მალავს. CNN-ისთვის მიცემულ ინტერვიუში მერსისაიდელთა თავკაცმა სამომავლო გეგმებზე ისაუბრა და ცხადი გახადა, რომ მისი მომავალი ამ ეტაპზე მხოლოდ და მხოლოდ „ლივერპულთან" ასოცირდება და რომ „ბაიერნი" მის გეგმებში არანაირ როლს არ თამაშობს.

*„ჩვენ ჩვენი მიზნები და გეგმები გვაქვს: გვინდა, რომ „ლივერპული" მსოფლიოს უპირველესი კლუბი იყოს, გვინდა, რომ ახალი სტადიონი ავაშენოთ და ერთი სიტყვით, ნელ-ნელა წინ მივიწევთ და მთელს ინფრასტრუქტურას ვაუმჯობესებთ. რაც მთავარია, ჩვენ სწორ გზას ვადგავართ,"* – განაცხადა ბენიტესმა. სიტყვაში „ჩვენ", 47 წლის სპეციალისტი საკუთარ თავსა და კლუბის ამერიკელ მფლობელებს, **ჯორჯ ჯილეტსა** და **ტომ ჰიკსს** გულისხმობს. *„სამ სეზონში შვიდი ფინალი ვითამაშეთ და აქედან 4 მოვიგეთ. ვფიქრობ, ეს არ არის ცუდი შედეგი,"* – ამბობს ბენიტესი.

მართალია, ბენიტესის ხელში „ლივერპული" გაცილებით ძლიერია, ვიდრე ადრე, მაგრამ ამ სამი წლის განმავლობაში აშკარად გამოჩნდა, რომ რაფას „ლივერპული" პრემიერლიგაში ნარუმატებელია. ჩემპიონთა ლიგაში კარგი გამოსვლა და 3 სეზონში ორჯერ ფინალში გასვლა დიდებული შედეგია, მაგრამ „ლივერპულის" გულშემატკივრებისთვის მთავარი მაინც პრემიერლიგაა. შეგახსენებთ, რომ ბენიტესის მწვრთნელობის პირველ სეზონში მერსისაიდელები ჩემპიონ „ჩელსის" 37 ქულით ჩამორჩნენ. გასულ სეზონში კი, ჩემპიონ „მანჩესტერთან" ჩამორჩენამ 21 ქულა შეადგინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეალი

# კასილიასის ყიდვას მთელი ქვეყნის ფული არ ეყოფა

## მადრიდელებმა, ოთხი მილიარდიც რომ შემოგვთავაზონ, მაინც არაფერი გამოუვათო...

მაშინ, როცა მადრიდის "რეალი" შემადგენლობის გაძლიერებაზე ფიქრობს და ამბიციურ გეგმებს ხმამაღლა ახმოვანებს, მის ვარსკვლავებს სხვა გუნდებმა დაადგეს თვალი. საუბარი სწორედ ვარსკვლავებზეა და არა, რომელიმე მეორეხარისხოვან მოთამაშეებზე. შეგახსენებთ, რამდენიმე დღის წინ "ტოტენჰემის" მესვეურებმა **იკერ კასილიასის** გადაბირების სურვილი გამოთქვეს და სავარაუდო სატრანსფერო თანხად 40 მილიონი ევრო დაასახელეს. ლონდონელებმა იქვე დაამატეს, თუ საჭირო იქნება, თანხას მნიშვნელოვნად გავზრდითო. ალსანიშნავია, რომ "ტოტენჰემის" მესვეურებს სამეფო კლუბის პრესსამსახურმა მაშინვე გასცა პასუხი, თუმცა პრეზიდენტს ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი გუშინდლამდე არ გაუკეთებია. აი, რას ამბობს სენიორ **რამონ კალდერონი**: *"ტოტენჰემის მესვეურთა სითამამემ გამაოგნა. ისინი ადგნენ და ჩვენს ერთ-ერთ სიმბოლოს დაადეს ხელი. კი მაგრამ, ბარემ კასილიასთან ერთად რაულის ყიდვაც განეზრახათ. დედამიწის ზურგზე არ არსებობს თანხა, რომლითაც ვინმეს კასილიასის ყიდვა შეუძლია. ის არ იყიდება. თუ არ ვცდები, მათ 40 მილიონი შემოგვთავაზეს. მნიშვნელობა არ აქვს 400 მილიონი, ან თუნდაც 4 მილიარდი რომ დაგვპირდნენ, მოლაპარაკებათა მაგიდას მაინც არ მივუჯდები. გამორიცხულია, კასილიასს ჩემი პრეზიდენტობის განმავლობაში ვერავინ წაიყვანს. ასე რომ, ყველას ვთხოვ, თავი დაგვანებონ. უაზრობაზე საუბარი ყოველგვარ საღ აზრს არის მოკლებული."*

ამასობაში, "რეალს" კიდევ ერთი ფლანგიდან შეუტიეს. მოგეხსენებათ, "მილანს" უნიჭიერესი **სერხიო რამოსის** გადაბირების სურვილი გაუჩნდა. იტალიელებმა ესპანეთისა და შვედეთის მატჩზე საგანგებო ემისარიც მიავლინეს. სიმართლე ითქვას, მისი ვიზიტის მიზანი გაურკვეველია. როგორც წესი, ემისრებს ვარსკვლავებზე დასაკვირვებლად არ უშვებენ. რამოსის შესაძლებლობების შესახებ ისედაც ხომ ყველასთვის ყველაფერი ნათელია. ასეა თუ ისე, აპენინელი ტრიბუნაზე იჯდა და სერხიოს თამაშით ტკბებოდა. კარგად იცით, სამეფო კლუბის ახალგაზრდა მცველმა გოლიც გაიტანა და დაცვაშიც შესანიშნავად იასპარეზა. შედეგმაც არ დაახანა. "როსონერის" შეფებმა სერხიო რამოსის შეძენის სანაცვლოდ 50 მილიონი ევროს გადახდის მზადყოფნა გამოთქვეს. "რეალის" მესვეურთა პასუხმა არ დააგვიანა. როგორც მოსალოდნელი იყო, კასილიასის მსგავსად რამოსის გასხვისებასაც არავინ აპირებს. იქიდან გამომდინარე, რომ



მადრიდელებმა იკერ კასილიასი ხელშეუხებელ ფეხბურთელად გამოაცხადეს

"მილანი" "ტოტენჰემზე" ბევრად უფრო გავლენიანი და მდიდარი კლუბია, ესპანელები მათ წინააღმდეგ უფრო სერიოზული ბარიერების აგებას გეგმავენ. ამ სიტუაციაში ფეხბურთელის შესანარჩუნებლად ყველაზე ეფექტური გადაწყვეტილება მისთვის ხელფასის გაზრდაა. **პრედრაგ მიატოვიჩი** სწორედ ამ ნაბიჯის გადადგმას აპირებს. სამეფო კლუბთან დაახლოებულმა ჟურნალისტებმა დაადგინეს, რომ რამოსს წლიურ გასამრჯელოს დაახლოებით 500 ათასი ევროთი გაუზრდიან. რამონ კალდერონი ფეხბურთელს პირადად შეხვდება და ყველაფერზე გულწრფელად დაელაპარაკება. მოსალოდნელია, რომ ხელფასთან ერთად ახალგაზრდა მცველს კონტრაქტსაც გაუზრდიან.

რუსეთის ნაკრები

# თამაში ზენიტმა წააგო?

## პეტერბურგელმა ვარსკვლავებმა ჰიდინკი გააკვირვეს...

რუსი მიმომხილველები ისრაელთან მარცხს "ზენიტის" ფეხბურთელებს აბრალებენ. თელ ავივში გამგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრე პეტერბურგულმა კლუბმა პირველად 1984 წლის შემდეგ ჩემპიონის ოქროს მედლები მოიპოვა. ჩრდილოეთის დედაქალაქში რამდენიმედღიანი ზეიმი მოეწყო. "ზენიტის" ვარსკვლავები - **არშავინი, ანიუკოვი, ზირიანოვი** და **მალაფეევი** ნაკრებში მოუმზადებლები გამოცხადდნენ. **გუუს ჰიდინკს** იმედგაცრუება არ დაუმალავს. ის ზენიტელებს ცალ-ცალკე შეხვდა და მკაცრად ელაპარაკა. ჰიდინკს მათ პროფესიონალიზმზე უფრო დიდი წარმოდგენა ჰქონდა.

რუსი ჟურნალისტები მომხდარში გასაოცარს ვერაფერს ხედავენ. "ზენიტმა" საკუთარ ფეხბურთელებს ისეთი სიურპრიზები გაუკეთა, რომ თავბრუსხვევას ვერავინ გადაურჩებოდაო. თავად განსაჯეთ: ჩემპიონობისათვის ძირითადი შემადგენლობის თითოეულმა წევრმა 800 ათასი ევრო მიიღო, "სატურნთან" ბოლო ტურში გამარჯვებისათვის კიდევ 100 ათასი. უეფას თასის საგაზაფხულო რაუნდში გასვლისათვის პეტერბურგელებს 450 ათასი ევრო ალუთქვეს. ფეხბურთელებმა დაახლოებით ნახევარი მილიონი გამოიმუშავეს რუსეთის ჩემპიონატში მოხვეჭილი პრემიების სახით. ალარაფერს ვამბობთ ხელფასებზე, რომელიც "ზენიტში" აღმოსავლეთ ევროპაში ყველაზე მაღალი აქვთ.



იმედგაცრუებული გუუს ჰიდინკი ისრაელთან ნამატჩევს

აქვე კიდევ ერთ ინფორმაციას მოგაწვდით, რომელიც ისრაელი-რუსეთის მატჩს ეხება. მოგეხსენებათ, რუსების დამარცხებამ ინგლისს ევროპის ჩემპიონატისაკენ გაუხსნა გზა. **სტივ მაკლარენის** შეგირდებს ხორვატიასთან დღევანდელ საშინაო მატჩში ფრეც ჰყოფნით. შაბათის თამაშის წინ ისრაელის გამარჯვებაზე არა ერთმა ინგლისელმა დადო ფსონი. მათ ფინანსურ ინტერესზე მეტად, პატრიოტული გრძნობები ამოძრავებდათო, თქვა საბუქმეიქერო კანტორა "ლედბროუქსის" წარმომადგენელმა. პატრიოტიზმი კი ყოველთვის ძვირად ფასობს. გამარჯვებულ კლიენტებს "ლედბროუკსმა" თითქმის 10 მილიონი გირვანქა (20 მილიონი დოლარი) მიუთვალა.

საქველმოქმედო მატჩი

# რონალდო და ზიდანი ესპანეთში დაბრუნდნენ



ზინედინ ზიდანს მეფური დახვედრა მოუწყვეს

**რონალდო** და **ზინედინ ზიდანი** ესპანეთში დაბრუნდნენ. მათ გაეროს ეგიდით გამართულ საქველმოქმედო მატჩში მიიღეს მონაწილეობა. "რეალის" ყოფილი გალაქტიკოები ამ ორგანიზაციის კეთილი ნების ელჩები არიან. თამაში, რომელსაც მალაგის "ლა როსალედამ" უმასპინძლა, სიღარიბის წინააღმდეგ იყო მიმართული. მას 33 ათასი მაყურებელი დაესწრო. მეტოქეებმა ერთმანეთს ორ-ორი გოლი გაუტანეს. ზიდანმა ერთი ბურთი და შედეგიანი გადაცემა მიითვალა. თამაშის წინ ბავშვებმა და ახალგაზრდა გულშემატკივრებმა დამცავი ბარიერი გაარღვიეს და ზიზუს გარს შემოეხვივნენ. ზინედინმა მე-11 წუთზე გახსნა ანგარიში. მას გოლი საჯარიმო დარტყმით გაიტანა. ბურთი ცოცხალ კედელში მდგარ ფეხბურთელს მოხვდა და მიმართულება შეიცვალა. ბარსელონელმა **ვიქტორ ვალდესმა** ვერაფერი გააწყო. ტაიმის მიწურულს ზიზუს ხარიხა შეაზანზარა. ასხლეტილი ბურთი კარის წინ მდგომ **როკე ჟუნიორს** ფეხებთან მიუგორდა. მას უმარტივესი გოლის გატანა არ გასჭირვებია. ზიდანი 57-ე წუთზე შეცვალეს. ნამატჩევს ვეტერანმა აღიარა, რომ ძალიან დაიღალა, მაგრამ სანამ შეეძლება, ასეთ მატჩებში სიამოვნებით ითამაშებს.

რონალდომ ამ სეზონში პირველად გააგორა ბურთი. ის "რეალიდან" "მილანში" იანვრის ტრანსფერებისას გადავიდა. ბრაზილიელ თავდამსხმელსაც ძალიან თბილად შეხვდნენ. პირველ ტაიმში თავისი გუნდის საუკეთესო მომენტი ფენომენს ჰქონდა. მან ახლო მანძილიდან დაარტყა, მაგრამ ლიხტენშტაინის ნაკრებისა და "ბოავიშტის" მეკარემ **პეტერ იელემ** ოსტატურად მოიგერია. რონალდო 30-ე წუთზე შეცვალეს. მისი გუნდიდან გოლები გაიტანეს **ჟულიო დოს სანტოსმა** და ალმერიელმა თავდამსხმელმა **ალვარო ნეგრედომ**, რომელიც მილანელი ვარსკვლავის ნაცვლად გამოვიდა. რამდენიმე მომენტი შექმნა "ფორმულა ერთში" მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონმა **მიხაელ შუმახერმა**. თამაშს ლეგენდარული იტალიელი არბიტრი **პიტერლუიჯი კოლინა** სჯიდა.

ტრავმა

# როდის დაბრუნდება ოუენი?

## ლაზარეთში ყოფნისას თავდამსხმელს ხელფასს საფეხბურთო ასოციაცია გადაუხდის...

ავსტრია-ინგლისი სამხანაგურ მატჩში მაიკლ ოუენმა მორიგი ტრავმა მიიღო. ის გაურკვეველი ვადით ჩამოშორდა მინდორს. "ნიუკასლმა" ინგლისის საფეხბურთო ასოციაციისაგან კომპენსაცია მოითხოვა და მიაღწია კიდეც მიზანს. "სანის" ცნობით, ასოციაცია დათანხმდა, ჯორდებს კვირაში 100 ათას გირვანქა გადაუხადოს იმ დრომდე, სანამ ფეხბურთელი შემადგენლობას არ დაუბრუნდება. ეს ოუენის კვირეული ხელფასია. ტრავმის პერიოდში თავდამსხმელის საკლუბო ჯამაგირს საფეხბურთო ასოციაცია აანაზღაურებს.

"ნიუკასლმა" ოუენი გერმანიაში მიავლინა. ინგლისელი ფორვარდი გერმანიის ნაკრებისა და "ბაიერნის" ექიმმა **ჰანს-ვილჰელმ მიულერ-ვოლფარტმა** გასინჯა. ბოლო სამი წელია, 27 წლის ფეხბურთელს ქრონიკული ტრავმები აწუხებს. ის "ნიუკასლში" 28 თვის წინ ჩაირიცხა, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ 25 თამაში ჩაატარა და 10 გოლი შეაგდო. ოუენი გერმანიაში სექტემბრის მიწურულსაც იმყოფებოდა. ის სხვა გერმანელი ექიმის **ულრიკე მუშავეკის** პაციენტი იყო. ამ უკანასკნელმა ოუენს საზარდულის ოპერაცია გაუკეთა და რვა დღეში ფეხზე დააყენა. მინდორზე დაბრუნებულმა თავდამსხმელმა "ევერტონთან" მატჩში (3:2) გოლიც შეაგდო, შემდეგ კი ესტონეთსა და რუსეთთან შესარჩევ მატჩებში ითამაშა.



ბექჰემი და ოუენი, ავსტრიასთან მატჩისთვის სამზადისში

### რეინამ როხიბლანკოს უარი შეუთვალა

"ლივერპულის" მეკარემ, **პეპე რეინამ** გაკვირვებით განაცხადა, რომ მისი გადაბირების სურვილი მადრიდის "ატლეტიკოს" გაუჩნდა. გაკვირვების მიზეზი მოულოდნელობა გახლდათ. რეინა "როხიბლანკოს" დაინტერესებას არ ელოდა. მიუხედავად იმისა, რომ მამამისი "ატლეტიკოს" წარმატებული ფეხბურთელი იყო, მისთვის ეს შეთავაზება მაინც წარმოუდგენელი გახლდათ. რეინამ დედაქალაქელთა ინიციატივის შესახებ ასეთი რამ თქვა: *"ძალიან სასიამოვნოა, რომ ჩემი ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბი მეპატიჟება. "როხიბლანკო" საუცხოო ფეხბურთს თამაშობს. მადლობის მეტი არაფერი მეთქმის, მაგრამ ამ ეტაპზე სამშობლოში დაბრუნებას არ ვაპირებ. "ლივერპულში" შესანიშნავად ვგრძნობ თავს. შარშან სახლი გამიქურდეს და ცოტა გავბრაზდი, მაგრამ შემდეგ დავმშვიდდი და მივხვდი, რომ მსგავსი რამ ყველგან შეიძლება მოხდეს. გულწრფელად ვიტყვი, გუნდის გამოცვლა არ მსურს. კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ "ლივერპულში" შესანიშნავად ვგრძნობ თავს. აქ ძალიან ბედნიერი ვარ."*

### სევილია: კანუტეს ლიდსონი შეცვლის?

"სევილიამ" ლისაბონის "სპორტინგის" თავდამსხმელ **ლიდსონს** დაადგა თვალი. ანდალუსიელები 29 წლის ბრაზილიელს **ფრედერიკ კანუტეს** შემცვლელად მოიაზრებენ. "სევილიის" ყოფილი დამრიგებელი **ხუანდე რამოსი** კანუტეს "ტოტენჰემში" ეპატიჟება. მოსალოდნელი ტრანსფერის დეტალები უცნობია. იანვრის ფანჯრისას "სანჩეს პისხუანიდან" აბარგებას უწინასწარმეტყველებენ **ენცო მარესკას**. იტალიელ ნახევარმცველს სათამაშო პრაქტიკა აკლია. ის ესპანეთში იჯარით ასპარეზობს. მარესკა "იუვენტუსის" საკუთრებაა და შეიძლება, ტურინში დაბრუნდეს.

### მილანური ამბები

"მილანმა" "ფიორენტინასთან" მოლაპარაკებები გააქტიურა. "როსონერის" ფრანგი მეკარის, **სებასტიან ფრეის** შეძენა სურს. ფრეის ფლორენციაში წლიურად 1.4 მილიონ ევროს უხდიან. მილანელები მას უფრო მაღალ ხელფასს შესთავაზებენ. ამას გარდა, "იებს" კატანიელ მეკარე **ჩირო პოლიტოს** უყიდიან. "ფიორენტინას" ფრეისთან განშორება არ სურს. კლუბი ყველაფერს ილონებს, რათა გოლკიპერი მინიმუმ სეზონის ბოლომდე შეინარჩუნოს. "მილანის" სატრანსფერო ამბიციები ამით არ ამოიწურება. მას შვედეთის ნაკრების მცველის, ოლოფ მელბერგის გადაბირებაც სურს. მელბერგს "ასტონ ვილასთან" კონტრაქტი ივნისში უმთავრდება. ამ ფეხბურთელით "იუვენტუსიც" დაინტერესდა. მილანელებმა "დეპორტივოს" მარცხენა გარემარბ ანდრეს გუარდადოსაც დაადგეს თვალი. 21 წლის მექსიკელს ამ სეზონის ევროტურნირში არ უთამაშია. ამიტომ ტრანსფერის შემთხვევაში, შეუძლია, "როსონერის" ჩემპიონთა ლიგაში დაეხმაროს.

### ვის ყიდულობს იუვენტუსი?

"იუვენტუსი" "ვილიარეალის" მცველ **მარტინ კასერესით** დაინტერესდა. ურუგვაელი ლეგიონერი იჯარით "რეკრეატივოშია" მივლენილი. კასერესი 19 წლისაა. მან "არსენალისა" და "რეალის" ყურადღებაც მიიპყრო. ამასობაში, "იუვემ" მოსკოვის ლოკომოტივისა და სერბეთის ნაკრების მცველის, **ბრანისლავ ივანოვიჩის** სანაცვლოდ 8 მილიონი ევრო გაამზადა. მოსკოველებს კი მინიმუმ 15 მილიონი უნდათ. აქვე გეტყვით, რომ იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ ტურინული გრანდი 20 ათასი ევროთი დააჯარიმა. "ინტერთან" მატჩისას ტურინელმა გულშემატკივრებმა გამოაკრეს პლაკატი, რომელზეც ეწერა: "იბრაჰიმოვიჩი - ბინძური ციგანი". ფედერაციამ პლაკატი რასისტულად მიიჩნია და "ქალბატონს" სანქცია გამოუწერა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ოლივერ ბირჰოფი და რუდი ფიოლერი ერთმანეთს დაუპირისპირდნენ

დაპირისპირება

# გმირთა ჯახი: ბირჰოფი vs ფიოლერი

## რუდი: სასაცილოა, როცა ბრაზილიურ სტილზე საუბრობს კაცი, რომელსაც მალტელის ფეხები ჰქონდა! ოლივერი: ფიოლერს დემაგოგიური სტილი აქვს!

**გერმანიაში** ახალ დაპირისპირებას აქვს ადგილი და ამჯერად საქმე ძალიან სერიოზულადაა, რადგან ერთმანეთს გერმანული ფეხბურთის ორი ლეგენდარული თავდამსხმელი, 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონი რუდი ფიოლერი და 1996 წლის ევროპის ჩემპიონი ოლივერ ბირჰოფი წაეკიდნენ. თანაც იმდენად სერიოზულად, რომ ლამისაა, ერთმანეთს შეურაცხყოფა მიაყენონ. რა აქვთ 47 წლის „რუხ მგელს" და 39 წლის ბირჰოფს გასაყოფი?

**როგორც** იცით, **ბირჰოფი** ახლა გერმანიის ნაკრების მენეჯერია, **ფიოლერი** კი ლევერკუზენის „ბაიერის" სპორტული დირექტორი გახლავთ. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ რუდიმ ოლივერი მწარედ გააკრიტიკა, მისი პოპულისტური და რაც მთავარია, ყოველგვარ საფუძველს მოკლებული სიტყვების გაგონება აღარ მინდა, როგორც ჩანს, თავში აუვარდაო. ბირჰოფს ეს სიტყვები, რა თქმა უნდა, არ ეპიტნავა და ყოფილ მწვრთნელს პასუხი გასცა. საბოლოოდ კი დიდი შეტაკება მივიღეთ, რომელსაც დაწვრილებით გთავაზობთ.

ფიოლერის შენიშვნა: *„მინდა, ოლივერ ბირჰოფს თავმდაბლობისკენ მოვუწოდო და ვურჩიო, რომ უფრო თავშეკავებული გახდეს. აბსოლუტურად ყველა ინტერვიუში საკუთარ, ყველაზე მართებულ და გრანდიოზულ ფილოსოფიაზე საუბრობს და მე ამის მოსმენა უკვე აღარ შემიძლია! ის დღენიადაგ თავს იქებს და იწონებს გერმანიის ნაკრების წარმატებით, ბუნდესლიგას და გერმანულ კლუბებს კი მუდმივად კბენს!"*

ბირჰოფის რეაქცია: *„ფიოლერის ამ განცხადებამ ძალიან გამაკვირვა, რადგან ჯერ ერთი, მე მხოლოდ საკუთარ თავზე კი არა, მთლიანად გერმანიის საფეხბურთო კავშირის საქმიანობაზე ვსაუბრობდი და მთელი გუნდის ერთობლივ წარმატებად მივიჩნევ იმას, რაც დღეს გერმანულ სანაკრებო ფეხბურთში გვაქვს. მე არ ვაკრიტიკებ ბუნდესლიგაში მომუშავე ფუნქციონერების საქმიანობას და არ ვიცი, რატომ უჩნდებათ კლუბების შეფებს ასეთი განცდა. როგორც ჩანს, დაკომპლექსებულები არიან და ყველაფერს უკუღმა იგებენ!"*

ფიოლერის შენიშვნა: *„ჩემი აზრით, ბირჰოფი ამ დღეებში დოქტორ მიულერ-ვოლფარტს (გერმანიის ნაკრების ექიმია – გ.ლ) უნდა გაესინჯოს, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ პერმანენტულად საკუთარი თავის მხარდაჭერა ადამიანს ვნებს. ის განდიდების მანიით არის ავად!"*

ბირჰოფის რეაქცია: *„ეს სიტყვები შეურაცხყოფას ჰგავს! მე ყოველთვის ფაქტებით ვსაუბრობ და საერთო კონცეფციას ვაქებ, კონცეფციას, რომელმაც გერანიის ნაკრები წარმატების გ ზაზე დააბრუნა და ისევ გრანდად აქცია. ამ ყველაფერს კი, თავის ქებასთან არანაირი კავშირი არა აქვს. ფიოლერს ჩემგან განსხვავებით, არანაირი არგუმენტები არ გააჩნია! ეს დემაგოგიური სტილია. მე არ ვაპირებ ჩემი საქმიანობის შეწყვეტას, ძველებურად გავაგრძელებ და ყოველთვის ვისაუბრებ წარმატებაზე, როცა ამის საშუალება მომეცემა."*

ფიოლერის შენიშვნა: *„ისეთი გრძნობა მაქვს, რომ გერმანიის საფეხბურთო კავშირში მხოლოდ და მხოლოდ ფილოსოფიებზე ლაპარაკობენ და მეტი არაფერი აინტერესებთ. ფილოსოფია ძალიან ზოგადი სიტყვაა და ყოველთვის შეიძლება ამ სიტყვით მანიპულირება. რაც შეეხება გერმანიის ნაკრების დღევანდელ სათამაშო ფილოსოფიას, ეს ბავშვთა ფეხბურთში გაწეული უდიდესი სამუშაოს დამსახურებაა."*

ბირჰოფის რეაქცია: *„ვფიქრობ, რუდი ამ განცხადებაშიც შეცდომას უშვებს. მე არ ვუარყობ, რომ გერმანიის ნაკრების წარმატებები ბავშვთა ფეხბურთში გაწეული უდიდესი სამუშაოს დამსახურებაა, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ კონცეფციას და ფილოსოფიას თვითონ გამოვიმუშავებთ და ვადგენთ. 2004 წელს ამ მხრივ ძალიან მძიმე სურათი იყო და ეს ყველას გვახსოვს (იმ დროს გერმანიის ნაკრებს სწორედ ფიოლერი წვრთნიდა – გ.ლ.). მერე კი მოვიდა იურგენ კლინსმანი და ეს ფილოსოფიაც სწორედ მან ჩამოაყალიბა."*

ფიოლერის შენიშვნა: *„ცოტათი სასაცილოა ის, რომ ფეხბურთის თამაშის ბრაზილიურ სტილს ითხოვს ყოფილი ფეხბურთელი, რომელიც ფეხით არცერთ მალტელზე უკეთ არ თამაშობდა! ყველას გვახსოვს, რომ ბირჰოფს მალტელის ფეხები ჰქონდა..."*

ბირჰოფის რეაქცია: *„ეს სისულელეა! რა მნიშვნელობა აქვს, მალტელის ფეხები მაქვს, თუ სან მარინოელის, აქ მთავარია, არის თუ არა ჩვენი ფილოსოფია სწორი და წარმატებული გერმანული ფეხბურთისთვის. იტალიაში „მილანთან" ერთად ჩემპიონი და სერია A-ს საუკეთესო ბომბარდირი გავხდი. ჯერაც იმ მცირერიცხოვანი მოთამაშეების სიაში ვარ, რომლებმაც 100-ზე მეტი გოლი გაიტანეს. სამწუხაროდ, არცერთ გერმანელ ფეხბურთელს ეს არ მოუხერხებია."*

მაშ ასე, ბირჰოფი ფიოლერის განცხადებებს სისულელეს უწოდებს და რუდის დემაგოგიურ სტილზე საუბრობს. აღსანიშნავია, რომ რუდი და ოლივერი არასდროს იყვნენ საუკეთესო მეგობრები. როდესაც ფიოლერი გერმანიის ნაკრების მთავარიუ მწვრთნელი გახდა, მან ბირჰოფს კაპიტნის სამკლაური ჩამოართვა და გუნდის თავად **ოლივერ კანი** დანიშნა. ბოლოს კი, ბირჰოფი ფიოლერის ხელში მუდმივად სათადარიგოთა სკამს ხესავდა. მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის ფინალში (0:2 ბრაზილიასთან), რუდიმ ბირჰოფი მხოლოდ ბოლო 16 წუთი ათამაშა.

*„ბირჰოფს ინსცენირებული გამოსვლა ჰქონდა. მან ამდენი სისულელე არ უნდა ილაპარაკოს. აგერ უკვე რამდენიმე კვირაა, რაც სხვადასხვა ხერხებით ცდილობს, ბუნდესლიგის წარმომადგენლებს ჭკუა დაარიგოს და ასწავლოს, თუ როგორ უნდა იმუშაოს საფეხბურთო ფუნქციონერმა. ეს ძალიან მახინჯი ჟესტია. ზუსტად ვიცი, რომ მისი ასეთი პოპულისტური ქცევები გერმანიის საფეხბურთო კავშირშიც არ მოსწონთ."* – ასეთია ფიოლერის საბოლოო სიტყვა.

ამ ყველაფრის ფონზე, „ბილდი" ბუნდესლიგასა და ბუნდესგუნდს შორის მიწისძვრებს წინასწარმეტყველებს...

**გოტფრიდ ლენცი**

ინტერვიუ ბოიან კრკიჩთან

# ვაპირებ, ბარსელონაში ჩემი ეპოქა შევქმნა

## უარი სერბეთს, არჩევანი ესპანეთის ნაკრების სასარგებლოდ გაკეთდა

**17 წლის ბოიან კრკიჩი "ბარსელონის" ვარსკვლავად იქცა. რა თქმა უნდა, სუპერვარსკვლავობაზე საუბარი ჯერ ნაადრევია, მაგრამ ფაქტია, თინეიჯერი ფორვარდი კატალონიურ გრანდში მშვენივრად გრძნობს თავს. ჯერ-ჯერობით მას მისხალი მღელვარება და გამოუცდელი ფეხბურთელებისთვის დამახასიათებელი ნერვიულობა არ ეტყობა. ფრენკ რაიკაარდი ცდილობს, ახალგაზრდა შეგირდს შესაძლებლობების გამომჟღავნების შანსი მისცეს. თავდაპირველად ბოიანი მხოლოდ საფინალო სასტვენამდე ერთი ან ორი წუთით ადრე გამოჰყავდა ხოლმე, მაგრამ დროთა განმავლობაში ნდობა გაიზარდა. თავად განსაჯეთ, რაიკაარდმა კრკიჩი ერთხელ ძირითად შემადგენლობაშიც კი დააყენა. მან უკვე გოლის გატანაც მოასწრო. ერთი სიტყვით, ბოიანს კატალონიური საფეხბურთო საზოგადოება უდიდეს ნდობას უკავშირებს.**

**- ჯერ მხოლოდ 17 წლის ხართ, მაგრამ "ბარსას" ერთ-ერთ ყველაზე იმედისმომცემ ვარსკვლავად ჩამოყალიბდით... თქვენი ცხოვრება სერიოზულად შეიცვალა?**

- სიმართლე გითხრათ, შეიცვალა. როცა 17-წლამდელთა მუნდიალიდან დავბრუნდი, ყველაფერი შეცვლილი დამხვდა. აღმოვაჩინე, რომ პრესა ჩემით აღფრთოვანებული იყო. ვფიქრობ, სრულიად არ ვიმსახურებდი, მაგრამ სტატიების ავტორები ფრენკ რაიკაარდისგან ღიად ითხოვდნენ "ბარსელონის" ძირითად გუნდში ავეყვანე. გამოგიტყდებით, ძალიან მესიამოვნა, მაგრამ ამავდროულად გამიკვირდა. მართალია, ახალგაზრდულ მუნდიალზე კარგად ვითამაშე, მაგრამ "ბარსას" ძირითადი გუნდი ხომ სულ სხვა განზომილებაა. ჩემთვის სრულიად მოულოდნელად რაიკაარდმა მიხმო და მითხრა, რომ შესაძლებლობის გამომჟღავნების შანსს მომცემდა. როგორც ხედავთ, მთავარმა მწვრთნელმა სიტყვა შეასრულა.

**- რას გრძნობთ, როცა გულშემატკივრები ქუჩაში გაჩერებენ?**

- შესანიშნავი გრძნობაა. ვაცნობიერებ, რომ გულშემატკივრები მაფასებენ და ჩემგან კარგ თამაშს ელიან. ვაღიარებ, ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა, მაგრამ ამავდროულად ვაცხადებ, რომ ყველაფერს გავაკეთებ, რათა გაცემული ავანსები გავამართლო და "ბარსელონას" მაქსიმალური დახმარება გავუწიო. მჯერა, თანაგუნდელების დახმარებით დიდ ამოცანებს გადავჭრი.

**- ხომ არ გეჩვენებათ, რომ თქვენს ცხოვრებაში ყველაფერი ძალიან სწრაფად ხდება?**

- შესაძლოა, ასეც იყოს. არასრულ ერთ წელიწადში იმდენი რამ მოხდა, რასაც ვერასოდეს წარმოვიდგენდი. თითქოს, ნაადრევად დავბრძენდი (იცინის). "ბარსელონის" სათადარიგო გუნდიდან ძირითად კოლექტივში აღმოვჩნდი. დროის უდიდეს ნაწილს ახლა ისეთი ვარსკვლავების მხარდამხარ ვატარებ, როგორებიც რონალდინიო, მესი, დეკუ და სხვები არიან. შეუძლებელია, მათთან თანაცხოვრებამ შედეგი არ გამოიღოს. ამ გენიალური ბიჭებისგან ფასდაუდებელ გამოცდილებასა და ცოდნას შევიძენ.

**- გუნდში არსებულ სიტუაციაზე რას მეტყვით?**

- პირველ ყოვლისა უნდა აღვნიშნო, რომ "ბარსელონას" ფანტასტიკური შემადგენლობა ჰყავს. ჩვენ მსოფლიო დონის ვარსკვლავები გვყავს. ამის გათვალისწინებით, "ბარსა" ბუნებრივად ხდება მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთი უპირველესი გრანდი. სამწუხაროდ, დღეს მცირე პრობლემები გვაქვს. ეს ძირითადად გასვლით შეხვედრებს ეხება. მჯერა, პრობლემებს მალე გავუმკლავდებით. გამორიცხულია, პლანეტის საუკეთესო მოთამაშეებმა სასურველ შედეგებს არ მიაღწიონ. რაიკაარდი ინტენსიურად მუშაობს იმისთვის, რომ მცირე კრიზისის დაძლევის უმოკლესი გზები გამონახოს. შემადგენლობას დავუბრუნდები და ვიტყვი, რომ ბიჭებმა შესანიშნავად მიმიღეს. დაუვიწყარია ძირითად გუნდში გადმოსვლის პირველი დღეები. ყველა ისე მეპყრობოდა, როგორც ძმასა და შვილს (იცინის). ისინი გამოცდილებას მიზიარებენ, თავიანთი ცხოვრების შესახებ მიყვებიან და მარწმუნებენ, რომ ახლა ჩემთვის ნერვიულობა ყველაზე დიდი მტერი შეიძლება გახდეს. ყოველ შემთხვევაში, მათ მიერ განვლილი გზა სწორედ ამაზე მეტყველებს.

**- თუ არ დაგვზარდებით, "ბარსელონის" ძირითად გუნდში გატარებული პირველი დღე გაიხსენეთ...**

- პატარა ბავშვს ვგავდი, რომელსაც ყველაფრის რცხვენია. ვწითლდებოდი და დაჭყეტილი თვალებით ვიყურებდოი. ცხადია, ეს ფაქტი უფროსებისთვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა. არაფერი უკვირდა, რადგან ჩემი სახით ისინი განვლილ ცხოვრებას ხედავდნენ. როგორც მოგახსენეთ, ძალიან თბილად მიმიღეს. ბოლოს დავმშვიდდი და მივხვდი, რომ ზღაპრულ, საოცნებო სამყაროში ამოვყავი თავი.

**ყველაზე კარგი ურთიერთობა ვისთან გაქვთ?**

- სისინიოსთან და ეტოოსთან. სხვათა შორის, სამუელი ყველაზე მეტად მეხმარება. სამწუხაროდ, სერიოზული ტრავის გამო ერთად მუშაობის შესაძლებლობა ჯერ არ მოგვცემია. ეტოო მხოლოდ თეორიულ გაკვეთილებს მიტარებს, მაგრამ მალე ტრავმას მოირჩენს და ძირითად შემადგენლობას დაუბრუნდება. ამის შემდეგ კი პრაქტიკულ მეცადინეობებსაც ჩამიტარებს. ამის თქმა სულაც არ მეთაკილება. სად ჩემი და სად სამუელის გამოცდილება. ის პლანეტის ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდია და სწავლა აშკარად სასიკეთოდ წამადგება. მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. კამერუნელს არასოდეს ეზარება ჩემს კითხვას უპასუხოს და ამიხსნას ის, რაც არ ვიცი, ან არ მინახავს.

**- რონალდინიოზე რას ფიქრობთ. ის მართლაც ისეთი ძლიერია, როგორი სახელიც აქვს?**

- განა ამას კითხვა სჭირდება? რონალდინიო უდიდესი პროფესიონალია. ახეთი ტექნიკა, პასი და აზროვნება დიდი იშვიათობაა. ამასთან ისიც სათქმელია, რომ რაც არ უნდა სერიოზული პრობლემა აწუხებდეს, მაინც იღიმის და სიტუაციას არ ძაბავს. დამერწმუნეთ, რონალდინიოს ღიმილი თანაგუნდელებზე ძალიან სასარგებლოდ მოქმედებს. გაუჩო ერთ-ერთი ლიდერია მოედანზე და მის მიღმა.

**- რაიკაარდი რას გეუბნებათ. მისი აზრით, რა უნდა გააკეთოთ იმისთვის, რომ თამაშის ხარისხი გააუმჯობესოთ და ზრდა სწრაფი ტემპებით გააგრძელოთ?**

- უნდა მოგახსენოთ, რომ მთავარი მწვრთნელი ჩემსადმი დიდი მოთმინებითაა განწყობილი. ის ამბობს, რომ საჩქარო არაფერი მაქვს. მართლაც, 17 წლის ახალგაზრდას სად უნდა ეჩქარებოდეს? მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. ჩემს ასაკს კიდევ ერთხელ ვახსენებ და ვიტყვი, რომ რაიკაარდმა 17 წლის სრულიად გამოუცდელი მოთამაშე "ბარსელონის" ძირითად გუნდში გადმოიყვანა. მოგეხსენებათ, მან არაერთხელ მომცა შესაძლებლობების გამომჟღავნების შანსი. მპირდება, მომავალში კიდევ უფრო მეტი ხნით შეგიშვებ მოედანზეო. ვფიქრობ, მწვრთნელი ძალიან კმაყოფილია. მის დარიგებებს რაც შეეხება, ყოველთვის ერთსა და იმავეს ჩამჩიჩინებს, თავში არ აგივარდეს და მუყაითად შრომა გააგრძელეო (იცინის). აი, ეს არის მისი მთავარი მოთხოვნა.

**- რა მიზნებს ისახავთ უახლოეს მომავალში?**

- ზოგადად უდიდესი და უაღრესად ამბიციური მიზნები მაქვს, მაგრამ ვიცი, რომ ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა ვიარო წინ. წინააღმდეგ შემთხვევაში, პრობლემებს ვერ გავექცევი. ყველაზე საჩქარო მიზანი "კამპ ნოუზე" გოლის გატანაა. ამ დღეს მოუთმენლად ველი. წარმომიდგენია, როგორ ემოციებთანაა დაკავშირებული "ბარსელონის" ფეხბურთელისთვის ლეგენდარულ "კამპ ნოუზე" პირველი გოლის გატანა. ახლაც კი ჟრუანტელი მივლის. არადა, ჯერ არ გამიტანია (იცინის).

**- ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ეს მხოლოდ დროის საკითხია.**

- დიდი მადლობა.

**- არ გეშინიათ, რომ მეტისმეტად დიდ იმედებს გიკავშირებენ. გაცემული ავანსები რომ ვერ გაამართლოთ? ფსიქოლოგიური წნეხი არ გემუქრებათ?**

- როგორი წნეხი? ეს რა სიტყვებით მელაპარაკებით. ხომ არ დაგავიწყდათ, რომ სულ რაღაც 17 წლის ვარ (იცინის). ჩემს ასაკში წნეხზე არავინ ფიქრობს და წუხს. ახალგაზრდები რადიკალები და თამამები ვართ. ოდნავად არ მეშინია, რომ გაცემულ ავანსებს ვერ გავამართლებ. ღმერთმა ორი ფეხი და ნიჭი მომცა. რატომ ვერ უნდა მივაღწიო დასახულ მიზნებს? ოპტიმიზმით ვარ აღსავსე. ყველაფერს გავაკეთებ, რათა გავძლიერდე და "ბარსელონაში" ჩემი ეპოქა შევქმნა.



ბოიან კრკიჩი, ბარსელონისა და ესპანეთის ამომავალი ვარსკვლავია

**- რა ბრძანეთ?**

- დიახ, ვაპირებ, "ბარსელონაში" ჩემი ეპოქა შევქმნა. საამისოდ ყველა პირობა მაქვს.

**- ლუის არაგონესმა განაცხადა, ბოიან კრკიჩი ესპანეთის ნაკრების ხვალინდელი დღის კაშკაშა ვარსკვლავიაო. არ გამორიცხავენ, ლუისმა დაგიძახოთ...**

- მადლობის მეტი ამ შემთხვევაშიც არაფერი მეთქმის, მაგრამ მიმაჩნია, რომ ეროვნული გუნდი ჩემთვის ჯერ ნაადრევია. 17 წლის ვარ. მომავალში კი "სელექსიონისთვის" თავს არ დავზოგავ.

**- ესეიგი სერბებს გადავცეთ, რომ თქვენზე არც კი იოცნებონ?**

- რა თქმა უნდა. თუ დამიძახებენ, უარს ვეტყვი და ესპანეთის ეროვნული მაისურს მოვირგებ. სხვათა შორის, ესპანეთის 21-წლამდელთა ნაკრებში უკვე ვიასპარეზე და მგონი, არც აქვთ უფლება სერბეთში მათამაშონ. არ ვიცი, შესაძლოა, ვცდებოდე, მაგრამ ის კი ნამდვილად ვიცი, რომ "სელექსიონის" ღირსებას დავიცავ.

**ილია ნიკოლაიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა






უეფას პრეზიდენტმა მიშელ პლატინიმ ჩემპიონატი აღმოსავლეთ ევროპელებს უბოძა

ევრო 2012

# საფეხბურთო ხუთწლედი

## ევრო 2012-ის დაწყებამდე თითქმის ხუთი წლის დარჩენილი, მაგრამ მასპინძელ ქვეყნებს, პოლონეთსა და უკრაინას პრობლემები აქვთ...

**ცოტა ხნის წინ, კიევი უეფას წარმომადგენლობითმა დელეგაციამ მოინახულა, რომელსაც გენერალური მდივანი დევიდ ტეილორი ხელმძღვანელობდა. სტუმრებმა ყველაფერი შეამოწმეს - სასტუმროდან დაწყებული და უსაფრთხოებით დამთავრებული. და რადგან, ამიერიდან ასეთი ვიზიტები ყოველ სამ თვეში ერთხელ ჩატარდება, უნდა ვიფიქროთ, რომ მალე ქვეყანაში პოლიტიკურ შოუებს ღირსეული კონკურენტი გამოუჩნდება.**

უკრაინა საფეხბურთო მოსავლისთვის ბრძოლაში ჩაება. პირველი საბიუჯეტო სახსრები უკვე დახარჯულია. მაგალითად, უეფას ექსპერტებმა ხარკოვს (ეს ქალაქი ჩემპიონატის სარეზერვო სიაშია მოხვედრილი) რეკომენდაცია მისცეს იმის თაობაზე, რომ ქალაქში არსებული დიდი რაოდენობით მაწანწალა ძაღლების პრობლემა მოეგვარებინა. ასე რომ ახლა, ადგილობრივ უპატრონო ძაღლებს იჭერენ და მათზე სამედიცინო ცდებს ატარებენ: ამით სამედიცინო სასწავლებლების სტუდენტები სპეციალურ ცენტრში არიან დაკავებულნი. ჯერ ძნელია იმის თქმა, შეამცირებს თუ არა ეს პროცესი ძაღლების რაოდენობას, სამაგიეროდ, ბიუჯეტი ნელ-ნელა ათვისებული იქნება.

სხვა ქალაქში, მერი ევრო 2012 პროგრამით გამოყოფილ ფულს ახალი პროზექტურის ასაშენებლად ხარჯავს: აქაოდა, ჩემპიონატზე ბევრი ხალხი ჩამოვა, მორგი კი, ჩვენთან მოძველებულიაო. თუმცა ზედა ინსტანციებში ეს ინიციატივა არ მოიწონეს: ფული მხოლოდ ცოცხალ ადამიანებზე უნდა დაიხარჯოს.

ცოცხლებზე ზრუნვა არავიწყდება ცნობილ მოკრივე **ვიტალი კლიჩკოს**. მისი წინადადების გასვლას მეტი შანსი აქვს. კიევის საქალაქო საბჭოს დეპუტატი ჩემპიონატის დროს პროსტიტუციის ლეგალიზების მომხრეა. ერის კუმირის აზრითა და გერმანიის გამოცდილების გათვალისწინებით (იგულისხმება 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატი, სადაც ბორდელებში გულშემატკივრებს ეროვნული დროშის ფერებში გადაწყვეტილ საცვლებში გამოწყობილი ქალბატონები ეპატიჟებოდნენ), ეს ნაბიჯი სხვადასხვა ქვეყნის გულშემატკივრებს ქუჩაში ალკოჰოლური სასმელების მიღებას გადააფიქრებინებს, მით უმეტეს, რომ ქუჩებში დალევა აკრძალული იქნება. გარდა ამისა, დაეხმარება ფანებს ოპერატიულად მოიხსნან ჩემპიონატის ამა თუ იმ მატჩისგან მიღებული სტრესი. დისკუსია მიმდინარეობს, მაგრამ ჯერ გაურკვეველია, მიიღებენ თუ არა კლიჩკოს წინადადებას და შეიქმნება თუ არა უკრაინაში 3 მილიონი ახალი სამუშაო ადგილი.

მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, სტრესი მართლაც მოსახსნელი იქნება. ევრო 2012-ის უკრაინაში ჩატარება უნიკალური ექსპერიმენტია - მიაჩნიათ ექსპერტებს. პირველად ასეთი მასშტაბის შოუ ორგანიზება მიანდეს ქვეყანას, რომელიც გარდამავალი ეკონომიკის პირობებში ცხოვრობს. მაგრამ ვინც უკრაინას იცნობს, მიხვდება, რომ სანერვიულო არაფერია. წინასაარჩევნო კამპანიის დროსაც კი, შეუიარაღებელი თვალითაც ნათლად ჩანდა, რომ ქვეყანაში ფეხბურთის მოყვარული გაცილებით მეტია, ვიდრე რომელიმე პარტიის მომხრეები. ევრო 2012 იმ ოცნებად იქცა, რომელიც უკრაინელი პოლიტიკოსების დაპირებებით, ქვეყანაში ყველა პრობლემას მოხსნის. მაგალითად, ხალხს უკვე დაპირდნენ, რომ 2012 წლისთვის დასრულდება თანამედროვე ავტობანის მშენებლობა დონეცკიდან ვარშავამდე, გაიხსნება ასობით კომფორტული სასტუმროები, ფოლადის 100-მეტრიანი თალით მოახდენენ ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის იზოლაციას... ფეხბურთის დიდი გულშემატკივარი **ვიქტორ იანუკოვიჩი** რუსებზეც ზრუნავს და აცხადებს, რომ ევროპის ჩემპიონატისთვის აშენდება სატრანსპორტო გადასასვლელი ქერჩის სრუტეზე. მან მომავალი ხიდი პარამეტრებიც კი გამოაცხადა: სიგრძე 4.5 კილომეტრი და სიგანე 22 მეტრი.

უეფას დელეგაციის ბოლო ვიზიტისას, მთავარ და სასწრაფოდ მოსაგვარებელ პრობლემად სტადიონების ინფრასტრუქტურა დაასახელა, მათ შორის ოთხი ახალი არენის მშენებლობა - კიევში, დონეცკში, დნეპროპეტროვსკში და ლვოვში. აგრეთვე ისეთი სასტუმროების აშენება, რომლებშიც ერთი ღამით ცხოვრება 100 ევროზე ნაკლები არ ეღირება და სტუდენტური საერთო საცხოვრებლების რეკონსტრუქცია. ამ ბოლო იდეას უკვე მოჰყვა სკანდალი დონეცკში. უეფას ექსპერტებმა მოიწონეს ოთხი 12-სართულიანი შენობა, რომელიც უნივერსიტეტს ეკუთვნის, მაგრამ მათი რემონტისთვის სტუდენტების გამოსახლებაა საჭირო. ახალგაზრდობას ფეხბურთი კი უყვარს, მაგრამ სხვაგან გადასვლას ეწინააღმდეგება და საპროტესტო აქციებით იმუქრება.

*"დღეს, უკრაინის და ასევე პოლონეთის ყველაზე სუსტი წერტილი ტრანსპორტია,* - აღიარებს უკრაინის ფედერაციიდან ევრო 2012-ის საორგანიზაციო კომიტეტის დირექტორი **ივან ფედორენკო**. *- ამ მხრივ მთავარი საკითხებია: აეროპორტების რეკონსტრუქცია, უკრაინული და პოლონური რკინიგზების მუშაობის სინქრონიზაცია, საცობების პრობლემის მოგვარება".*

უკრანის ფეხბურთის ფედერაცია ფან-ზონების შექმნასა და ყოველ რაიონულ ცენტრში დიდი ეკრანების დამონტაჟებას გეგმავს. მანამდე კი, ის უკრაინულ სკოლებში საფეხბურთო ბურთებს არიგებს: მილიონამდე ბურთი დარიგდა, მაგრამ უფრო მეტია საჭირო - უკვე რამდენიმე წელია, ქვეყნის სკოლების დიდ ნაწილში ფეხბურთის გაკვეთილი სავალდებულოდ ითვლება.

პოლონელი ბუკმეიკერები უკვე იღებენ ფსონებს პოლონეთში ევრო 2012-ის ჩატარების თაობაზე. ეს მეტად აზარტული საქმეა: თუ მაგალითად, პოლონელები ვერ მოასწრებენ ტურნირისთვის მომზადებას და თავიანთ წილ მატჩებს უკრაინელებს გადააბარებენ, მაშინ თითო დადებული ევროს სანაცვლოდ სამს მიიღებენ.

ამ კოეფიციენტით თუ ვიმსჯელებთ, პოლონელთა დიდ ნაწილს მაინც სჯერა, რომ მათი ქვეყანა მოასწრებს ახალი სტადიონების აშენებას. მაგრამ პოლონური პრესა ადრიანად მიმართავს განგაშის პოლიტიკას და მათი პოზიცია ლოგიკური და გასაგებია. ის დიდი ენთუზიაზმი, რომელიც აპრილის გადაწყვეტილებას მოჰყვა, უკვე ჩაცხრა, ხოლო ქვეყანაში ისეთი აქტიური პოლიტიკური მოვლენები მიმდინარეობს, რომ ევრო 2012-სთვის არავის სცალია. სწორედ ამ მიზეზით, ვარშავა ნელ-ნელა აჩვევს უეფას ფუნქციონერებს იმას, რომ ქვეყანა ვერ მოასწრებს საკონტროლო დროისთვის (2010 წელი) სტადიონების აშენებას. თუმცა უარის თქმაზე საუბარიც არ არის: პოლონელებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ საგანგებო რეჟიმში მაინც შეძლებენ ჩემპიონატის ამოქაჩვას.

ნინასწარი გეგმით, ჩემპიონატის პოლონური ნაწილი ოთხ ქალაქში გაიმართება - ვარშავაში, გდანსკში, ვროცლავში და პოზნანში. სტადიონების მხრივ ყველგან სხვადასხვა სიტუაციაა, მაგრამ ერთ რამეში ეჭვი არავის ეპარება - ვარშავაში "ათწლეულის" სტადიონზე განთავსებული ათასობით მოვაჭრე ნამდვილად არ არის კმაყოფილი ქვეყანაში ევროპის ჩემპიონატის ჩატარებით. პირველადი გეგმის თანახმად, 1955 წელს აშენებულ სტადიონზე გახსნის მატჩი უნდა გაიმართოს. ეს არენა ჯერ კიდევ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დროს იქცა ნანგრევებად. ბოლო ოფიციალური მატჩი აქ 1983 წელს ჩატარდა, ხოლო 1989 წელს, ფირმამ, რომელმაც სტადიონი არენდით აიღო, აქ ბაზრობა (სახელად "ევროპა") მოაწყო, რომელიც 90-იან წლებში მთავარი სავაჭრო წერტილი იყო ყოფილი საბჭოთა კავშირის მოქალაქეებისთვის.

*"თუ საჭირო გახდა, 10 ათასი ადამიანი პლაკატებითა და პეტარდებით გამოვლენ და იქამდე არ დაიშლებიან, სანამ მთავრობა ამ სტადიონის დანგრევას არ გადაიფიქრებს",* - იმუქრებოდნენ მოვაჭრეები (ძირითადად, პოლონელები და ვიეტნამელები) აპრილში, როცა მათი სტადიონის ტერიტორიიდან იძულებითი გაძევების საკითხი დადგა დღის წესრიგში. იმ დროს ვარაუდობდნენ, რომ "ათწლეულის" ადგილას ეროვნული სტადიონი უნდა აშენებულიყო. მაგრამ მალე გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მთავრობას ჯერ არ გადაუწყვიტავს, რა უფრო სწრაფი და მომგებიანია - ახალი სტადიონის ძველის ადგილას თუ მის გვერდით აშენება. მეორე ვარიანტში, ბაზრობა "ევროპა" შესაძლოა გადარჩეს.

საკმარისი პრობლემებია გდანსკში. იქ, სადაც 40 ათასი მაყურებლის წინაშე 2012 წელს მეოთხედფინალის ჩატარებაა ნავარაუდები, ჯერჯერობით ოხრახუში და სტაფილო იზრდება. ფერმერები მხოლოდ 2007 წლის ბოლოს გაანთავისუფლებენ ტერიტორიას. მხოლოდ 2008 წლის დასაწყისშია დაგეგმილი სტადიონის ახალი პროექტის შექმნისა და აშენების ტენდერი და თუ ყველაფერი გეგმის მიხედვით წავა, გდანსკში ახალი სტადიონი 2011 წლის დასაწყისისთვის იქნება მწყობრში. პოზნანში სტადიონი უკვე რამდენიმე წელია რემონტდება და საბედნიეროდ, ის დადგენილ ვადებში ჩაბარდება. ვროცლავი ირწმუნება, რომ ახალი არენა 2010 წლისთვის მოესწრება.

როგორც სპეციალისტებს მიაჩნიათ, პოლონეთში ევროპის ჩემპიონატი იმ შემთხვევაში ჩატარდება, თუ მთავრობა სპეცდადგენილელებს გამოიტანს კონკურსების თაობაზე, რომელთა მიხედვითაც მოეწყობა აუცილებელი საზოგადოებრივი პროექტები სტადიონების, გზებისა და პარკინგების ასაშენებლად. ითვლება, რომ ეს არის კორუფციისგან საუკეთესო დაცვის მექანიზმი, რადგან ასეთ შემთხვევაში, ჩინოვნიკები იძულებულნი იქნებიან აირჩიონ ის მშენებლები, რომლებიც უკეთესად მუშაობენ და არა ისინი, რომლებიც უკეთ იძლევიან ქრთამს. თუმცა ასეთი კონკურსების ორგანიზება დიდ დროს მოითხოვს, დრო კი, არც ისე ბევრია.

მაინც რა თანხა დაჯდება ჩემპიონატის ორგანიზება? ეს ჯერ არავინ იცის. ევრო 2012-ის საორგანიზაციო შტაბს ჯერ არ გააჩნია დამტკიცებული ბიუჯეტი. პოლონეთის სპორტის ახალი მინისტრი **ელჟბეტა იაკუბიაკი** ამტკიცებს, რომ ოთხივე სტადიონის დაფინანსება საბიუჯეტო სახსრებით მოხდება. კერძო ინვესტორი მხოლოდ გდანსკმა იპოვნა - სანავთობო კომპანია "ლოტოსი" მზად არის დაასრულოს იქაურ სტადიონის რეკონსტრუქცია. სასტუმროებისთვის, აეროპორტებისთვის და რკინიგზის სადგურებისთვის საჭირო ინვესტიციებში ევროსაბჭო აპირებს დახმარებას, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ყველაფერი შორეული პერსპექტივით აშენდება.

პოლონელმა ჟურნალისტებმა სპორტის მინისტრს ასეთი კითხვა დაუსვეს - თავად თუ დადებდა ფსონს იმაზე, რომ პოლონეთი დროულად მოასწრებს ჩემპიონატისთვის მომზადებას, რაზეც მან დადებითი პასუხი გასცა, თუმცა ელჟბეტა იაკუბიაკი იქვე დაამატა, რომ თავად ის აზარტული ადამიანი არ გახლავთ.



მილო ნოვაკოვიჩზე დიდი მოთხოვნაა

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ნოვაკოვიჩი შალკეში?

## კობიაშვილის გუნდი მეორე ბუნდესლიგის ბომბარდირს უმიზნებს...

**კევინ კურანიმ** არაერთხელ დაიჩივლა, გუნდში კიდევ მინიმუმ ერთი მაღალი კლასის თავდამსხმელი გვჭირდებაო და ბოლო დროს გამოჩნდა, რომ კევინი აბსოლუტურად მართალია, რადგან მას მერე, რაც ის დაშავდა, „შალკეს“ წინა ხაზში ვაკუუმის შემჩნევა არავის უჭირს, ვაკუუმისა, რომელიც **სიორენ ლარსენმა** ვერ ამოავსო. მოკლედ, „შალკეს“ თავდამსხმელი სჭირდება და ბოსებმაც ხელები დაიკაპიწეს.

„ბილდის“ ინფორმაციით, გელზენკირხენული კლუბის უპირველესი სამიზნე ახლა „კიოლნის“ 28 წლის სლოვენიელი ფორვარდი **მილო ნოვაკოვიჩია**, რომელიც მეორე ბუნდესლიგის მიმდინარე გათამაშების საუკეთესო ბომბარდირია. მან 13 ტურში 11 გოლის გატანა მოახერხა და გარდა იმისა, რომ მეტოქეებს ხშირად ამწუხრებს, მიმომხილველები შესაშური ტექნიკითაც გააოცა. შესაბამისად, არცაა გასაკვირი, მეორე ბუნდესლიგაში მოთამაშე ფეხბურთელს უამრავი მთხოვნელი რომ გამოუჩნდა, მაგრამ აქამდე მხოლოდ მეორეხარისხოვანი კლუბები ეპატიჟებოდნენ, ახლა კი, მისი გადაბირების მსურველთა სიაში უკვე „შალკეცაა“.

1.90 მეტრი სიმაღლის ფორვარდს, რომელიც მეორე სართულზეც შესანიშნავია, მეორე ბუნდესლიგაში სულ 38 თამაში აქვს ჩატარებული და 21 გოლის გატანა მოასწრო. სლოვენიელი პირდაპირ ამბობს, ყველას უკვირს, რომ მეორე ბუნდესლიგაში ვთამაშობ. თუკი „თხები“ ამ სეზონში ელიტაში ვერ გადავლენ, ნოვაკოვიჩი კიოლნიდან წავა – ეს უკვე გადაწყვეტილია. მისი აგენტი **ჰელმუტ კრემერსი** ადასტურებს, რომ უამრავ გუნდთან აწარმოებს მოლაპარაკებებს, მაგრამ არაფერს აკონკრეტებს. ის ასევე ამბობს, რომ ტრანსფერის განხორციელების დროს, „კიოლნის“ მენეჯერ **მიხაელ მაიერს** სიტყვიერად შეუთანხმდა, რომ თუ 2008/09 წლების სეზონისთვის „კიოლნი“ პირველ ბუნდესლიგაში არ იქნებოდა, ზაფხულში ნოვაკოვიჩს გუნდიდან აზარგება სულ რაღაც 1.5 მილიონი ევროს სანაცვლოდ შეეძლებოდა. „შალკესთვის“ კი ეს თანხა ხურდა ფულია. მაგრამ საქმე იმაშია, რომ მაიერი ასეთ შეთანხმებას ვერ (ან არ) იხსენებს და ამბობს, ასეთ რამეზე რომ შევთანხმებულიყავით, კონტრაქტში აუცილებლად შევიტანდით პუნქტს – სიტყვაზე კი, ძმა ძმას აღარ ენდობაო.

*„მე ყველას ვეუბნები, რომ ჩემი მიზანი „კიოლნთან“ ერთად პირველ ბუნდესლიგაში გადასვლაა, მაგრამ თუ ეს ვერ მოხერხდა, მაშინ სხვა გამოსავალზე ვიფიქრებ,“* – ამბობს ნოვაკოვიჩი. ფაქტია, რომ „შალკეს“ ეს თავდამსხმელი ძალიან სჭირდება...



ავრაამ გრანტი

ინტერვიუ ავრაამ გრანტთან

# ლამაზი ფეხბურთი? ეს ძალიან პრაგმატულია

## პრესა გრანტს კალიგულას ცხენს ადარებდა

**ავრაამ გრანტისთვის "ჩელსის" ჩაბარება თავისთავად მოულოდნელი ნაბიჯი იყო. ებრაელმა სპეციალისტმა გამოცდას წარმატებით გაუძლო. მისი "ჩელსი" სტაბილურად კარგად ასპარეზობს, ამიტომ რომან აბრამოვიჩის სურვილით მალე მასთან ხანგრძლივი კონტრაქტი გაფორმდება. იქიდან გამომდინარე, რომ ეს ადამიანი აღარ არის დროებითი ფიგურა დიდ ფეხბურთში, მისი შეფასებები, მოსაზრებები, სხვადასხვა საინტერესო თემაზე მნიშვნელოვანი გახდა. ამ ინტერვიუშიც ის საუბრობს ფრენკ ლემპარდის კრიზისზე, ებრაელ ფანატებზე, რუს ფეხბურთელებზე, ინგლისელ ჟურნალისტებსა და პოზიტიურ აზროვნებაზე. ინტერვიუ ძალიან დიდი გამოვიდა, ამიტომ ჩვენ მხოლოდ მის ყველაზე საინტერესო ეპიზოდებს შემოგთავაზებთ.**

**- მაშინ როცა თქვენ "ჩელსის" მთავარ მწვრთნელად დაინიშნეთ, ბრიტანულ პრესაში ყველაზე მშვიდი შეფასება რაც ამას მოჰყვა, იყო "მოულოდნელობა". ზოგმა ამას რისკიც უწოდა, ხოლო ზოგი უფრო შორს მიდიოდა. როცა ამას დათანხმდით, განა თქვენ არ რისკავდით?**

- არა. გადაწყვეტილება საკმაოდ ადვილად მივიღე. მოსაფიქრებელი და მით უფრო აწონ-დაწონის დრო თითქმის არ მქონდა, ასე რომ, არ მქონია არც ეჭვები მომავალთან დაკავშირებით. რომანმა საღამოს 11 საათზე დამირეკა და მითხრა, რომ მოურინიო დაითხოვა. მთხოვა, მეორე დილას ვარჯიში მე ჩამეტარებინა.

**- და იმ საღამოს ადვილად დაიძინეთ?**

- დიახ, ადვილად დავიძინე. მე არ მეშინია საკუთარი სამუშაოსი. მე ის იმდენად მიყვარს, რომ შეუძლებელია, რაიმე შიშს განვიცდიდე ამასთან დაკავშირებით. ერთადერთი საფიქრალი ის იყო, რომ "ჩელსი" შუა სეზონში უნდა ჩამებარებინა. ამ დროს არასდროს გაქვს ხოლმე იმის დრო, რომ გუნდის მშენებლობა საფუძვლებიდან დაიწყო. მე ყოველთვის იმის მომხრე ვიყავი, რომ ნებისმიერ გუნდს განვითარების ევოლუციური გზა გაევლო, ნაბიჯ-ნაბიჯ წასულიყო მწვერვალებისკენ. უყურეთ, რა მდგომარეობა იყო მაშინ ჩვენს ბანაკში, ვინმესთან კი არა, "მანჩესტერ იუნაიტედთან" თამაშამდე 3 დღე გვქონდა დარჩენილი. ამიტომ, მოკლე-მოკლე, გათვლილი ნაბიჯების ნაცვლად, ჩვენ დიდ-დიდი ნაბიჯებით უნდა გვევლო.

**- პირველ დღეებში რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ "ჩელსი" უკანმოუხედავად მიექანებოდა უფსკრულისკენ. წაგება "მანჩესტერთან", ფრე "ფულჰემთან", დროგბას განცხადება წასვლის სურვილის შესახებ, ანტისემიტური პლაკატები "სტემფორდ ბრიჯზე"... ამას გარდა პრესაში გაჩნდა სარკასტული სტატიები თქვენ შესახებ.**

- იცით, მაშინ საერთოდ არ მქონდა დრო გაზეთების საკითხავად.

**- შეიძლება საკითხავად ვერ იცლიდით, მაგრამ განა არავის უთქვამს, რომ ხშირად უხამსი შედარებებიც კი რომ ჩნდებოდა? "კალიგულად თავისი ცხენი სენატორად აქცია, ხოლო აბრამოვიჩმა თავისი სპორტული დირექტორი"...**

- რაღაცებს მეუბნებოდნენ, მაგრამ ამაზე კონცენტრაციას არ ვახდენდი. პირველ რიგში იმიტომ, რომ უმრავლესობისთვის მე უსახელო ადამიანი ვიყავი. დიახ, მე მაქვს ავტორიტეტი ჩემს სამშობლოში, მაგრამ აქ ებრაულ ფეხბურთზე ბევრს არაფერი გაუგია. მეორე რიგის ამოცანა კი მაშინ ჩემთვის ის იყო, რომ რიგიანი კონტაქტი დამემყარებინა ფეხბურთელებთან და არა პრესასთან.

**- ალბათ გრძნობდით, რომ თქვენთვის მთავარი იყო, დაგერწმუნებინათ ფეხბურთელები, რომ მზად ხართ "ჩელსის" წინაშე მდგომი ამოცანების გადასაჭრელად.**

- ვგრძნობდი და ეს ნორმალური იყო. სპორტში ყველაზე რთული ყოველთვის ისაა, რომ მთელი ცხოვრება უნდა ამტკიცო, რომ შენ საქმის კეთება შეგიძლია. თუმცა ეს პროცესი ორმხრივი იყო. ფეხბურთელებიც ვალდებულნი იყვნენ დაემტკიცებინათ ჩემთვის, რომ ძირითადში თამაშის ღირსები იყვნენ. ამ გარემოებამ ისინი აიძულა, გონს მოსულიყვნენ და გაორმაგებული მონდომებით ემუშავათ.

**- დიახ, ზოგს ამან დიდად არგო. განსაკუთრებით ფრენკ ლემპარდს, ვინც გაჭიანურებული კრიზისიდან გამოვიდა.**

- ჰო, ზუსტად ეს მიკვირს, რატომ იყო ამდენი ლაპარაკი მის კრიზისზე. ამ სეზონში რამდენიმე მატჩი ფრენკმა შესაძლებლობების ზღვარს ქვემოთ ჩაატარა, მაგრამ ეს ხომ ყველას მოსდის? ყოველგვარი ეჭვის გარეშე ის დიდებულ მოთამაშედ და "ჩელსის" ლიდერად რჩება. მას ბოლო 3 წელიწადია, სეზონში 20 და მეტი გოლი გააქვს, ახლაც გაიტანს.

**- "ჩელსიში" თქვენ სპორტული ოპერაციების დირექტორად მუშაობდით. ამ პერიოდში შეუძლებელი იყო, გუნდის თამაში არ გაგეანალიზებინათ, წარმოდგენაში მოურინიოს როლი არ მოგერგოთ და არ გეფიქრათ, თუ რას გააკეთებდით თქვენებურად.**

- იყო ასეთი მომენტები. მაშინ როცა სხვა გუნდის თამაშს ვუყურებ, სწორედ ასე ვუდგები თამაშის განხილვას. მწვრთნელებს არ გამოსდით სხვანაირად თამაშის ყურება. რეჟისორებსაც არ შეუძლიათ ფილმის ყურება ისე, რომ მსახიობები არ შეაფასონ. ხომ ასეა?

**- კონკრეტულად რისი შეცვლა გსურთ გუნდში?**

- ჩვენ, ისევე როგორც ადრე, გამარჯვებები გვინდა. ეს ჩვეულებრივი ამბიციაა ჩვენი დონის კლუბისთვის. ის გზა, რომლითაც "ჩელსი" გამარჯვებებისკენ მიდის, ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ვფიქრობ რომ გრძელი პასი, რომელსაც გუნდი ძალიან ხშირად იყენებდა, არცთუ ეფექტურია. ვცდილობთ, ახლა მოკლე პასებზე ავაგოთ კომბინაციები. იმედი მაქვს, რომ ის პოზიტიური ატმოსფერო, რაც გუნდში შევქმენით, ხელს შეუწყობს მოთამაშეებს შესაძლებლობების წარმოჩენაში, პოზიტიური შედეგების მიღწევაში. ჩემი აზრით, გუნდის მორალური მდგომარეობა და ემოციური მუხტი ძალიან მნიშვნელოვანია. დღეს მწვრთნელებს მუშაობა უხდებათ არაიმდენად მოთამაშეების ფიზიკური მომზადების სრულყოფის. პირველ რიგში, იმიტომ, რომ დღეს ვარსკვლავები ძალიან მდიდრები და პოპულარულები არიან და ძნელია მათი კონცენტრაცია მხოლოდ თამაშზე. ამას გარდა მნიშვნელოვანია, რომ ისინი საკმაოდ განვითარებული ადამიანები არიან და მათ ინტელექტზე ზემოქმედება საკმაოდ ძნელია. ისინი ყველაფერს თავისებურად სჯიან.

**- თქვენ რეგულარულად ხმარობთ ტერმინ "პოზიტიურ ფეხბურთს". როგორ უნდა გავიგოთ ამ ფრაზის მნიშვნელობა. კონკრეტული მაგალითით იქნებ აგვიხსნათ.**

- დღეს ჩემთვის ასეთი ფეხბურთის საუკეთესო მაგალითები არიან "არსენალი", "მანჩესტერი" და "ბარსელონა" არიან. ამ გუნდებს დიდი ხანია აქვთ საკუთარი სტილი, რომელსაც არასდროს ღალატობენ. დღეს ჩვენ არცერთი მათგანის დონეზე არ ვდგავართ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ეს დღე მალე დადგება. არ იფიქროთ, რომ რომელიმე მათგანის სტილს გადმოვიღებთ. მაღალი დონის გუნდებს სტილი ყოველთვის თავისებური, განუმეორებელი უნდა ჰქონდეთ.

**- თქვენ მიერ დეკლარირებული სანახაობრივი ფეხბურთი ეწინააღმდეგება პრაგმატულ მიდგომას. ეს გარკვეულწილად გამოიწვევს ცვლილებებს სათამაშო სტრუქტურაში. ეს ხომ არაა გადაიქცევა შოუბიზნესად? არცთუ დიდი ხნის წინათ, წარმატების ერთადერთ კრიტერიუმად ითვლებოდა შედეგი, ახლა კი არანაკლები ყურადღება ექცევა პოპულარობას, ტელერეიტინგს და რაც მთავარია ფულს.**

- თქვენი დაკვირვებები სწორია, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში საქმე სხვაგვარადაა. რატომღაც გავრცელებულია მოსაზრება, რომ ერთდროულად სანახაობაზე ფსონის დადება და შედეგზე კონცენტრირება შეუძლებელია. არადა, ეს ძალიანაც თავსებადი ცნებებია. ითამაშო ლამაზი, საინტერესო და შედეგიანი ფეხბურთი სავსებით პრაგმატული მიზანია. მაშინ, როდესაც ფეხბურთელი თამაშისგან სიამოვნებას იღებს ის ფრთებგამოსხმულია და ყოველთვის უკეთ თამაშობს. აი, რაშია საქმე: დაცვითი ფეხბურთის თამაში ყოველთვის უფრო ადვილია ვიდრე შეტევის. ნებისმიერი გონებაგახსნილი მწვრთნელი, რომელიც მწვრთნელთა კურსებს ბოლომდე დაესწრება, შეძლებს დაცვითი ფეხბურთი ათამაშოს გუნდს. ძალიან ხშირად პატარა კლუბებს ხშირად სხვა არჩევანი არც აქვთ. რაც შეეხება ტოპკლუბებს, მათი ადამიანური რესურსები განუზომლად დიდია სხვებზე, ამიტომ, ვალდებულნი არიან ამბიციური გეგმები დასახონ. სწორედ ასეთი გრანდების რიგში გადის "ჩელსიც".

**- მოურინიო და ბენიტესი ხშირად აპელირებენ ისეთი ცნებებით, როგორიცაა "თამაშის დახურვა", ანუ თამაშის შედარებით ჩაკეტილ სტილზე გადასვლა, მაშინ როცა გუნდს ანგარიში მიჰყავს. არ თვლით, რომ ასეთი მიდგომა გამართლებულია?**

- არა, არ ვთვლი. რატომ უნდა დახურო თამაში, როცა შენს გუნდს ანგარიში მიჰყავს და ყველაფერი გამოსდის? მივცეთ უფლება ფეხბურთელებს ითამაშონ თავისი თამაში, დაე კიდევ გაიტანონ. თუნდაც ამას მეტი ფიზიკური ძალის დახარჯვა დასჭირდეს, სამაგიეროდ, გუნდი მორალურად უფრო გაიმართება წელში. თუკი თამაში გიყვარს, თუკი შენს მოთამაშეებს უყვართ მოედანზე გამოსვლა, ეს უკვე კარგი წინაპირობაა წარმატებისთვის. რა თქმა უნდა, ყველა გუნდს აქვს წარუმატებელი დღეები, არის ხოლმე ძალიან ცუდი პერიოდებიც, ასეთ მომენტებში შეუძლებელია მხოლოდ მონდომების იმედი გქონდეს, მაშინ ხომ ორგანიზებული თამაში არ გამოგდის. მაგალითად, გელზენკირხენში "ჩელსი" გადაღლილი გამოიყურებოდა, "შალკე" ჩვენზე უკეთ გამოიყურებოდა და სწორედ დაცვაზე ყურადღების კონცენტრირებით მოვახერხეთ მოძალებული პრობლემების გადაწყვეტა. მე არ ვარ ისეთი მიამიტი, მჯეროდეს, რომ ჩემი გუნდი სეზონის ყველა თამაშს ისე ითამაშებს, როგორც ეს ჩვენ გვინდა და ყველას საკუთარ პირობებს უკარნახებს. მაგრამ ის, რომ გუნდმა კარის უსაფრთხოებაზე რომ უფრო მეტი იზრუნოს, ვიდრე შეტევაზე, მე ვერასოდეს დავეთანხმები.

**- როდის იგრძენით, რომ გუნდთან კონტაქტი უკვე დამყარებული გქონდათ და უკვე პირველ შედეგებს იმკიდით?**

- უფრო ჩქარა ვიდრე თავად მოველოდი. როგორც წესი, დიდი გარდაქმნები დიდ დროს მოითხოვს. ფერგიუსონის "მანჩესტერი" მესამე თუ მეოთხე სეზონში ათამაშდა. რაიკაარდის "ბარსელონა" - მეორეში, ვენგერის არსენალმა პირველივე სეზონში მოიგო ჩემპიონატი, მაგრამ ფრანგს მისი იდეალური გუნდის შესაქმნელად რამდენიმე წელიწადი დასჭირდა. ასე რომ, მე კმაყოფილი ვარ. იმ პირობებში, როცა "ჩელსი" პაუზების გარეშე თამაშობს მნიშვნელოვან მატჩებს, და აქედან გამომდინარე, დრო არ მრჩება გუნდური ცხოვრების მნიშვნელოვანი საკითხების დასარეგულირებლად, იძულებული ვარ, ყველაზე მეტ ყურადღება დავუთმო ისეთი ატმოსფეროს შექმნას, რაც ფეხბურთელებს საშუალებას მისცემს, რომ ერთიან ორგანიზმად იგრძნონ თავი.

- მოურინიოს დროს ეს არ იგრძნობოდა?

- ალბათ რაღაც არ იყო წესრიგში, იმიტომ, რომ შედეგები და თამაში არ იყო დამაკმაყოფილებელი. არ მინდა წარსულზე საუბარი. არ მინდა ჟოზეს მისი ძლიერი მხარეები დავუკარგო.

**- ამბობენ, რომ მოურინიოს ძალიან არაადეკვატური, ნერვული რეაქცია ჰქონდა გუნდში თქვენს გამოჩენაზე?**

- არ მსურს ამ საკითხში ჩაღრმავება.

**- ხანგრძლივი სამწვრთნელო პრაქტიკის შემდეგ რამდენად ადვილი იყო თქვენთვის სხვა ტიპის სამუშაოზე გადართვა, ჯერ "პორტსმუთში" შემდეგ კი "ჩელსიში"?**

- პირველ რიგში საინტერესო იყო. ბავშვობიდან მიყვარდა ინგლისური ფეხბურთი და რისი საშუალებაც მქონდა, ყველა თამაშს დიდი სიამოვნებით ვუყურებდი, ახლა კი შემიძლია ზეპირად გავიხსენო ბილი ბრემნერის "ლიდსისა" თუ 60-იანი წლების "ლივერპულის" შემადგენლობა, პირველი უშუალო შეხება თქვენს ფეხბურთთან მქონდა 1977 წელს, როცა "ლივერპულისა" და "მანჩესტერის" სათასო ფინალს დავესწარი "უემბლიზე". სწორედ მაშინ აღვიქვი ზუსტად, თუ რამდენს შეიძლება ნიშნავდეს ფეხბურთი ადამიანებისთვის და რატომ შეიძლება მდომოდა ასე ძლიერ ამ სფეროში მოღვაწეობა. მწვრთნელად გახდომის შემდეგ მთელ მსოფლიოში დავდიოდი სტაჟირებაზე, მაგრამ ყოველთვის მერჩივნა ინგლისში წავსულიყავი ვიდრე სხვაგან.

**- ტექნიკური დირექტორის პოსტზე კონკრეტულად რას საქმიანობდით "ჩელსისა" და "პორტსმუთში"?**

- მე მევალებოდა ორგანიზაციული საკითხები. ჩემი აზრით, ნებისმიერ გუნდში უნდა იყოს ერთი ადამიანი, ვინც ხელს შეუწყობს გუნდის მმართველობასა და მწვრთნელს შორის საუკეთესო ურთიერთობის ჩამოყალიბებას. ასეთი პერსონა უნდა იყოს საფეხბურთო გამოცდილების მქონე პიროვნება. ამ თანამდებობებზე სამუშაოდ არცერთგან დიდი დრო არ მქონია, თუმცა ვთვლი, რომ გარკვეული დადებითი მუხტი ორივეგან შევიტანე.

**- წლეულს "ჩელსის" თუ აქვს პრიორიტეტი ჩემპიონატი ან ჩემპიონთა ლიგა?**

- მე არ მაქვს პასუხი ამ შეკითხვაზე. მე ამ თემაზე კლუბში არავისთან მიმსჯელია. თუმცა მომწონს თქვენ მიერ საკითხის დასმის ფორმა. ის უფრო მეტად პასუხია ვიდრე კითხვა. ორი თვის წინ ხომ ყველა იმაზე ლაპარაკობდა, რომ ჩვენთვის ეს სეზონი დაკარგული იყო და ტიტულებზე ოცნება შეგვეძლო დაგვევიწყებინა.

**- ამას წინათ თქვენ მოსკოვში ბრძანდებოდით "ლოკომოტივისა" და "ტომის" თამაშზე. გაზეთებმა ეს თავისებურად "გადათარგმნეს", თითქოს "ჩელსის" ინტერესი აქვს ბრანისლავ ივანოვიჩისა და დინიარ ბილიალეტდინოვის მიმართ. ისინი მართლები არიან?**

- ჩემი უამრავი მეგობარი ცხოვრობს მოსკოვში. ეს უფრო კერძო ვიზიტი იყო და არა საქმიანი. ამ ქალაქში მე 15-ჯერ ვარ ნამყოფი, მათ შორის რამდენჯერმე ფეხბურთელებზე დასაკვირვებლად, მაგრამ ამ მიზნით ბოლოს ეს იყო ძალიან დიდი ხნის წინათ. აი, ფეხბურთს კი დიდი სიამოვნებით ვუყურე. საერთოდ, ვცდილობ, რაც შეიძლება მეტ თამაშს ვუყურო.

**- მაშინ სხვანაირად დაგისვამთ კითხვას. იცით რომელიმე რუსი ფეხბურთელი, ვინც ინგლისის "დიდი ოთხეულის" კლუბებში თავისუფლად ითამაშებდა?**

- ვიცი 3-4 ფეხბურთელი, რომელიც საკმაოდ ნიჭიერია ამისთვის.

**- მალე სატრანსფერო ფანჯარა გაიხსნება. "ჩელსი" სერიოზულად შეიცვლება?**

- დიდად არა. ჩვენ საკმაოდ ბევრი მაღალი დონის ფეხბურთელი გვყავს იმისთვის, რომ კიდევ დავიმატოთ ახალი ფეხბურთელები დიდი ოდენობით. თუმცა რამდენიმე ცვლილება მაინც მოხდება.

**- 2002-2006 წლებში ისრაელის ნაკრების თავკაცი იყავით. სწორედ ამ პერიოდში ჰყავდა ქვეყანას ისტორიაში უძლიერესი ნაკრები. განსაკუთრებით ეს ითქმის გერმანიის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევის ფორმაციის გუნდზე. ისრაელის ნაკრები ახლა დასუსტებულია, ასე არაა?**

- ვერ ვიტყვი რომ დასუსტდა. უბრალოდ, ეს სხვა გუნდია, სადაც მწვრთნელი საქმეებს სხვაგვარად წყვეტს. ნებისმიერ მეტოქეს "რამათ-განეზე" თამაში დღესაც ძალიან უჭირს. მხარდაჭერა ჩვენს ნაკრებს ყოველთვის არნახული ექნება. ამის წყალობითაა, რომ წლების განმავლობაში არ ვაგებთ თამაშებს საშინაო არენაზე, თუ არ ჩავთვლით მარცხს ხორვატიასთან.

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

## კალათბურთი

ინტერვიუ რეზო დიდიასთან

# უცენტრობას არ დავიტყობთ




რეზო დიდია (8) ამსტერდამთან მატჩში

„აზოტში“ ევროთასისთვის 212 სმ. სიმაღლის ბაჰამელი **ანვარ ფერგიუსონი** ჩამოიყვანეს, რომელმაც ვერ გაამართლა და „ამსტერდამის“ მეფარეები ორ მეტრს ოდნავ აცილებულ **რეზო დიდიასა** და **ზვიად ბაბიაშვილს** შერჩათ. შედეგიც შესაბამისი იყო - ჰოლანდიელებმა ორივე მატჩში ქართველებზე 20-ით მეტი მოხსნა გააკეთეს.

დღეს შემოგთავაზებთ ინტერვიუს **რეზო დიდიასთან**, რომელიც ანმყოზეც საუბრობს და „ამსტერდამთან“ წაგებებსაც იხსენებს.

**- „აზოტის“ სადღეისო მზადებით დავიწყოთ.**

- ევროთასის მატჩებისთვის აქტიურად ვემზადებოდით და ვცდილობდით ჰოლანდიელ მეტოქეს სათანადო ფორმაში შევხვედროდით. შესაბამისად, საქართველოს ჩემპიონატსაც მომზადებულები შევხვდით, რაც სატურნირო ცხრილზეც კარგადაა ასახული - 4 ტურის შემდეგ ამდენივე მოგება გვაქვს და პირველ ადგილზე ვართ. უშუალო კონკურენტებს, „ვითასა“ და „ავიამშენს“ სტუმრად, თბილისში ვაჯობეთ.

**- ბელტონ რივერსის წასვლამ გუნდზე როგორ იმოქმედა?**

- კარგი იქნებოდა ბელტონი დარჩენილიყო, მაგრამ, მისი გამოკლება ნესით, არ უნდა დაგვეტყოს, რადგან უკანა ხაზში არაერთი გამოცდილი კალათბურთელი გვყავს. რაც შეეხება წინა ხაზს, ერთი ნომინალური ცენტრი კი გვაკლია, მაგრამ თამაში ისე ეწყობა, რომ ცენტრის გარეშეც ვახერხებთ წარმატებით გამოსვლას. ვფიქრობ, „აზოტის“ ამ შემადგენლობას შიდა პირველობაზე მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა შეუძლია.

**- მაღალ მიზნებში რას გულისხმობ?**

- ჩემპიონობას.

**- ნომინალური ცენტრის არყოფნა „ამსტერდამთან“ შეხვედრებში ძალიან დაგეტყოთ.**

- ერთი კარგი ცენტრი რომ გვყოლოდა, მეტოქე ჩვენზე 20-20-ით მეტ მოხსნას ვერ გააკეთებდა და შეიძლება საშინაო მატჩიც მოგვეგო. გასვლაზეც ვიბრძოლეთ, მაგრამ იქ კარგად დაბალანსებული „ამსტერდამის“ წინააღმდეგ ერთი ცენტრი ვერ გვიშველიდა.

**- თბილისში პირველ ტაიმში არ გითამაშია...**

- ამან ცოტა გამაბრაზა და მეორე ტაიმში ბრძოლისთვის დამატებითი სტიმული მომცა. ვფიქრობ, მთელმა გუნდმა ბოლომდე იჭიდავა.

**- ჭაბუკთა და ახალგაზრდულ ნაკრებებში არაერთი საერთაშორისო მატჩი გაქვს ჩატარებული. ესპანელებთან, იტალიელებთან... „ამსტერდამის“ კალათბურთელებზე მაღალი დონისებთან თუ გითამაშია?**

- არა. ესპანეთის ახალგაზრდულ ნაკრებში იქაური ლიგის არაერთი წარმომადგენელი ირიცხებოდა. მათ მომავალში შეიძლება „ამსტერდამის“ კალათბურთელებს აჯობონ, მაგრამ ჯერ ახალგაზრდები არიან და სადღეისოდ ამსტერდამელთა დონემდე კიდევ ბევრი უკლიათ. ევროთასებზე გასვლა სწორედ იმისთვისაა კარგი, რომ შეფასება გავაკეთოთ რამდენი გვიკლია ამა თუ იმ ქვეყნის დონემდე.

**ამასობაში საუბარში ჩაერთო რეზოს თანაგუნდელი ბესიკ ლეჟავა და კვერი დაუკრა - მაღალი კლასის ჰოლანდიელებთან თამაში ურთულესი იყოო:**

- მსროლელად ისრაელის ნაკრების ლიდერი, ჯერონ რობერტსი ჰყავდათ, ცენტრად ჰოლანდიის ნაკრების მეფარე ვან პაასენი, „ამსტერდამში“ კიდევ ოთხი ლეგიონერი თამაშობდა... რეზოსი რა გითხრა, მაგრამ ამ ზაფხულს NBA-ს ერთ-ერთი სნაიპერის ლუოლ დენგის წინააღმდეგ უნდა მეთამაშა, მაგრამ მწვრთნელმა მოედანზე არ გამიყვანა, - ღიმილით დაასრულა ბესომ.

**- როგორ ფიქრობ, ჩვენსა და ჰოლანდიას შორის სხვაობა დიდია? - ეს კითხვა ისევ რეზოს ეკუთვნოდა.**

- ახლა ზღვარი დიდი არ არის, მაგრამ მომავალში შეიძლება სურათი შეიცვალოს, რადგან ჰოლანდიურ კალათბურთში დიდი ფული ჩაიდო და გუნდების უმეტესობა მაღალი დონის ლეგიონერებითაა გაძლიერებული.

**ვაჟა სიმონიშვილი**




ლეგიონერი

# ბოისა ნახევარფინალს მიადგა

ვლადიმერ ბოისას „სპარტაკ-პრიმორიე“ რუსეთის თასის გათამაშებას წაუგებლად განაგრძობს. მეოთხედფინალური ეტაპის პირველ შეხვედრაში პრიმორიელებმა სტუმრად, სურგუტში ადგილობრივი „უნივერსიტეტი-იუგრა“ დაამარცხეს - 93:86. ეს გუნდი რუსეთის ჩემპიონატშიც აუტსაიდერია და მასთან მეოთხედფინალში შეხვედრა „სპარტაკ-პრიმორიესთვის“ საჩუქარი გახლდათ, თუმცა სურგუტელებმა პირველი ტაიმი კარგად ჩაატარეს და სტუმრებს მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩნენ - 44:45.

შეხვედრის ბოლოს ვლადივოსტოკელებმა ხორვატი მილკოვიჩის წინამძღოლობით შეტევაში თამაში გააუმჯობესა და საფინალო სირენამდე 4 წუთით ადრე თანაგუნდელები 92:75 დააწინაურა.

დარჩენილ დროში სტუდენტებმა 13:1 სპურტი მოაწყვეს, მაგრამ დაწევა მაინც ვერ მოახერხეს.

მატჩის სნაიპერი დამირ მილკოვიჩი გახდა. მის ანგარიშზე 27 ქულაა. **ვლადიმერ ბოისამ** 4 ქულა, 3 შედეგიანი გადაცემა და 4 მოხსნა მიითვალა.

„სპარტაკი“-„უნივერსიტეტის“ განმეორებითი მატჩი 2 დეკემბერს ვლადივოსტოკში შედგება.

**ვახტანგ ტყეშელაშვილი**

## ჭადრაკი

მსოფლიოს ასაკობრივი ჩემპიონატი

# მეორე დღე უარესი გამოდგა

მსოფლიო ჩემპიონატის მეორე დღემ ქართველთათვის ბევრი მოულოდნელობა მოიტანა - წააგეს ისეთებმა, რომლებისგანაც ნამდვილად არ ველოდით ფარ-ხმალის დაყრას. ჩვენგან გუშინ ნაქებმა 18-წლიანმა გოგონებმა, თითქოს პირი შეკრესო და ახლა ყველამ წააგო. განსაკუთრებით **მირანდა მიქაძის** მარცხია გასაკვირი - ლუქსემბურგელ სტეილ-ანტონი ფიონასთან წააგო. მართალია შავებით იყო, მაგრამ ლუქსემბურგელთა ჭადრაკის ვის გაუგია და თანაც ამ გოგონას რეიტინგიც ვერა აქვს საშური - 2104. მაშინ როცა, მირანდა ბევრად გამოცდილია და რეიტინგითაც გვარიანად უსწრებს ფიონას - 2255-ია მირანდას დღევანდელი მაჩვენებელი.

მოულოდნელი იყო **სოფიკო გურამიშვილის** მარცხიც, რომელმაც თეთრებით დათმო შეხვედრა **თინათინ ბერიძესთან**. აქ რეიტინგში კიდევ მეტი სხვაობაა - გურამიშვილს 2305 აქვს, ბერიძეს კი - 2033.

გუშინ ქართული დერბი კიდევ იყო: **ლელა უგულავამ** (1929) თეთრებით **ლანა აბულაძე** (2094) დაამარცხა. დერბის შედეგებსაც თუ მივათვლით, ქართველთა გუშინდელი საერთო სტატისტიკა ასეთია: 17 მოგება, 2 ფრე და 13 მარცხი.

ჯერჯერობით უდანაკარგოდ ჩვენებურთაგან არიან **ნინო ჯალალონია** (8 წლამდე), **ნიკოლოზ ქუმსიაშვილი** (10), **ირაკლი ბერაძე** (12), **გიორგი ნიკოლაშვილი** (14), **ზურაბ ჯავახაძე** (14), **ნაზი პაიკიძე** (14), **მარიამ დანელია** (14), **ლელა უგულავა** (14), **ლევან ბრეგაძე** (16), **დავით ბენიძე** (16), **თინათინ ბერიძე** (16), **სალომე ხაჟომია** (16), **ქეთი წაწალაშვილი** (16), **გიორგი მარგველაშვილი** (18). ესენი თავიანთ ასაკში ფავორიტებად ითვლებიან და იმედია, წარმატებულ სვლას გააგრძელებენ. ამათ გარდა ფავორიტებად რამდენიმე ქართველიც ითვლებ და გვჯერა, რომ დანაკარგს მალევე აანაზღაურებენ, - წინ კიდევ დიდი დროა - 9 ტური..

**ზვიად შათირიშვილი**

## ჩოგბურთი

# ითონიშვილი და შაფაქიძე მერვედფინალში

ბარსელონაში გრძელდება ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდი ქალთა და ვაჟთა შორის 10-10 ათასი დოლარია. ვაჟთა ტურნირში საკვალიფიკაციოდან ძირითადში გააღწია 20 წლის **ნოდარ ითონიშვილმა** (ქართველი სწორედ ამ ტურნირზე თამაშისას გახდა 20 წლის). ნოდარი ძირითადი ბადის პირველ წრეში „უაილდ ქარდით“ მიწვეულ 18 წლის ესპანელ **ინიგო სერვანტესს** (1197) შეხვდა და სამ სეტში მოუგო - 6:2, 4:6, 6:0. მერვედფინალში ითონიშვილს უკვე სერიოზული მეტოქე ელის **ხუან-ალბერტ ვილოკა-პუიგი** (425). ვილოკა-პუიგი ვეტერანი ჩოგბურთელია, ზუსტად ათი წლის წინათ ის ჩოგბურთის ელიტაში იყო (მსოფლიოს 47-ე ჩოგანი). ითონიშვილი წყვილთა თანრიგის ძირითად ბადეში მაროკოელ **იუნეს რაშიდის** (799) შეუწყვილდა, მათ პირველი მატჩი უკვე მოიგეს ესპანელებთან (**კოლომინა, გრიმალი**) - 6:0, 6:4 და მეოთხედფინალში გავიდნენ.

ქალთა ტურნირში ძირითად ბადეში გაღწევა **სოფიო ქვაცაბაიამაც** შეძლო, მან ფინალურ ეტაპზე **მარტა ესპიგადო** (1009) დაამარცხა - 3:6, 6:3, 6:4. ძირითად აბდეში ქართველი ესპანელ **ფრანსისკა სინტეს-მარტინს** 907) შეხვდა და დამარცხდა - 2:6, 5:7. ძირითად ბადეში **მანანა შაფაქიძე** (625) რეიტინგის წყალობით მოხვდა, მან პირველი წრე იოლად გადალახა, **ანა ბოადა-პლადე ლიორენსს** აჯობა - 6:3, 6:2. მერვედფინალში შაფაქიძის მეტოქე კვლავ ესპანელია **სანდრა სოლერ-სოლა** (597).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**




ეროვნული ბიბლიოთეკა





# დიდოსტატები: ბურთით წყალზე და ცხოვრებაში

დასაწყისი იხ. „ლელო" №269,270

ვასრულებთ დიალოგს ვეტერან წყალბურთელთან, პროფესორ ოთარ მიმინოშვილთან.

**- ბატონო ოთარ თქვენ ოპტიმისტურად ხართ განწყობილი და გჯერათ, რომ ქართული წყალბურთი ძველ დიდებას უთუოდ დაიბრუნებს. რას ემყარება თქვენი ასეთი რწმენა?**

- დიდი იმედი მაქვს, ძალიან დიდი, რომ ყველაფერი კარგად იქნება. თუ ნებას მომცემთ, დაკონკრეტებისგან ჯერ თავს შევიკავებ. დღევანდელი საუბრის გაზეთში დაბეჭდვამდე, არ არის გამორიცხული, ჩვენმა მოლოდინმა გაამართლოს და ყველაფერი ისე დასრულდეს, როგორც ეს ქართულ წყალბურთს სასიკეთოდ წაადგება. უძრაობა უნდა დასრულდეს. ვნახოთ, როგორც კი რაიმე კონკრეტული გამოიკვეთება, აუცილებლად შეგეხმიანებით.

**- კარგით. ღმერთმა ხელი მოგიმართოთ. თქვენი მოლოდინის გამართლებას ჩვენც მივესალმებით.**

- ღმერთმა გისმინოთ.

**- ბატონო ოთარ, უძრაობა ახსენეთ. მოელოდით, რომ იმ დიდი უძრაობიდან, საბჭოთა კავშირის დროს თავადვე, რომ აღიარეს პარტიის ბელადებმა, მერე, დამოუკიდებელ საქართველოში, უარეს უძრაობაში აღმოვჩნდებოდით, რამაც სპორტშიც იჩინა თავი?**

- იმას როგორ წარმოვიდგენდი, რომ ამდენი სპორტული ბაზა, მათ შორის საწყლოსნო ობიექტები, ასე ხელაღებით გაჩანადგურდებოდა. რა ვქნა, ვერ წარმოვიდგენდი და, თუ გინდათ, მომკალით. მაგრამ რაც მოხდა, ხომ ყველამ ვნახეთ, ფაქტი ჯიუტია!

**- დღევანდელ ვითარებას როგორ შეაფასებდით?**

- მივესალმები რიგი საცურაო აუზების აღდგენას და ახლის მშენებლობებს. უძრაობას ბოლო უნდა მოღებოდა და, ეს პროცესი, ვგონებ, უკვე აქტიურად დაიწყო.

**- მაგრამ, გარდა ბაზებისა, საჭიროა სპეციალისტები. დრო გავიდა, კადრები გაიბნა, როგორ ფიქრობთ, ჯერ კიდევ არის შესაძლებელი მემკვიდრეობითობის აღდგენა?**

- უნდა შევძლოთ, თუნდაც უდიდესი ძალისხმევის ფასად. პატრიოტიზმი, ვიცი, არავის განელებია. ტრადიციებს უთუოდ დავიბრუნებთ.

ისე, სიმართლე გითხრათ, ნამდვილად დასანანია, რომ იძულებითმა მრავალწლიანმა პაუზამ, რომელმაც თავი იჩინა გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული, წარსულში ჩაგვტოვა. რომ არა შეფერხება, ქართული წყალბურთი ახალ სიმაღლეზე უთუოდ ავიდოდა.

**- რა სიმაღლეს გულისხმობთ...**

- თუნდაც ოლიმპიურ სარბიელს. საამისოდ ყველანაირი წინაპირობა გაგვაჩნდა.

**- ფიქრობთ, რომ მაგ ოცნებას ოდესმე ასრულება უწერია?**

- ვფიცავ, სხვაზე ადრე, საქართველოდან წყალბურთელები ოლიმპიურ თამაშებში იასპარეზებენ... უფრო სწორად, სპორტული თამაშების სახეობებიდან. ეს ნურც ვინმეს ეწყინება და მავანსაც ტრაბახი არ ეგონოს. მართალია, წყალბურთი ფეხბურთივით პოპულარული არ არის და არც კალათბურთივით ლამაზია, მაგრამ ბურთით წყალზე თამაში, მეტად არაორდინალური და უნიკალური რომ არის, ამაში ყველა დამეთანხმება. მით უმეტეს, ისინი, ვინც ტრადიციებს კარგად იცნობს.

**- ვინც არ იცნობს, იქნებ მათთვის გაიხსენოთ წარსულის ყველაზე საამაყო ეპიზოდები...**

- მინდა განსაკუთრებით ჩვენმა ახალგაზრდებმა იცოდნენ, რომ ქართული წყალბურთი თუნდაც იმითაა ღირსშესანიშნავი, რომ ეროვნული სათამაშო სპორტის ისტორიაში სწორედ ჩვენმა წყალბურთელებმა მიაღწიეს უპრეცედენტო შედეგს - გასული საუკუნის 60-იან წლებში. მათ საერთაშორისო ტურნირში, დაამარცხეს მოქმედი ოლიმპიური, მსოფლიო თუ ევროპის ჩემპიონები - უნგრელები, იგოსლავები, იტალიელები. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, ეს იგივეა, ჩვენ ფეხბურთელებს რომ მოეგოთ ბრაზილიის ნაკრებისთვის, ან კალათბურთელებს - ამერიკელებისთვის. უმორჩილესად გთხოვთ ჩემს მეგობარ ფეხბურთელებს და კალათბურთელებს, არ გეწყინოთ.

თქვენი შეკითხვა უფრო რომ დავაკონკრეტო, გავიხსენებ როგორც თბილისის „დინამოს", ისე საქართველოს ნაკრების წყალბურთელთა იმავე პერიოდის წარმატებებს. ესაა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში და ხალხთა სპარტაკიადებში, სხვა პრესტიჟულ ტურნირებში მოპოვებული საპრიზო ადგილები, საერთაშორისო რეიტინგით უმაღლესი დონის, მათ შორის, საბჭოთა კავშირის სახელითაც, შეჯიბრებებში წარმატებული გამოსვლა. მოსწავლეები ხომ სამჯერ დაუფლნენ თანატოლთა საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონობას. ინდივიდუალურად კი მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში გაუთქვეს სახელი ქართულ წყალბურთს ჩვენმა ნიჭიერმა სპორტსმენებმა.

**- სახელმწიფო სტრუქტურებიდან და ბიზნესმენებიდან თუ გრძნობთ მხარდაჭერას?**

- კი ვგრძნობთ, მაგრამ ეს არასისტემურია და მეტია საჭირო. ის, რომ საქარველოში დღეს მხოლოდ ჭაბუკთა ერთადერთი გუნდი და ერთადერთი მწვრთნელი - სოსო მაისურაძე გვყავს, დასაფიქრებლად ბევრის მთქმელია. და, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, არ გაგვაჩნია წყალბურთის აუზი. არსებული, ანუ დღეს მოქმედი აუზები, საწყალბურთო მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებენ, უპირველესად, არასტანდარტულობის გამო.

**- მხოლოდ თბილისი გაქვთ მხედველობაში?**

- თბილისიც და სხვა ქალაქებიც. საერთოდ, არ ფუნქციონირებენ აუზები ქართული წყალბურთის მექაში - ქუთაისში, სავალალო მდგომარეობაა ბათუმში, დაივიწყეს, რომ ადრე საცურაო აუზები გააჩნდათ თელავში, გურჯაანში, ტყიბულში, ხობში, რუსთავში... გორსა და ბორჯომში აუზები ამუშავდა, მაგრამ იქ წყალბურთს არაფერი ესაქმება. არადა, ყველას შევახსენებ, რომ წყალთა ნებისმიერი სახეობა ოლიმპიურია. ზომით 30X20 მეტრის თუნდაც ერთი აუზი ოცნებად გვექცა.

**- მახსენდება ისევ გასული საუკუნის 60-იანი წლები. მაშინ, „ლელოც" წერდა უნგრეთის გამოცდილებაზე, სადაც ერთ პატარა აუზში ოლიმპიური ჩემპიონები აღიზარდნენ.**

- კარგია, ეს რომ გაიხსენეთ. ის პატარა აუზი, უნგრეთის ასევე პატარა ქალაქ სოლნოკში, საკუთარი თვალით მაქვს ნანახი. ეს ბაზა მხოლოდ წყალბურთისთვის იყო განკუთვნილი. და, იცით რა არ დამავიწყდება არასდროს? გამაოცა მსოფლიოში სახელგანთქმული იქაური ვეტერანი წყალბურთელების პატარებთან ერთად „ჭყუმპალაობამ". დამეთანხმებით, რა ძალა აქვს ასეთ ურთიერთობას ტრადიციის მემკვიდრეობისთვის.

ვინმეს ფანტაზიად არ მოეჩვენოს, ფაქტია, რომ ჩემი თაობის ქართველ წყალბურთელებს არაერთხელ გაუმარჯვნიათ ამ პატარა ქალაქში აღზრდილ წყალბურთის მსოფლიო ვარსკვლავებთან. შემიძლია ალალად დავიტრაბახო, ეს უნგრელები, თავიანთ თანავარსკვლავებად, სხვა ქვეყნის შვილებიდან მხოლოდ ქართველ წყალბურთელებს - პეტრე მშვენიერაძეს, გივი ჩიქვანაიას, ნოდარ გვახარიას, ლერი გოგოლაძეს აღიარებდნენ. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჩვენი იმდროინდელი მეგობრები, სხვადასხვა ქვეყნის წყალბურთელები, დღეს ევროპისა და მსოფლიოს ფედერაციების ხლმძღვანელბი არიან და ეჭვიც არ მეპარება, უეჭველად გაგვიწევენ დახმარებას კოლეგებს და ჩრდილში „მშრალად" მდგომ წყალბურთელთა სამჭედლოს - საქართველოს.

**- ყველაფერი კარგად რომ წავიდეს, მაინც რამდენ წელიწადში შევძლებთ დაწინაურებას?**

- სამ-ოთხ წელიწადში, ანუ ერთ ოლიმპიურ ციკლში უთუოდ შევძლებთ ვიბრძოლოთ ოლიმპიური საგზურისთვის. როგორ? კითხვას ნუ დამისვამთ, პირდაპირ გეტყვით რა არის საჭირო საამისოდ. სურათი ასე მეხატება: შენდება ერთი კეთილმოწყობილი საწყალბურთო აუზი, იკრიბებიან ყველა დროის და რანგის წყალბურთელები, იწყება ერთობლივი მიზანმიმართული მუშაობა. ჩვენ დიდი ძალა ვართ. ყოფილი წყალბურთელები ფართოდ არიან წარმოდგენილები საქართველოს პრესტიჟულ წრეებში.

ჩვენ გეგმას გავაცნობთ თანამებრძოლს და თანამოაზრეს, მსოფლიოში ყველა დროის ერთ-ერთ უპირველეს წყალბურთელს, ყველაზე ტიტულოვან მოთამაშეს და მწვრთნელს, ამჟამად მოსკოვში მცხოვრებ და მოღვაწე გივი ჩიქვანაიას.

**- თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩენილი წყალბურთელი რევაზ ჩომახიძეც ხომ მოსკოვშია...**

- გივი ჩიქვანაიას ხასიათი და ქართული ჯიგარი რომ ვიცით, მასზე არანაკლებ ტიტულოვანს, მოქმედ მსოფლიო ვარსკვლავს რევაზ ჩომახიძეს დაუკავშირდება და სამშობლოსთვის ეს გლანთებული ახალგაზრდა კაცი, ყოველგარი ამბიციურობის გარეშე, თავისი და უფრო ახალგაზრდა თაობის წყალბურთელებსაც მოუხმობს და ჩამოიყვანს საქართველოს ეროვნულ ნაკრებში რუსეთიდან, გერმანიიდან, საბერძნეთიდან, ყოფილი იუგოსლავიიდან იტალიიდან, სხვა ქვეყნებიდან. ასე რომ, ძლიერი ნაკრები გვეყოლება, რომელიც თანდათან შეივსება ახალი ტალანტებით, აქ მათ ჩვენი ჭაბუკთა ნაკრების ბიჭები შეუერთდებიან, თავიანთ ფანატიკოს მწვრთნელ სოსო მაისურაძესთან და სხვა მწვრთნელებთან ერთად. არ დაგავიწყდეთ, მიძინებული „წყლის ლომების პოტენციალიც". ერთიან დიდ ოჯახს ბევრი რამ შეუძლია. ზევით აკი ვთქვი, რომ დიდი ძალა ვართ...



*P.S. ბატონმა ოთარმა დანაპირები შეასრულა და, გუშინ, ტელეფონით დაგვიკავშირდა. უკვე ხმის პათოსში ეტყობოდა, რომ გახარებული იყო უზომოდ და ჩქარობდა ეს სიხარული ჩვენთვისაც გაეზიარებინა. „ყველაფერი კარგადაა, ყველაფერი ისე მოხდა, როგორც გვინდოდა. მოკლედ, ქართულ წყალბურთს მხსნელი მოევლინა. „ლაგუნა-ვერეც" ჩვენ განკარგულებაში იქნება. ჩვენი კლუბი უკვე აქტიურად შეუდგება მუშაობას - გვითხრა მან.*

*კითხვაზე თუ რატომ არ აკონკრეტებს, რა მოხდა, მოკლედ გვიპასუხა: „გვერდში ამოგვიდგა ის ადამიანი, ვისაც უამრავი სიკეთე გაუკეთებია ქვეყნისთვის, მათ შორის სპორტში, მაგრამ, როგორც ჭეშმარიტი ქველმოქმედი, ყოველთვის ამჯობინებს ჩრდილში დარჩენას. მეტს ნურაფერს მკითხავთ. მთავარია, ქართული წყალბურთი კვლავ გაბრწყინდება"...*

ესაუბრა თენგიზ გაჩეჩილაძე

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რაგბი



ყოჩების შეტევა. ბურთით გიორგი ხელაძე

ნუგზარ სუარიძის ფოტო

საქართველოს ჩემპიონატი

# ექს-ლიგამუსი და ლელო-ყოჩები

**შესარჩევი ფინალი**

20 ნოემბერი, შევარდენი

**ყოჩები-ლიგამუსი 18:9**

ყოჩები: (15-9) გეგენავა, ელოშვილი, დ. კაჭარავა, ადანაია, ს. ნიჟარაძე (კალმახელიძე 67), მალალურაძე, ხელაძე; (1-8) ყალიჩავა, გ. ნიჟარაძე (ჭავჭავაძე 69), ასეიშვილი, ბელაშვილი, არჩუაშვილი, გენებაშვილი, ბრეგვაძე, კობახიძე - 3ლ *(ყალიჩავა, დ. კაჭარავა, ასეიშვილი), ს (მალალურაძე)*

ლიგამუსი: (15-9) ასათიანი, მარსაგიშვილი, ქავთარაძე, ბერძენიშვილი, გუგავა, კვინიხიძე, ლვინჯილია; (1-8) ხეჩიკოვი, ტურაშვილი, მალალძაძე (პეტრიაშვილი 28), კახიანი, ნიშნიანიძე, ყურაშვილი, გუჯარაიძე, მაისურაძე - 3ს (კვინიხიძე)

მსაჯი: გ. ჯავახიშვილი

**საქართველოს ჩემპიონატის შესარჩევი ფინალი, როგორც მოსალოდნელი იყო უშელავათო, საკმაოდ დაძაბულ და ნერვიულ ბრძოლაში წარიმართა. „ყოჩებმა“ ან უკვე ქვეყნის ექსჩემპიონი „ლიგამუსი“ 18:9 დაამარცხეს და ჩემპიონატის მთავარ ფინალში, 25 ნოემბერს, „ლელოს“ დაუპირისპირდება.**

შეხვედრა „შევარდენის“ ატალახებულ მოედანზე საკმაოდ ნერვიული გამოდგა. თამაში ხშირად ჩერდებოდა მცირე შეხლა-შემოხლის გამო. არც ერთი გუნდი არაფრის დათმობას არ აპირებდა. „ლიგამუსის“ შერკინება ძველებურად მძლავრად კი ირჯებოდა, მაგრამ უკანა ხაზი მხარს ვერ უბავდა. თანაც მონინაალმდეგის შერკინების ხაზიც ყოჩალად იდგა. უფრო მეტიც, სათამაშო უპირატესობა თითქმის მთელი თამაშის განმავლობაში „ყოჩების“ იყო. „ლიგამუსმა“ ოთხმოცი წუთის მანძილზე მეტოქის ოცდაორმეტრიან ზონაში მხოლოდ ოთხჯერ შეაღწია, აქედან ოთხივეჯერ საჯარიმოს დარტყმის უფლებას გამორჩა, რომელთგან დამრტყმელმა **ბობა კვინიხიძემ** სამი გამოიყენა.

ანგარიში თამაშის მე-6 წუთზე გაიხსნა - კვინიხიძემ გაიტანა - 3:0. ეს ანგარიში 37-ე წუთამდე უცვლელი იყო. ამ დროის განმავლობაში „ყოჩები“ საგრძნობ უპირატესობას ფლობდნენ. მართალია, თავიდან რამდენიმე საკუთარი დერეფანი წააგეს, მაგრამ მერე კომბინაცია შეცვალეს და მეტნაკლებად დალაგდნენ. „ყოჩები“ რამდენჯერმე იყვნენ მეტოქის ლელოდან ორ მეტრში, მაგრამ გადამწყვეტ ფაზაში არასწორ გადაწყვეტილებებს იღებდნენ. ამას ისიც დაერთო თან, რომ მათი დამრტყმელი **ლაშა მალალურაძე** თავის თავს არ ჰგავდა. ლაშამ 5 საჯარიმო და სამი გარდასახვა ვერ გაიტანა, რაც ჯამში 21 ქულას შეადგენს.

ტაიმის ბოლოსკენ „ლიგამუსმა“ კიდევ ერთხელ სცადა მეტოქის მოედანზე გადასვლა და ზედ ცენტრში საჯარიმო მოიპოვა. კვინიხიძემ კარში დარტყმა გადაწყვიტა და არც შემცდარა - 6:0.

მეორე ტაიმი პირველისგან დიდად არ განსხვავდებოდა. მხოლოდ ეგ იყო „ყოჩები“ ამჯერად უფრო ყურადღებით ირჯებოდნენ. 53-ე წუთზე მათ მიერ გათამაშებული სალელოე კომბინაცია კი უდავოდ სარაგბო ქრესტომათიაშია შესატანი. „ყოჩებმა“ დერეფანი მეტოქის ლელოდან 5 მეტრში ააგდეს. **დავით ბელაშვილმა**, ბურთი მალლ ნახტომში აილო და მყისვე დიდი სიჩქარით დაძრულ პირველხაზელ **ბადრი ყალიჩავას** ჩაუგდო პირდაპირ ხელში, ამან წამზე უსწრაფესად მეტოქის ხაზი გაგლიჯა და ლელოში შევარდა, თუმცა, მალალურაძემ გარდასახვა ვერ გაიტანა 5:6.

თუმცა ეს ანგარიში13 წუთის მანძილზე უცვლეი იყო, 65-ე წუთზე კი ისევ კვინიხიძემ გაიტანა საჯარიმოდ - 9:5.

კვანძი თამაშის ბოლო ათ წუთში გაიხსნა. მოედანზე 69-ე წუთზე „ყოჩების“ მოთამაშე მწვრთნელი **ნიკო ჭავჭავაძე** შემოვიდა, რომელმაც შერკინების თამაში დაალაგა და უფრო ეფექტური გახადა. 71-ე წუთზე „ყოჩებმა“ ხუთმეტრიანი დერეფნიდან მოლი ააგორეს, თუმცა მონინაალმდეგემ მისი შეჩერება შეძლო. არბიტრმა ხუთმეტრიანი შერკინება დანიშნა „ყოჩების“ სასარგებლოდ. ამათ მონინაალმდეგის შერკინების ლელოში შეთრევა სცადეს, მაგრამ ძვრა რომ ვერ უყვეს, ბურთი გრძელ ფრთაზე გაიტანეს. შუამარბმა **დავით კაჭარავამ** სწრაფად აუარა გვერდი ორ მეტოქეს და როცა მისგან ყველა მარჯვნივ გადაცემას ელოდა, მოულოდნელად წინსვლა თვითონვე გაგრძელა და ფაქტობრივად მონინაალმდეგის მთელ უკანა ხაზს შემოურბინა. გარდასახვა მალალურაძემ ვერ გაიტანა, თუმცა, “ყოჩები” უამისოდაც დაწინაურდნენ - 10:9.

78-ე წუთზე მალალურაძემ საჯარიმო მეექვსე ცდიდან მაინც გაიტანა 13:9. „ლიგამუსს“ ხელს მხოლოდ ლელოს გატანაღა აძლევდა. მაგრამ, მოხდა პირიქით. თამაშის ბოლო წუთზე „ლიგამუსმა“ თავისი ლელოდან ხუთ მეტრში საკუთარი დერეფანი წააგო. „ყოჩებმა“ მოლი შეკრეს და მიაწვნენ. უეცრად მოლს ბურჯი **კარენ ასეიშვილი** მოსწყდა, რომლის შეჩერებაც მონინაალმდეგემ ველარ შეძლო. მალალურაძემ გარდასახვა ისევ ვერ გაიტანა, მაგრამ მიზანი უკვე მიღწეული იყო. დარჩენილ ნახევარ წუთი „ლიგამუსი“ სასწაულს ნამდვილად ველარ მოახდენდა. 18:9 „ყოჩების“ სასარგებლოდ.

**ბესიკ ჯანგავაძე**

## სუმო

# ქართველი ორ ცენტნერს მოერია

გუშინ მე-13 მაეგაშირა **კოკაიმ** მეექვსე გამარჯვება იზეიმა, ქართველმა ოშიდაშით დოჰიოდან გაიყვანა **ტამაკასუგა. ლევან ცაგურიას** ბალანსი 6-4 გახდა. დღეს კოკაის მეტოქე 175-კილოიანი რიკიში **ტოიოჰიბიკია**, მეშვიდე მაეგაშირას კოკაი წლეულს ერთხელ შეხვდა და მოუგო. ტოიოჰიბიკის კაოკაის მსგვსად 6 გამარჯვება აქვს.

გუშინ ოძეკი **ჩიოტაიკაი** მონღოლმა **ტოკიტენკუმ** დაამარცხა, ახლა ბაშოს ერთბაშად ოთხი რიკიში ლიდერობს 8-8 მოგებით: იოკოძუნა **ჰაკუჰო**, ოძეკები **ჩიოტაიკაი** და **კოტომიცუკი** და ესტონელი **ბარუტო**.

სანდანმეს დივიზიონში მეოთხე გამარჯვება მოიპოვა **თეიმურაზ ჯუღელმა (გაგამარუ)**, მან იორიკირით პროფესიული სუმოს ყველაზე მძიმე რიკიში **ორორა** (192 კგ.) დაამარცხა. გაგამარუმ დადებითი ბალანსი დაიბევა (4-1), ის ალბათ დაბრუნდება მესამე დივიზიონ მაკუშიტაში, თუმცა ამის გარანტია მეხუთე გამარჯვების მოპოვება იქნება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**კიუშუს ბაშო**

ნოემბრის სუპერტურნირი

11-25 ნოემბერი, ფუკუოკა (იაპონია)

X დღე. მნიშვნელოვანი ბრძოლები: კოკაი-ტამაკასუგა 1:0 (ოშიდაში), ჰაკუჰო-კიოკუტენჰო 1:0, ტოკიტენკუ-ჩიოტაიკაი 1:0, ტოიონოშიმა-კაიო 1:0, კოტომიცუკი-ასასეკირიუ 1:0, ამინიშიკი-გოეიდო 1:0, კოტოშოგიკუ-კაკურიუ 1:0, ამა-დეჯიმა 1:0, მიაბიამა-ჰომაშო 1:0, კისენოსატო-ტაკეკაძე 1:0, ტოჩინონადა-ჰოკუტორიკი 1:0, ტოიოჰიბიკი-ვაკანოჰო 1:0, ბარუტო-ვაკანოსატო 1:0.

სატურნირო მდგომარეობა. 8-2: ჰაკუჰო (იოკოძუნა), ჩიოტაიკაი (ოძეკი), კოტომიცუკი (ოძეკი), ბარუტო (მაეგაშირა 16); 7-3: კოტოშოგიკუ (კომუსუბი), დეჯიმა (მ 2), ტოკიტენკუ (მ 3), ტოიონოშიმა (მ 4), ტოჩინონადა (მ 7), ვაკანოსატო (მ 8), ვაკაკირინი (მ 15); .. 6-4: კოკაი (მ 13).

XI დღე. მნიშვნელოვანი წყვილები: კოკაი-ტოიოჰიბიკი, ჰაკუჰო-ასასეკირიუ, ამინიშიკი-კაიო, კოტომიცუკი-ტოიონოშიმა, ჩიოტაიკაი-კიოკუტენჰო, ამა-კისენოსატო, დეჯიმა-კოტოშოგიკუ, ჰომაშო-კაკურიუ, ტაკეკაძე-მიაბიამა, ტოკიტენკუ-გოეიდო, ტაკამისაკარი-კასუგაო, ვაკანოჰო-ტოჩინონადა, ვაკანოსატო-ვაკაკირინი, ტოსანოუმი-ბარუტო.



## ძიუდო

# ბიუროკრატი ავსტრიაშიც ბიუროკრატია

**24-25 ნოემბერს ავსტრიულ ზალცბურგში 23-წლამდე ძიუდოისტთა ევროპის პირველობა ტარდება, მაგრამ სავიზო პრობლემების გამო მასში საქართველოს ნაკრები მონაწილეობას ვერ მიიღებს. მიზეზი ავსტრიის ძიუდოს ფედერაციის და უკრაინაში ავსტრიის საკონსულოს ჩინოვნიკური მიდგომებია - ფედერაციამ ქართველ კოლეგებს ტურნირზე მიწვევა არ გამოუგზავნა, უამისოდ კი საკონსულომ ვიზები არ გასცა.**

მოგეხსენებათ, საქართველოში ავსტრიის საკონსულო არაა და ჩვენებს ვიზები სხვა ქვეყანაში უნდა გაეკეთებინათ. ასეთად უკრაინა შეარჩიეს, რომლის ავსტრიულმა საკონსულომ თავიდანვე მკაცრად მოითხოვა ორი რამ - ტურნირზე მიწვევის ორიგინალი და ვიზების მისაღებად მთელი გუნდის კიევში ჩასვლა. ჩვენები სასწრაფოდ დაუკავშირდნენ ავსტრიის ფედერაციას და მიწვევის გამოგზავნა ითხოვეს. გაურკვეველი მიზეზით, იქაური ფედერაცია ამაზე რამდენიმე დღე თავს იკავებდა, მაგრამ ჩვენებმა საქმეში ევროპის ძიუდოს ფედერაცია ჩართეს და ისინიც მოტყდნენ, თუმცა კურიოზები და აუხსნელ-გასაოცარი ამბებიც ამის შემდეგ დაიწყო.

მთავარი მოულოდნელობა ის იყო, რომ მათი მტკიცების მიუხედავად, მოსაწვევი უკვე გავუგზავნეთ ქართულ მხარესო, დოკუმენტი არსად ჩანდა! ამ გაურკვეველ ვითარებაში ჩვენებმა წერილის ნომერი ითხოვეს, რათა ამის მიხედვით მაინც ეპოვათ, სად, რომელ მისამართზე გაიგზავნა. ავსტრიელებმა ამაზე პასუხიც რამდენიმე დღე არ გვაღირსეს. ბოლოს ეს ნომერი ისევ ევროპული ფედერაციის ჩარევით გაირკვა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ იგი არა თბილისში, არამედ კიევში გაუგზავნიათ. საქმე საქმეზე რომ მიდგა, კიდევ უფრო კურიოზული რამ გაირკვა - ეს იყო არა საქართველოს, არამედ... უკრაინის ნაკრების მოსაწვევი! პრაქტიუკლად, ავსტრიულმა ფედერაციამ რამდენიმე დღე სრულიად სხვა დოკუმენტის მოძიებაზე დაგვაკარგინა.

ამის შემდეგ ისევ დატრიალდა ნაცნობი კარუსელი - თხოვნა-მოთხოვნები ავსტრიულ ფედერაციაში, პარალელურად - შუამდგომლობის თხოვნები ევროპულ ფედერაციაში, ხვეწნა-მუდარა კიევის ავსტრიულ საკონსულოში, რომ ეგებ ორიგინალის გარეშე და გუნდის ჩაუსვლელად გაეცათ ვიზები, მაგრამ ამაოდ. ჩვენმა ფედერაციამ პარასკევსაც გააგზავნა თხოვნა მიწვევის გამოზავნაზე, მაგრამ გუშინდლამდე კვლავ არაფერი მოსულა. შედეგად, ჩვენებმა იქ წასვლაზე უარი თქვეს.

სამწუხაროდ, დასავლური სამყაროსთვის სრულიად მიუღებელი ადამიანის უფლებების ასეთი შელახვა ქართულ გუნდებთან მიმართებაში ტრადიციად იქცა. საყურადღებოა, რომ ამაში ძირითადად მხოლოდ ავსტრიისა და საფრანგეთის საელჩოები სცოდავენ, რომლებსაც მუდამ უჭირთ ვიზების გაცემა ქართულ დელეგაციებზე. ბუნებრივია, ვცოდავთ ჩვენც, რადგან ევროპაში არასასურველი სტუმრის სახელი დავიმკვიდრეთ. სცოდავენ სპორტული დელეგაციებიც, რომლებიც ღრუბელივით ისრუტავენ ევროპაში არალეგალურ ემიგრანტებად მოხვედრის მსურველებს - სპორტსმენის სტატუსით იქ მოხვედრა ბევრად იოლია, მაგრამ ყველას ასე ერთ ქვაბში მოხარშვა არასწორი გვგონია. ამით უდანაშაულოებიც ისჯებიან, რისი მაგალითიც ძიუდოისტთა ეს ნაკრებია. ბოლო-ბოლო, ჩვენები 12 კაცზე ითხოვდნენ ვიზას, მისი გაცხრილვა კი არც ისე ძნელი იყო.

**ირაკლი თავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფორმულა 1

## ალონსოს თითქმის რენოშია

ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ „მაკლარენიდან" დათხოვილი **ფერნანდო ალონსო** კარიერას „რენოში" გააგრძელებს. ასეთი ინფორმაციას ავრცელებს სააგენტო „როიტერი".

*„რენოს" ახალ სეზონში რამდენიმე ექსტრა-კლასის პილოტი ეყოლება. 60 პროცენტით დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ერთ-ერთი ახალწვეული სწორედ ფერნანდო ალონსო იქნება. ესპანელს ამ თემაზე უკვე ვესაუბრეთ და მისი საკითხი უახლოესი ორი დღის განმავლობაში საბოლოოდ გაირკვევა",* - ოპტიმისტურ განცხადებას აკეთებს „რენოს" სპორტული დირექტორი **ფლავიო ბრიატორე**.

ჰოკეი

## ოლუნდი მკაცრად დაისაჯა

„ვანკუვერ კენაქსის" შვედი მცველი **მატიას ოლუნდი** ოთხმატჩიან დისკვალიფიკაციას მოიხდის. ასეთი მკაცრი სასჯელი მან „მინესოტა უაილდთან" შეხვედრაში მომხდარი ინციდენტისთვის დაიმსახურა. ოლუნდმა ყვანჯი ჩაარტყა ფინელ **მიკო კოივუს** და ამ უკანასკნელმა მუხლის ტრავმა მიიღო.

გარდა ოთხი მატჩის გამოტოვებისა, შვედი მცველი 74 866 დოლარის ოდენობის ჯარიმასაც გადაიხდის.

## დალასმა ფედორუკი გაუშვა

„დალას სტარზმა" ტრანსფერზე დააყენა ვეტერანი ფორვარდი **ტოდ ფედორუკი** (ამ სეზონის 11 მატჩში 2 შედეგიანი პასი). ასეთი გახლავთ კლუბის ახალი გენერალური მენეჯერის, **ლეს ჯექსონის** პირველი გადაწყვეტილება.

როგორც სააგენტო „როიტერი" იტყობინება, ამ ნაბიჯით „დალასი" აქცენტს შემადგენლობის გაახალგაზრდავებაზე აკეთებს.

## მოდანოს ბუშმა მიულოცა

ამასობაში, დიდი პატივი ხვდა წილად „დალასის" კიდევ ერთ ვეტერან ფორვარდს, **მაიკ მოდანოს**. როგორც იცით, გასულ კვირას ამ ჰოკეისტმა კარიერაში 1232 ქულას მოუყარა თავი და ლიგის არსებობის ისტორიაში ყველაზე შედეგიანი ამერიკელი ჰოკეისტი გახდა.

ეს წარმატება მოდანოს ოფიციალურად მიულოცა აშშ-ის პრეზიდენტმა **ჯორჯ ბუშმა**. *„მთელი გულით ვულოცავ მაიკს ამ მიღწევას: მან დაიმსახურა ამერიკელებს შორის ლიდერობა და კლუბის ნამდვილ სიმბოლოს წარმოადგენს, ვინაიდან მთელი კარიერა „დალასში" აქვს გატარებული",* - წერია პრეზიდენტის ოფიციალურ განცხადებაში.

## მტაცებლები ნეშვილში რჩებიან

ნეშვილმა ჰოკეის კლუბი „პრედატორზი" შეინარჩუნა. ინვესტორების ჯგუფმა ახალ საარენდო ხელშეკრულებაზე ქალაქის მთავრობასთან შეთანხმებას მიაღწია და „ნეშვილ პრედატორზი" მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში არ შეიცვლის ადგილმდებარეობას.

ადრე, გუნდის მფლობელი **კრეიგ ლეოპოლდი** მილიარდერ **ჯიმ ბალსილისთვის** 220 მილიონ დოლარად აპირებდა „ნეშვილის" მიყიდვას, მაგრამ გარიგება არ შედგა. ამის შემდეგ, ლეოპოლდთან მოლაპარაკებები დაიწყეს საქალაქო ბიზნესის წარმომადგენლებმა, რომლებმაც ნეშვილს ჰოკეის კლუბი შეუნარჩუნეს.

## მონრეალმა რობინსონი დააფასა

გუშინ, „მონრეალ კანადიენსისა" და „ოტავა სენატორზის" შეხვედრის წინ საზეიმო ცერემონია გაიმართა. „მონრეალის" საშინაო არენის, „ბელ ცენტრის" თაღზე დაკიდეს კლუბის ლეგენდარული მოთამაშის, **ლარი რობინსონის** 19-ნომრიანი მაისურა. ამიერიდან, ამ ნომრით კლუბში ვერცერთი ჰოკეისტი ველარ ითამაშებს.

რობინსონი „კანადიენსში" 1972-89 წლებში თამაშობდა და ამ პერიოდში ექვსჯერ მოიგო სტენლის თასი. სულ ამ მცველმა NHL-ში 1202 მატჩი ჩაატარა და 883 ქულა დააგროვა. 1995 წელს, ლარი ჰოკეის ეროვნული ლიგის დიდების დარბაზში შეიყვანეს.

რობინსონი „მონრეალის" მე-13 მოთამაშეა, ვისაც მსგავსი პატივი ხვდა წილად. 23 თებერვალს კი, „კოლამბუსთან" მატჩის წინ, მე-14 რჩეული გახდება **ბობ გეინი**, რომელიც ამჟამად „კანადიენსის" გენერალური მენეჯერი გახლავთ.

კალათბურთი

## მაიამი ბიბის უმიზნებს

ამერიკული პრესის ცნობით, „მაიამი ჰიტი" აქტიურ დაინტერესებას გამოთქვამს „საკრამენტოს" მცველის, **მაიკ ბიბის** გადაბირების თაობაზე.

ამ კალათბურთელმა ცოტა ხნის წინ განაახლა ვარჯიშები ხელზე გაკეთებული ოპერაციის შემდეგ.

„მაიამის" შეფობა ვარაუდობს, რომ ბიბის სანაცვლო კომპენსაციის ნაწილი გახდება გამთამაშებელი **სმაშ პარკერი**, რომლის თამაშით „ჰიტის" მწვრთნელები უკმაყოფილონი არიან.

მაიკ ბიბიმ შარშანდელ რეგულარულში 82 მატჩი ჩაატარა და მისმა საშუალო მონაგარმა 17.1 ქულა, 4.7 პასი და 3.2 მოხსნა შეადგინა.

მთის თხილამურები

## მილერი დოპინგის ლეგალიზაციის მომხრეა

მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონმა **ბოდე მილერმა** კვლავ გაახმოვანა თავისი ძველი იდეა. ამერიკელი მოთხილამურის სურვილია სპორტსმენებს დოპინგის მიღების ნება დართონ. მსგავსი იდეით მილერი 2005 წელსაც გამოვიდა.

*„დოპინგის ლეგალიზაცია სამართლიანი გადაწყვეტილება იქნება, რადგან ამ შემთხვევაში გათანაბრდება ყველა სპორტსმენის შანსები. აქ საქმე იმაში არ არის, კარგია ეს თუ ცუდი. თუ ყველაფერი დაშვებულია - ეს სამართლიანია. ასევე სამართლიანია, როცა ყველაფერი აკრძალულია",* - ამბობს მილერი.

მილერმა მაგალითად ველოსპორტში ერითროპოეტინის პრობლემა მოიყვანა. *„ყოველი ველომრბოლის სისხლში ერითროპოეტინის დონე განსხვავებულია. მათ, ვისაც ის დაბალი აქვთ, შეუძლიათ აკრძალული პრეპარატი მიიღონ, რათა ის დაშვებულ დონემდე აიყვანონ. ეს ხომ არ არის კანონიერი? პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ანტისადოპინგო კონტროლს არაფერი აქვს საერთო შესაძლებლობების გათანაბრებასთან. მათ, ვისაც დოპინგის გამოყენება უნდათ, ამას წარმატებით აკეთებენ. ანტისადოპინგო კონტროლი - დროის უაზრო ხარჯვაა",* - აღნიშნავს ამერიკელი მოთხილამურე.



კრიმინალი

# სამგზის პატიმარი

### მაიკ ტაისონს 24-საათიანი პატიმრობა აკმარეს



ტაისონი სასამართლოზე

არიზონას შტატის სასამართლომ ლეგენდარულ ამერიკელ მოკრივეს **მაიკ ტაისონს** 10-დღიანი პატიმრობა მიუსაჯა, თუმცა რეალურად, „რკინის მაიკი" საპყრობილეში 24 საათს გაატარებს. გარდა ამისა, საბოლოო განაჩენი ითვალისწინებს 3-წლიან პირობით პატიმრობას და 360-საათიან საზოგადოებრივ შრომას. ასეთია სასჯელი ნარკოტიკების შენახვისთვის და არაფხიზელ მდგომარეობაში მანქანის მართვისთვის.

როგორც ცნობილია, მაიკ ტაისონი 2006 წლის 29 დეკემბერს დააკავეს. არიზონას შტატის ქალაქ სკოტსდეილში, მოკრივემ თავისი მანქანით ღამის კლუბი დატოვა და ცოტა ხანში, კინაღამ საპატრულო მანქანას შეეჯახა. პოლიციელ **ლარი ჰოლის** მიერ შედგენილ ოქმში ეწერა, რომ ტაისონი არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდა, მაგრამ საკუთარი სურვილით დათანხმდა ალკოჰოლური და ნარკოტიკული ტესტის გავლას.

პოლიციელის სიტყვებით, ტაისონი მას შემდეგ დააპატიმრეს, როცა მან აღიარა, რომ იმ საღამოს ნარკოტიკი ჰქონდა მიღებული. მოკრივემ პოლიციის ოფიცერს განუცხადა - ყოველთვის ვიღებ კოკაინს, როცა ამის შესაძლებლობა გამაჩნიაო. სხვათა შორის, მოკრივის შავ BMW-ში პოლიციამ 2.16 გრამი კოკაინი იპოვნა.

იანვარში, ტაისონმა სასამართლოზე განაცხადა, რომ ის უდანაშაულოა. ასეთი განცხადების შემდეგ, ყოფილ მსოფლიო ჩემპიონს 7-წლიანი პატიმრობის საფრთხე დაემუქრა, მაგრამ თუ ის ბრალს აღიარებდა, სასჯელი შეუმსუბუქდებოდა.

საბოლოოდ, ტაისონმა ადვოკატების რჩევა გაითვალისწინა და სასამართლოს მორიგ სხდომაზე ბრალი აღიარა. მოსამართლემ ვერდიქტის გამოტანა 19 ნოემბრისთვის დანიშნა.

გუშინ, პროკურორი **შეინ კროსნერი** მოკრივისთვის ერთწლიან პატიმრობას ითხოვდა. ის იმაზე მიანიშნებდა, რომ ადრე მოკრივე გაუპატიურებისა და ხალხზე თავდასხმისთვის იყო დაპატიმრებული და საზოგადოებისთვის საფრთხეს წარმოადგენდა. მაგრამ, როგორც „როიტერი" იტყობინება, ადვოკატებმა დაარწმუნეს სასამართლო იმაში, რომ მაიკმა შეცდომა დაუშვა და ის გამოსწორების გზას ადგას. ამ წლის თებერვალში, ტაისონმა ალკოჰოლური და ნარკოტიკული მიდრეკილების მკურნალობა დაიწყო. ასევე დიდი როლი ითამაშეს სასამართლოს გადაწყვეტილებაზე ტაისონის ყოფილმა ცოლებმა, რომლებმაც მაიკისთვის ბრალის შემსუბუქება ითხოვეს.

მოსამართლე **ელენ აბრამსმა** სხდომაზე განაცხადა, რომ მოხიბლულია გამოსწორებისკენ ტაისონის მიერ გადადგმული ნაბიჯებით. *„თქვენ კარგად მუშაობთ იმისთვის, რომ გაუმკლავდეთ მავნე ჩვევებსა და სუიციდურ გადახრებს",* - თქვა მოსამართლემ.

ეს ტაისონის მესამე პატიმრობა იქნება. 1992 წელს, გაუპატიურებისთვის მაიკი ინდიანას ციხეში სამი წლით ჩაჯდა, ხოლო 1999 წელს, მერილენდში 3-თვე გაატარა საპყრობილეში ავტოსაგზაო შემთხვევის შემდეგ მომხდარ ჩხუბის გამო.

დიდი ბრძოლა

# ჯონსი და ტრინიდადი დიდ ბრძოლას გვპირდებიან



ჯონსი (მარჯვნივ) და ტრინიდადი ბრძოლაზე შეთანხმდნენ

კრივის მოყვარულებს კიდევ ერთი საინტერესო ბრძოლის ხილვა ელით – ერთმანეთს თანამედროვეობის ორი სახელოვანი მოკრივე დაუპირისპირდება. შესაძლოა, **როი ჯონს უმცროსი** და **ფელიქს ტრინიდადი** ახლა თავიანთი კარიერის საუკეთესო ფორმაში არ არიან, მაგრამ 19 იანვარს როდესაც ისინი "მედისონ სკვერ გარდენის" ახალ რინგზე ერთმანეთის პირისპირ დადგებიან, საეჭვოა იმ დროს ვინმემ ტრიბუნაზე ცარიელი ადგილის პოვნა შეძლოს.

ორივე მოკრივის ანგარიშზე, სხვადასხვა წონითი კატეგორიისა და სხვადასხვა პრესტიჟული გაერთიანების 13 ტიტული მოდის. ბრძოლის ორგანიზატორობა **დონ კინგმა** ითავა, გაშუქებას კი საკაბელო ტელეარხი HBO კისრულობს. რინგზე არცერთი მხარე ქამარს არ გამოიტანს. თუმცა ორივესთვის გამარჯვებას ალბათ ჩემპიონობაზე მეტი ფასი ექნება.

პუერტორიკოელ ტრინიდადს კარიერაში ჩატარებული 44 ბრძოლიდან მხოლოდ ორი აქვს წაგებული, 35 გამარჯვება კი ნოკაუტით მოიპოვა. ჯონსის შესაბამისი მაჩვენებლებია 51 მოგება, 4 წაგება და 38 ნოკაუტი. შეხვედრა 77 კგ-მდე წონაში შედგება. ეს წონა ოდნავ მეტია ზესაშუალოს ლიმიტზე, მაგრამ იმავდროულად, ვერც ქვემძიმემდე ქაჩავს.

*"დიდი ხანია, ამ ბრძოლის გამართვაზე ერთმანეთთან მოლაპარაკებას ვაწარმოებთ და მიხარია, რომ ბოლოს და ბოლოს, შეთანხმებას მივაღწიეთ. როგორც მოკრივეს, ჯერაც არ ამომიწურავს ჩემი შესაძლებლობანი და ყველაფერს ვეცდები, დავარწმუნოთ, რომ მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო მოკრივე ვარ. ამ წონაში თავს კარგად ვგრძნობ. გარწმუნებთ, მაყურებელი დდ სიამოვნებას მიიღებს. სხვა თუ არაფერი, რინგზე ორი დიდი ჩემპიონი ავა. ჩვენ ორში რომელიმე გაილახება. დამიჯერეთ, ეს როი ჯონსი იქნება",* - ამბობს 34 წლის ტრინიდადი, ვისაც როჭოს, ქვესაშუალო და საშუალო წონებში მსოფლიოს ჩემპიონის ხუთი ტიტული აქვს მოპოვებული. რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, კარიერის განმავლობაში, ტიტოს (ტრინიდადის მეტსახელია) სამი ოლიმპიური ჩემპიონი – **პერნელ უაიტეკერი, ოსკარ დე ლა ჰოია** და **დევიდ რიდი** ჰყავს დამარცხებული. ამასთან, ბრძოლების 80 პროცენტი ნოკაუტით მოიგო.

სეულის ოლიმპიადაზე (1988) ოლიმპიური ოქრო შემთხვევით ვერ მოიპოვა ჯონსმა – სამი მსაჯის სენსაციური გადაწყვეტილებით, მაშინ ჩემპიონი კორეელი მოკრივე გახდა, ჯონსი კი ვერცხლის მედალს დასჯერდა. თუმცა, ამის მიუხედავად, ტიტო მას მაინც ოლიმპიურ ჩემპიონად მიიჩნევს და მართალიცაა. თუმცა:

*"ჩემს კარიერაში უამრავი ბრძოლა ჩამიტარებია და სამი ოლიმპიური ჩემპიონი მყავს დამარცხებული. როი, შენ მეოთხე ოლიმპიური ჩემპიონი იქნება, ვინც ჩემგან მარცხს იწვნევს. და მე ამას ნოკაუტით გავაკეთებ",* - განაცხადა ტრინიდადმა.

ჯონსი ტიტოზე გაცილებით ტიტულოვანია. 38 წლის მოკრივეს პროფესიულ რინგზე მსოფლიო ჩემპიონის რვა ქამარი აქვს მოპოვებული. ის ჩემპიონი იყო საშუალო, ზესაშუალო, ქვემძიმე და ზემძიმე წონებში. აღსანიშნავია, რომ ჯონსი ასი წლის განმავლობაში საშუალო წონის პირველი ჩემპიონია, ვინც ზემძიმეში შეძლო იქაური ჩემპიონის დამარცხება. 2003 წელს, მან თითქმის 14 კილოთი მძიმე პუერტორიკოელი **ჯონ რუისი** დაამარცხა და მას ზემძიმეს ჩემპიონის წოდება (WBC-ს) ჩამოართვა.

სწორედ რუისთან მოპოვებული სენსაციური გამარჯვების შემდეგ დაიწყო ჯონსის ბრწყინვალე კარიერის დაღმასვლა. ზედიზედ სამი მარცხი იწვნია (მათგან ორი **ანტონიო ტარვერთან**), რის შემდეგაც ორი ბრძოლა მოიგო და ტრინიდადთან შეხვედრამდეც ასე მოვიდა.

*"ჩვენ ორივეს უმძიმესი დარტყმა გვაქვს, ტანით ბომბებს ვატარებთ და ვინ იცის, როდის ავაფეთქებთ მათ. ვინც პირველი შეძლებს ზუსტი დარტყმების განხორციელებას, ალბათ გამარჯვებასაც ის მოიპოვებს. წინასწარ ძნელი იმის თქმა, თუ ვინ მოიგებს. მე ვიმედოვნებ, რომ ბრძოლის შემდეგ მსაჯი ხელს მე ამაწევინებს. ისე კი, მაყურებელი ნებისმიერ შემთხვევაში მოგებული დარჩება",* - ამბობს ჯონსი.

პრესკონფერენციაზე დონ კინგი სანტა კლაუსივით გამოწყობილი მივიდა. მისი თქმით, ბრძოლის ტელეჩვენების გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლის სოლიდური ნაწილი საქველმოქმედო მიზნებს მოხმარდება. ამასთან, კინგმა იმედი გამოთქვა, რომ ტელერეპორტაჟის ნახვის უფლებას 3 მილიონზე მეტი მაყურებელი შეიძენს; რითაც მოიხსნება **ფლოიდ მეივეზერ უმცროსისა** და დე ლა ჰოიას ბრძოლის რეკორდი, რომლის ტელეეკრანზე ხილვის უფლება 2.15 მილიონზე მეტმა ადამიანმა შეიძინა.

*"ეს უბრალო ბრძოლა არ იქნება. მე მას მოვლენას, საკრივო მოვლენას ვუწოდებდი. რინგზე საჩემპიონო ქამრებს ვერ იხილავთ, მაგრამ გამარჯვებულს თავისუფლად შეიძლება ვუწოდოთ ხალხის ჩემპიონი. ამ ორი ლეგენდის ერთმანეთთან შეხვედრით კი საკაბელო ტელეარხის გაყიდვების რეკორდის მოხსნასაც შევძლებთ. ვფიქრობ, ამ ბრძოლის ხილვას სამი მილიონი ტელემაყურებელი მოისურვებს",* - ამბობს კინგი.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

# ჰოკეი

## NHL რეგულარული ჩემპიონატი

**რეინჯერსი-აილენდერსი 1:2**

0:0, 1:2, 0:0

**გოლები:** 0:1 ფედოტენკო-6 (კომრი-11), 0:2 ვაშიჩეკი-8 (ბერგენჰაიმი-4), 1:2 როჟსივალი-7 (შენეჰანი-7, დრური-10).

**ვაშინგტონი-ფლორიდა 3:4**

1:2, 0:1, 2:1

**გოლები:** 0:1 ბუტი-5 (სალეი-6, უეისი-12), 1:1 ლეიჩი-4, 1:2 კრეპსი-3 (პელტონენი-7, დვორაკი-4), 1:3 ო. იოკინენი-10 (ზედნიკი-3, შტუმპელი-8), 1:4 ო. იოკინენი-11 (ზედნიკი-4, შტუმპელი-9), 2:4 სიომინი-1 (ფლიშმანი-3, ნიულანდერი-13), 3:4 კ. კლარკი-3 (ოვეჩკინი-9, ნიულანდერი-14).

**ატლანტა-ტამპა ბეი 4:3 (ო)**

1:0, 0:2, 2:1, 1:0

**გოლები:** 1:0 ლარსენი-1 (დუპუი-1, ჰოლიკი-5), 1:1 პლავაჩი-4 (ულეტი-8, ბ. რიჩარდსი-15), 1:2 ლეკავალიე-14 (კუბა-6, პროსპალი-11), 1:3 სენტ ლუისი-8 (პროსპალი-12, ლეკავალიე-20), 2:3 ლიტლი-3 (მარიან ჰოსა-7, ვიაჩ. კოზლოვი-7), 3:3 კოვალჩუკი-17 (მარიან ჰოსა-8, ჰაველიდი-3), 4:3 ტ. უაიტი-5 (კოვალჩუკი-12, ენსტრიომი-8).

**მონრეალი-ოტავა 2:4**

0:2, 1:1, 1:1

**გოლები:** 0:1 ივსი-4 (ალფრედსონი-11, შუბერტი-4), 0:2 ნილი-3 (სპეცა-13, ჰიტლი-14), 1:2 ლატენდრესი-4 (ბრისბუა-4, კოვალიოვი-8), 1:3 ჰიტლი-9 (ნილი-2, სპეცა-14), 1:4 კ. კელი-4 (ჰიტლი-15, სპეცა-15), 2:4 ჰიგინსი-7 (ს. კოივუ-13, შტრაიტი-9).

**სენტ ლუისი-ნეშვილი 2:1**

0:0, 1:0, 1:1

**გოლები:** 1:0 კარია-5 (ე. ჯონსონი-4, ბრიუერი-3), 2:0 ბოიესი-12 (კარია-15, ტკაჩუკი-11), 2:1 ბონკი-8 (უებერი-2, ჟიდლიცკი-9).

**დალასი-ლოს ანჯელესი 3:0**

0:0, 1:0, 2:0

**გოლები:** 1:0 ოტი-2 (ლ. ერიქსონი-2), 2:0 ჰაგმანი-9 (რობიდასი-3), 3:0 ი. ლეჰტინენი-6 (რიბეირო-12, მოროუ-12).

### ტურის მოვლენები

- „აილენდერსის" მეკარემ **რიკ დიპიეტრომ** კარიერაში მე-100 გამარჯვება იზეიმა.
- ნიუიორკული დერბი ალსანიშნავი იყო თავად „აილენდერსისთვისაც". ამ გუნდმა თავისი არსებობის ისტორიაში მე-500 გასვლითი შეხვედრა მოიგო.
- „აილენდერსმა" ბოლო 10 ნიუიორკულ დერბიში მერვედ გაიმარჯვა.

■ ■ ■

- „ფლორიდამ" შეწყვიტა სტუმრად ოთხმატჩიანი წაგებათა სერია.
- „ვაშინგტონმა" ზედიზედ მეოთხე მატჩი წააგო. ამ გუნდს საკუთარ მოედანზე რვიდან ექვსი წაგება აქვს.
- „პანტერებმა" ვაშინგტონში ბოლო 11 შეხვედრიდან 9-ჯერ დაამარცხეს ადგილობრივი „კეპიტალზი".

■ ■ ■

- „ატლანტამ" ზედიზედ მესამე მატჩი მოიგო. მას შემდეგ, რაც ამ გუნდს სათავეში ჩაუდგა გენერალური მენეჯერი **დონ უოდელი**, „ტრეშერზმა" 14-დან 10 შეხვედრა დაასრულა თავის სასარგებლოდ.
- ფენომენალურ შედეგიანობას აჩვენებს „ტამპა ბეის" ლიდერი **ვენსან ლეკავალიე**. ამ ჰოკეისტმა ზედიზედ მერვე მატჩში შეძლო ერთდროულად მინიმუმ ერთი გოლისა და შედეგიანი პასის დაგროვება. ლეკავალიე 34 ქულით ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირია.
- ასევე შედეგიანად თამაშობს ლეკავალიეს პარტნიორი **მარტინ სენტ ლუისი**, რომელმაც ბოლო რვა მატჩში 15 ქულა დააგროვა.
- ბოლო რვა ტურში „ატლანტას" ლიდერებმა **მარიან ჰოსამ** და **ილია კოვალჩუკმა** 18 გოლი გაიტანეს და 12 შედეგიანი პასი შეასრულეს.

■ ■ ■

- „ოტავას" მეკარემ **მარტინ გერბერმა** 36 დარტყმა მოიგერია. ეს მეკარე ლიგის ლიდერია გამარჯვებების რაოდენობით - 13 მოგება 15 მატჩში.

■ ■ ■

- „სენტ ლუისმა" ზედიზედ მეოთხე თამაში მოიგო.

■ ■ ■

- „დალასის" მეკარემ **მაიკ სმიტმა** 22 დარტყმა მოიგერია და კარიერაში მეოთხე შატაუტი შეასრულა.
- „კინგზმა" ზედიზედ მეოთხე მატჩი წააგო.

### კვირის სამი ვარსკვლავი

ზედიზედ მეორე კვირა, გასული 7 დღის პირველ ვარსკვლავად „ტამპა ბეის" ფორვარდი **ვენსან ლეკავალიე** დასახელდა.

ლეკავალიემ ორი თამაში ჩაატარა და 8 ქულის დაგროვება (4 გოლი+4 პასი) შეძლო. ოთხშაბათს, „კაროლინასთან" მატჩში, ფორვარდმა კარიერის რეკორდი დაამყარა - ხუთი ქულა ჩაიწერა აქტივში, შაბათს „ვაშინგტონის" წინააღმდეგ კი, სამი ქულა დააგროვა.

მეორე ვარსკვლავი გახდა „სან ხოსეს" რუსი მეკარე **ევგენი ნაბოკოვი**, რომელმაც 4-დან სამი მატჩი მოიგო, საშუალოდ 0.96 შაიბა გაუშვა და მეტოქეთა დარტყმების 95.9 პროცენტი მოიგერია.

მესამე ვარსკვლავად „ნეშვილის" ფორვარდი **მარტინ ერატი** დასახელდა. მის ანგარიშზე სამ მატჩში ექვსი ქულა (3+3) მოდიოდა.



ვენსან ლეკავალიე

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ოტავა* | 19 | 16 | 3 | 0 | 32 |
| 2. კაროლინა* | 21 | 12 | 6 | 3 | 27 |
| 3. რეინჯერსი* | 21 | 12 | 8 | 1 | 25 |
| 4. მონრეალი | 20 | 11 | 6 | 3 | 25 |
| 5. ფილადელფია | 19 | 11 | 7 | 1 | 23 |
| 6. აილენდერსი | 17 | 11 | 6 | 0 | 22 |
| 7. ტამპა ბეი | 20 | 10 | 8 | 2 | 22 |
| 8. ტორონტო | 21 | 8 | 8 | 5 | 21 |
| 9. ბოსტონი | 18 | 9 | 7 | 2 | 20 |
| 10. ატლანტა | 20 | 10 | 10 | 0 | 20 |
| 11. ფლორიდა | 22 | 9 | 12 | 1 | 19 |
| 12. პიტსბურგი | 20 | 8 | 10 | 2 | 18 |
| 13. ნიუ ჯერსი | 20 | 8 | 10 | 2 | 18 |
| 14. ბაფალო | 18 | 7 | 10 | 1 | 15 |
| 15. ვაშინგტონი | 20 | 6 | 13 | 1 | 13 |

**დასავლეთი კონფერენცია**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. დეტროიტი* | 20 | 14 | 5 | 1 | 29 |
| 2. სან ხოსე* | 21 | 11 | 7 | 3 | 25 |
| 3. მინესოტა* | 20 | 11 | 7 | 2 | 24 |
| 4. კოლორადო | 19 | 11 | 7 | 1 | 23 |
| 5. ჩიკაგო | 20 | 11 | 8 | 1 | 23 |
| 6. ანაჰაიმი | 21 | 10 | 8 | 3 | 23 |
| 7. სტ. ლუისი | 18 | 11 | 7 | 0 | 22 |
| 8. ნეშვილი | 20 | 10 | 8 | 2 | 22 |
| 9. დალასი | 20 | 9 | 7 | 4 | 22 |
| 10. კოლამბუსი | 20 | 9 | 7 | 4 | 22 |
| 11. ვანკუვერი | 19 | 10 | 8 | 1 | 21 |
| 12. კალგარი | 20 | 8 | 9 | 3 | 19 |
| 13. ლოს ანჯელესი | 20 | 8 | 11 | 1 | 17 |
| 14. ფინიქსი | 18 | 8 | 10 | 0 | 16 |
| 15. ედმონტონი | 20 | 7 | 12 | 1 | 15 |

* - დივიზიონის ლიდერი

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ლეკავალიე (ტ-ბეი) | 34 (14+20) |
| ზეტერბერგი (დეტ) | 30 (14+16) |
| კროსბი (პიტ) | 30 (11+19) |
| კოვალჩუკი (ატლ) | 29 (17+12) |
| სუნდინი (ტორ) | 27 (10+17) |
| სენტ ლუისი (ტ-ბეი) | 27 (8+19) |
| მალკინი (პიტ) | 27 (7+20) |
| ალფრედსონი (ოტა) | 26 (15+11) |
| იგინლა (კალ) | 26 (11+15) |
| ბრინდამორი (კარ) | 26 (10+16) |

**გოლეადორები**

| | |
|---|---|
| კოვალჩუკი (ატლ) | 17 |
| ალფრედსონი (ოტა) | 15 |
| ნეში (კოლამბ) | 14 |
| ლეკავალიე (ტ-ბეი) | 14 |
| ზეტერბერგი (დეტ) | 14 |
| ოვეჩკინი (ვაშ) | 13 |

**ასისტენტები**

| | |
|---|---|
| ლეკავალიე (ტ-ბეი) | 20 |
| მალკინი (პიტ) | 20 |
| კროსბი (პიტ) | 19 |
| სენტ ლუისი (ტ-ბეი) | 19 |
| სუნდინი (ტორ) | 17 |
| ზეტერბერგი (დეტ) | 16 |
| დაციუკი (დეტ) | 16 |
| ჯ. ტორნტონი (ს-ხოს) | 16 |
| კულენი (კარ) | 16 |
| ტანგვეი (კალ) | 16 |
| ლიდსტრიომი (დეტ) | 16 |
| სავარი (ბოს) | 16 |
| ბრინდამორი (კარ) | 16 |

# კალათბურთი

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

**იუტა-ნიუ ჯერსი 102:75**

30:17, 21:24, 32:17, 19:17

**იუტა:** დ. უილიამსი (20 ქ. 6 პ. 4 მ. 2 ჩ), ბუზერი (17 ქ. 6 მ), ბრიუერი (14 ქ. 6 პ. 5 ჩ), ოქური (14 ქ. 7 მ. 2 დ).

**ნიუ ჯერსი:** რ. ჯეფერსონი (22 ქ. 3 მ), ნახბარი (16 ქ. 2 ჩ), ე. გილი (12 ქ. 2 ჩ), შონ უილიამსი (10 ქ. 3 დ).

**მემფისი-სიეტლი 125:108**

38:24, 30:29, 34:24, 23:31

**მემფისი:** ს. სვიოფიტი (24 ქ. 5 მ. 4 პ), მ. მილერი (19 ქ. 7 პ), უორიკი (16 ქ. 5 მ), დ. სტაუდმაიერი (16 ქ. 7 პ), გასოლი (14 ქ. 7 მ. 7 დ. 5 პ), ლოური (12 ქ), გეი (12 ქ. 7 მ. 4 პ. 2 ჩ).

**სიეტლი:** დელონტე უესტი (17 ქ. 4 პ), უილკოქსი (16 ქ. 6 მ), შჩერბიაკი (11 ქ. 5 პ), კოლისონი (11ქ. 2 დ), უოტსონი (1 ქ), დიურანი (11 ქ), ჯ. გრინი (11 ქ. 14 მ), უილკინსი (11 ქ. 6 პ. 5 მ).

**ნიუ ორლეანი-ორლანდო 88:95**

17:33, 26:20, 25:17, 20:25

**ნიუ ორლეანი:** სტოიაკოვიჩი (21 ქ. 2 ჩ), პარგო (18 ქ. 7 პ. 2 დ), დევიდ უესტი (14 ქ. 5 მ. 2 ჩ), პიტერსონი (11 ქ), ელი (10 ქ).

**ორლანდო:** დ. ჰოვარდი (24 ქ. 15 მ. 2 დ), რ. ლიუისი (19 ქ. 7 მ), ნელსონი (16 ქ. 5 მ. 5 პ), დულინგი (15 ქ), თურქოლლუ (15 ქ. 7 მ. 4 პ).

**შარლოტი-პორტლენდი 101:92**

24:23, 16:13, 23:25, 38:31

**შარლოტი:** ჯ. უოლასი (27 ქ. 6 ჩ. 4 მ), ფელტონი (24 ქ. 10 პ. 2 ჩ), ჯ. რიჩარდსონი (24 ქ. 4 მ), ოკაფორი (12 ქ. 12 მ. 3 დ. 2 ჩ).

**პორტლენდი:** ჯეკი (18 ქ), როი (17 ქ. 5 მ. 5 პ), უებსტერი (15 ქ. 6 მ), ბლეიკი (14 ქ)

### კვირის მოთამაშეები

გასული კვირის საუკეთესო მოთამაშეებად აღმოსავლეთიდან „ორლანდო მეჯიქის" ცენტრი **დუაიტ ჰოვარდი** და დასავლეთიდან „დენვერ ნაგეტსის" მცველი **ალენ აივერსონი** დასახელდნენ.

ჰოვარდს წინა კვირას შესანიშნავი სტატისტიკური მაჩვენებლები ჰქონდა - 23.2 ქულა, 13.3 მოხსნა და 2.8 დაფარება. მთავარი მაინც ის არის, რომ დუაიტი გახდა ლიგის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა კალათბურთელი (21 წლის და 343 დღის), რომელმაც კარიერაში 3000 მოხსნა დააგროვა. ამით მან **შაკილ ო'ნილის** რეკორდი დაამხო.

„ორლანდოს" ლიდერმა კარიერის რეკორდი დაამყარა, როცა 14 ნოემბერს 35 ქულა ჩააგდო „კლივლენდის" წინააღმდეგ, ორი დღის შემდეგ კი, 19 მოხსნა გააკეთა „ნიუ ჯერსისთან" მატჩში.

რაც შეეხება აივერსონს, მან ყველაზე დიდი წვლილი შეიტანა იმაში, რომ „დენვერმა" გასულ კვირას სამიდან სამი მატჩი მოიგო. ამ შეხვედრებში ვეტერანი კალათბურთელის ანგარიშზე საშუალოდ 26.7 ქულა იყო.

კვირის მოთამაშეობაზე სხვა კანდიდატები იყვნენ: **ჯოშ ჰოვარდი** („დალასი"), **კერონ ბატლერი** („ვაშინგტონი"), **ენდრიუ ბოგუტი** („მილუოკი"), **კრის პოლი** და **დევიდ უესტი** („ნიუ ორლეანი").

# TV სპორტი

**21 ნოემბერი. ოთხშაბათი**

**НТВ-პლუს ფეხბურთი**

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-აღლუმი.
15:15 ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. შოტლანდია-იტალია.
17:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:25 ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-აღლუმი.
19:20 ტოქ-შოუ - 90 წუთი.
20:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:20 ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. უელსი-ირლანდია.
23:10 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
23:40 ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. სერბეთი-პოლონეთი (LIVE).
01:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
01:55 ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. უკრაინა-საფრანგეთი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:41 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. პოლანდია-ლუქსემბურგი.
09:30 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
10:00 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
10:13 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვოლფსბურგი-ლევერკუზენი.
11:56 ცურვა. მსოფლიო თასი. ფინალები. ბერლინი. გერმანია.
13:59 სპორტდოსიე. ჩოგბურთი.
14:29 ჩოგბურთი. PEOPLEnet CUP. ფინალი.
16:31 სპორტის სამყარო.
17:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. მაკედონია-ხორვატია.
18:43 სპორტკლუბი.
19:14 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტორონტო-ბოსტონი.
20:00 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
20:15 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ცსკა-ქალგირისი (LIVE).
23:10 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
23:28 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
00:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ინგლისი-ხორვატია (LIVE).
01:56 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ლეტუვოს რიტასი-ეფეს პილსენი.
03:37 სპორტდოსიე. ჩოგბურთი.
04:03 სპორტის სამყარო.
04:30 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დეტროიტი-სტ. ლუისი (LIVE).
07:07 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. უელსი-ირლანდია.

**EUROSPORT**

11:30 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
11:45 ექსტრემალური სპორტი.
12:15 ფეხბურთი. ევრო 2008. ნორვეგია-თურქეთი.
13:15 ფეხბურთი. ევრო 2008. შოტლანდია-იტალია.
14:15 ფეხბურთი. ევრო 2008. პოლონეთი-ბელგია.
15:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
15:15 სნუკერი.
16:15 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
16:30 ფეხბურთი. ევრო 2008. შოტლანდია-იტალია.
17:30 ფეხბურთი. ევრო 2008. ნორვეგია-თურქეთი.
18:30 ფეხბურთი. ევრო 2008. პოლონეთი-ბელგია.
19:15 მინი-ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. ესპანეთი-რუსეთი. პორტუგალია (LIVE).
20:45 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
21:00 მინი-ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. უკრაინა-სერბეთი. პორტუგალია.
21:30 მულტისპორტი.
21:35 ცხენოსნობა. მსოფლიო თასი. შტუტგარტი. გერმანია.
22:35 ცხენოსნობა. ახალი ამბები.
22:40 მულტისპორტი.
22:45 გოლფ-კლუბი.
22:50 აფროსნობა. იახტ-კლუბი.
22:55 აფროსნობა. მსოფლიო სარბოლო ტური. ბერმუდის კუნძულების ოქროს თასი.
23:25 მულტისპორტი.
23:30 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. უკრაინა-საფრანგეთი (LIVE).
01:30 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
02:30 მინი-ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. იტალია-ჩეხეთი. პორტუგალია.
03:30 მინი-ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. პორტუგალია-რუმინეთი. პორტუგალია.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
13:00 კალათბურთი. ULEB-ის თასი. რეგულარული სეზონი. III ტური. ჰაპოელი (ი, ისრაელი)-ყაზანი (რუსეთი).
14:00 კალათბურთი. ULEB-ის თასი. რეგულარული სეზონი. III ტური. დინამო (რუსეთი)-ცრვენა ზვეზდა (სერბეთი).
15:00 ახალი ამბები.
17:00 კალათბურთი. ULEB-ის თასი. რეგულარული სეზონი. III ტური. დინამო (რუსეთი)-ცრვენა ზვეზდა (სერბეთი).
18:00 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. მალი-ალჟირი.
19:15 მინი-ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. უკრაინა-სერბეთი. პორტუგალია.
20:45 ახალი ამბები.
21:15 მინი-ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. პორტუგალია-რუმინეთი. პორტუგალია (LIVE).
22:45 ახალი ამბები.
23:00 ევროსპორტის ჩემპიონები. ტიერი ანრი.
23:30 მულტისპორტი.
00:00 პული. ევროპის ტური. შვეიცარია.
01:00 რესტლინგი.
02:00 ახალი ამბები.
02:15 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. სენეგალი-მაროკო.
04:00 ახალი ამბები.

# ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ევრო 2009**

**UNDER 21**

| | |
|---|---|
| ლიხტენშტაინი-სომხეთი | 1:4 |
| ირლანდია-ბულგარეთი | 1:0 |
| პორტუგალია-ინგლისი | 1:1 |
| ნორვეგია-ესტონეთი | 2:0 |
| დანია-სლოვენია | 1:0 |
| კვიპროსი-ავსტრია | 1:2 |
| ბელგია-ისლანდია | 1:2 |
| ბელარუსი-სერბეთი | 1:1 |
| ლუქსემბურგი-გერმანია | 0:7 |
| ჩრ. ირლანდია-მოლდოვა | 3:0 |
| მალტა-ბოსნია | 2:1 |
| უელსი-საფრანგეთი | 4:2 |

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| ს. აფრიკა-კანადა | 2:0 |
| ალჟირი-მალი | 3:2 |
| ანგოლა-გვინეა | 0:3 |
| შვეიცარია-ნიგერია | 0:1 |

**ინგლისის თასი**

| | |
|---|---|
| ბორნმუთი-ბაროუ | 3:2 დ.დ (2:2) |
| ბრაიტონი-ჩელტენემი | 2:1 |
| გრიმსბი-კარლაილი | 1:0 |
| ლიდსი-ჰერეფორდი | 0:1 |
| ნორთჰემპტონი-დარლინგტონი | 2:1 |
| როტერჰემი-ფორესტ გრინი | 0:3 |

**ინგლისი**

**კონფერენცია**

| | |
|---|---|
| ფარსლი-ალტრინჩემი | 1:1 |

**ირლანდია**

**პლეიოფი**

| | |
|---|---|
| ფინ ჰარპსი-უოტერფორდი | 3:0 |

**პოლონეთი**

**ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| რუხი-ლკს | 2:2 |

**სლოვაკეთის თასი**

| | |
|---|---|
| ტრნავა-პრეშოვი | 0:0 |

**კალათბურთი**

**ULEB-ის თასი**

| | |
|---|---|
| ხიმკი-სკაილაინერსი | 81:69 |
| ტუროვი-სტრასბური | 66:42 |
| შიაულაი-ბოსნა | 85:76 |
| ჟელეზნიკი-ბეშიქთაში | 77:78 |
| კალევი-გრან კანარია | 67:80 |
| ნიმბურკი-პანელინიოსი | 76:65 |
| პანიონიოსი-ვილერბანი | 91:98 |
| დინამო-ცრ. ზვეზდა | 97:76 |
| ჰაპოელი (გ)-ანტვერპენი | 93:83 |
| ჰაპოელი (თ)-უნიქსი | 107:68 |
| ვენტსპილსი-კიოლნი | 88:73 |
| კიევი-პო ორტეზი | 91:55 |
| გალათასარაი-შარლერუა | 75:83 |
| ალბა-გილდფორდი | 81:63 |
| გმუნდენი-ლიბერტასი | 53:83 |
| შლიონსკი-ლუდვიგსბურგი | 107:93 |
| ფრიბურგი-ბუდუჩნოსტი | 73:82 |
| ერტლანდი-ასკ რიგა | 73:71 |
| ნანსი-აზოვმაში | 80:57 |
| ეიფელ ტაუერსი-ზადარი | 93:83 |
| ბენეტონი-ლუკოილი | 89:82 |
| ვალენსია-ანვილი | 78:58 |
| კლიმამიო-ოსტენდე | 76:89 |
| ხირონა-პანზევასტი | 96:63 |
| ხუვენტუდი-ბელეკომი | 102:83 |
| ოვარენსე-შალონი | 86:99 |

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| ჰავრი-ვიში | 67:69 |

**ჰოკეი**

**რუსეთი**

| | |
|---|---|
| მეტალურგი (მ)-სიბირი | 2:3 |
| ტრაქტორი-მეტალურგი (ნ) | 8:0 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| აუგსბურგი-აისბარენი | 5:1 |
| ვოლფსბურგი-იზერლონი | 3:5 |
| ინგოლშტადტი-დიუსელდორფი | 2:6 |
| კიოლნი-შტრაუბინგი | 11:4 |
| კრეფელდი-დუისბურგი | 4:2 |
| მანჰაიმი-ნიურნბერგი | 4:1 |
| ფრანკფურტი-ჰანოვერი | 4:3 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| ჟილინა-კეჟმაროკი | 1:2 |
| მიქულაში-მარტინი | 1:2 |
| ნიტრა-ტრენჩინი | 3:4 დ.დ (3:3) |
| პოპრადი-ზვოლენი | 4:1 |
| სლოვანი-კოშიცე | 3:4 დ.დ (3:3) |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| ილვესი-ჰიფკ | 5:4 პენ. (4:4) |
| კერპეტ-ტპს | 5:2 |
| კიეკო-ტაპარა | 4:3 |
| ლუკო-კაიპა | 2:3 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| სლოვანი-ტრშინეცი | 3:2 დ.დ (2:2) |
| კლადნო-ლიტვინოვი | 5:3 |
| პლზენი-ზლინი | 6:2 |
| ბუდეიოვიცე-ზნოიმო | 3:0 |
| სპარტა-კარლოვი ვარი | 1:2 პენ. (1:1) |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| ამბრი-ციურიხი | 2:3 პენ. (2:2) |
| ბაზელი-ლუგანო | 3:5 |
| დავოსი-ბერნი | 0:4 |
| ჟენევა-ფრიბურგი | 3:2 პენ (2:2) |
| ლანგნაუ-რაპერსვილი | 5:2 |
| ცუგი-კლოტენი | 5:2 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| ლულეა-ლინჩოპინგი | 2:2 |
| ტიმრა-მოდო | 2:1 |
| ფრიოლუნდა-სკელეფტეო | 4:1 |

NBA ტორონტო რეპტორზი

# ევროირემონტი კანადაში

როცა 2006 წლის 28 თებერვალს, „ტორონტო რეპტორზმა" ახალ გენერალურ მენეჯერთან, **ბრაიან კოლანჯელოსთან** გააფორმა კონტრაქტი, ცხადი გახდა, რომ ტორონტოში ახალი საკალათბურთო ერა იწყებოდა. „ფინიქს სანზში" მუშაობისას, კოლანჯელო 2004-05 წლების სეზონის საუკეთესო მენეჯერად აღიარეს, მომდევნო წელს კი, იგივე ტიტული იმის გამო ვერ მოიპოვა, რომ შუა სეზონისას დათანხმდა კანადელთა წინადადებას. 2005-06 წლების რეგულარული ჩემპიონატის დარჩენილი ნაწილი, მან „რეპტორზის" შესწავლას მოანდომა. და როგორც კი, პლეიოფი დაიწყო, სადაც „ტორონტო" ზედიზედ მეოთხედ ვერ მოხვდა, კოლანჯელომ ხელები დაიკაპიწა და საქმეს შეუდგა.

პირველი მნიშვნელოვანი შენაძენი გახდა **რადოსლავ ნესტეროვიჩი**. „სან ანტონიოში" სლოვენიელი ცენტრი **ტიმ დანკანის** ჩრდილში იყო მოქცეული და ციდან ვარსკვლავებს ვერ წყვეტდა. „ტორონტოში" კი, მან თავისი ძველი ოცნება აისრულა და ნამდვილი „მეხუთე" ნომერი გახდა. შემდეგ, იღბლიან კოლანჯელოს დრაფტის პირველი ნომერი ერგო და მან არჩევანი იტალიელ ვუნდერკინდზე, „ბენეტონის" წევრ **ანდრეა ბარნიანიზე** შეაჩერა.

როგორც აღმოჩნდა, ეს „ევროპული წიალისეულის" ათვისების მხოლოდ პირველი ეტაპი იყო. ნესტეროვიჩს და ბარნიანის მიყვნენ ამერიკელი **ენტონი პარკერი** „მაკაბიდან", ესპანელი **ხორხე გარბახოსა** „უნიკახადან" და კიდევ ერთი სლოვენიელი - „ბენეტონში" ბარნიანის ექს-პარტნიორი **ურომ შლოკარი**. ამავე იტალიურ გუნდში, კოლანჯელომ შესანიშნავი ასისტენტი, **მაურიციო ჯერარდინი** დაიბევა, რომელსაც ამერიკაში NBA-ის ფარგლებს გარეთ მომუშავე საუკეთესო საკალათბურთო მენეჯერად თვლიდნენ. ორი წლის წინ, „ატლანტაც" ცდილობდა ჯერარდინის გაფორმებას, მაგრამ მაშინ მხარეებმა შეთანხმებას ვერ მიაღწიეს. „ტორონტომ" კი, სასურველ მიზანს მიაღწია, რითაც გაინაღდა ევროპული საკალათბურთო ბაზრიდან საუკეთესო „საქონლის" მიღება.

ესპანელი **ხოსე კალდერონისა** და ნიგერიელი **პოუპ სოს** გათვალისწინებით, რომლებიც კანადურ კლუბში ერთი წლით ადრე მივიდნენ, „რეპტორზის" ინტერნაციონალურმა ბრიგადამ შესანიშნავი შვიდეულის სახე მიიღო. ანუ ეს იყო ნახევარი გუნდი (წელს გუნდმა ნიგერიელი გაუშვა, სამაგიეროდ მას არგენტინელი **კარლოს დელფინო** ჩაენაცვლა, რითაც შესანიშნავი შვიდეული შენარჩუნდა).

კოლანჯელომ მთავარი მწვრთნელის, **სემ მიტჩელის** დატოვება გადაწყვიტა. ამის საპასუხოდ, მწვრთნელმა გენერალური მენეჯერის გულის მოსაგებად, სეზონის წინ „ტორონტოსგან" ახალი „ფინიქსის" შექმნა დაიწყო. ვარჯიშებზე ყველანი ძალიან ბევრს დარბოდნენ და თამაშობდნენ ორმხრივ მატჩებს, სადაც შეტევისთვის განკუთვნილი დრო არა 24, არამედ 8 წამი იყო, შემდეგ კი, ის 6 წამამდე (!) შემცირდა. გუნდის წინაშე დასახული იყო ამოცანა, რომ მატჩის დროს მას 100-ჯერ უნდა ესროლა ბურთი.

რა თქმა უნდა, აქედან კარგი არაფერი გამოვიდა. კალათბურთელები წინ და უკან გიჟური სისწრაფით დარბოდნენ, მოუმზადებლად ისროდნენ და უფრო მეტს აცილებდნენ, ვიდრე აგდებდნენ. თანაც, „რეპტორზში" ცხრა ისეთი მოთამაშე იყო, რომლებსაც არ ჰქონდათ NBA-ში თამაშის სერიოზული გამოცდილება. რეგულარულის სტარტიც შესაბამისი გამოვიდა - 2 მოგება საწყის 10 მატჩში.

მიტჩელის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან მალე იპოვნა გამოსავალი. ის მიხვდა, რომ რეაქტიული „ფინიქსის" კოპირებისთვის მხოლოდ სურვილი საკმარისი არ არის. საჭიროა კიდევ **სტივ ნეშის** მსგავსი სუპერგამთამაშებელი, ბევრი მაღალი დონის სნაიპერი და დაყენებული გუნდური თამაში. მატჩში 100 სროლაზე უარი თქვეს, ტემპი მკვეთრად დააგდეს და „ტორონტოს" თამაშის მანერა უფრო ევროპულ სტანდარტებს მიაუხლოვდა. ამ ყველაფერმა მალე მოიტანა შედეგი.

„ყველა ვარსკვლავის მატჩისთვის", რომელიც თებერვალში გაიმართა, „ტორონტოს" 28 მოგება ჰქონდა - უფრო მეტი, ვიდრე მთლიანად წინა სეზონში. გარდა ამისა, იანვარში **კრის ბოში** თვის საუკეთესო მოთამაშე გახდა, ბარნიანი საუკეთესო დებიუტანტი, ხოლო მიტჩელი - საუკეთესო მწვრთნელი. ასეთი სამმაგი წარმატება NBA-ს არ ახსოვს.

კრის ბოშმა „ოლ სტარის" აღმოსავლეთი გუნდის სასტარტო ხუთეულის გამოსავლენად ჩატარებულ გამოკითხვაში მხოლოდ **ლებრონ ჯეიმსთან** წააგო. „ტორონტოს" რეაქტიულმა პლეიმეიკერმა **ტი ჯეი ფორდმა** (კოლანჯელოს კიდევ ერთი წარმატებული ტრეიდი) კარიერაში საუკეთესი სეზონი ჩაატარა. მაგრამ „რეპტორზის" წარმატების მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი მაინც მისი ევროპული „ბრიგადა" გახდა.

კალდერონმა უკვე დამტკიცა, რომ „სან ანტონიოს" ფრანგი ლეგიონერი **ტონი პარკერი** გამონაკლისი არ გახლავთ და ევროპელი გამთამაშებლები NBA-ში კონკურენტუნარიანები არიან. ამერიკელ ექსპერტთა უმეტესობას, კალდერონი საუკეთესო სათადარიგო პლეიმეიკერად მიაჩნიათ და თვლიან, რომ ბევრს გუნდში, ის სასტარტო ხუთეულის წევრი იქნებოდა. სხვათა შორის, როცა ფორდი ტრავმირებული იყო, ესპანელმა ყოველგვარი პრობლემის გარეშე შეცვალა ძირითადი გამთამაშებელი და პარკეტზე თითო მატჩში 40 წუთს ატარებდა. მოედნის ხედვა, სათამაშო რითმის გრძნობა, აზროვნების სისწრაფე - კალდერონის ყველა ეს თვისება NBA-ის მაღალ სტანდარტებს შეესაბამება. მან მხოლოდ საშუალო დისტანციებიდან სროლებზე უნდა იმუშაოს და ახალი ვარსკვლავიც დაიბადება.

თავდაპირველად ნესტეროვიჩის სათამაშო დრო მკვეთრად შემცირებული იყო, რადგან გუნდი სწრაფ ტემპში თამაშს ცდილობდა და სლოვენიელი ვერ ასწრებდა შეტევიდან დაცვაში ჩასვლას და პირიქით. სამაგიეროდ ახლა, ის კრის ბოშს დაცვაში ამოსუნთქვის საშუალებას აძლევს, შეტევაში კი, ხშირად აკვირვებს მეტოქეებს დისტანციდან ზუსტი სროლებით. თუმცა ნესტეროვიჩს ბურთი მაინც იშვიათად მისდის - მას აგრესიულობა არ ჰყოფნის.

ბარნიანი წლის საუკეთესო დებიუტანტის პრიზზე სერიოზულ პრეტენზიას აცხადებდა. თავიდან ის მხოლოდ 7 წუთს თამაშობდა, მაინც და მაინც არ სწყალობდნენ მსაჯები და რაც მთავარია, საკუთარი მწვრთნელი - პატარა შეცდომის გამო, მიტჩელი იტალიელს სათადარიგოთა სკამზე აბრუნებდა. მაგრამ აქ საქმეში კოლანჯელო ჩაერია. მან შეახსენა მიტჩელს, რომ ბარნიანი დრაფტის პირველი ნომერი იყო და ამ ბიჭს სწრაფად უნდა მიელო გამოცდილება. ამის შემდეგ, იტალიელის საშუალო შედეგიანობა 10 ქულას გადასცდა.

დრაფტის წინ, ბარნიანის „ახალ დირკ ნოვიცკის" უწოდებდნენ, რადგან მას ნებისმიერი დისტანციიდან შეუძლია ზუსტი სროლა. კოლანჯელომ იტალიელი სხვაგვარად დაახასიათა - *„რაღაც საშუალო ნოვიცკისა და საბონისს შორის"*. სეზონის მსვლელობისას გამოჩნდა, თუ რა ჰქონდა მხედველობაში გენერალურ მენეჯერს: ბარნიანი ხშირად პარტნიორებს ისეთ გადაცემებს უკეთებს, რომ მაშინვე ლეგენდარული ლიტველი ცენტრი გახსენდება. ბარნიანის ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ ის ხშირად ნაჩქარევ და მოუმზადებელ ტყორცნებს ასრულებს, რაც ბუნებრივია მისი ასაკის (22 წელი) გათვალისწინებით.

კოლანჯელოს ჩანაფიქრით, გარბახოსას კრის ბოშის დუბლიორის როლი უნდა შეესრულებინა. სეზონის დასაწყისში ასეც იყო, მაგრამ მალე სიტუაცია შეიცვალა და ჩემპიონატის დიდი ნაწილი, 207-სანტიმეტრიანმა ესპანელმა სასტარტო ხუთეულში მსუბუქი ფორვარდის (!) პოზიციაზე ითამაშა. და ახერხებდა კიდეც წარმატებით გამკლავებოდა სწრაფ **კარმელო ენტონისა** თუ **რონ არტესტს**. შეტევაში კი, ჩვენ კვლავინდებურად ვხედავთ იმ გარბახოსას, რომელსაც მთელი ევროპა უკვე მრავალი წლის მანძილზე იცნობს - ჭკვიან კალათბურთელს, რომელიც მუდმივად ეძებს თავისუფალ პარტნიორს და რომელსაც მომაკვდინებელი შორეული ტყორცნა აქვს. მისი საყვარელი ფინტი - ტყორცნის იმიტაცია, მოტყუებული მეტოქის გვერდზე ჩაფრენა, შემდეგ ნაბიჯის წინ გადადგმა და სროლა - ასეთი შეტევა „რეპტორზის" საფირმო ნიშანი გახდა.

მოკლედ, ტორონტოში ევრორემონტი წარმატებით მიმდინარეობს. როცა საშინაო მატჩებში „რეპტორზის" ლეგიონერები მოედანზე გამოდიან, მათ გვარებსა და ნომრებს მშობლიურ ენაზე აცხადებენ - ესპანურად, სლოვენიურად, იტალიურად... ეს არა მხოლოდ მაყურებლებისთვის, არამედ კალათბურთელებისთვისაც კეთდება, რათა მათ საკუთარ სახლში იგრძნონ თავი. Air Canada Centre-ის ტრიბუნებზე ჩნდება დროშები, რომლებსაც კანადის დროშასთან არანაირი კავშირი არ აქვს. ხანდახან ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, რომ მოედანზე მსოფლიო ნაკრები თამაშობს. თანაც, „რეპტორზის" ინტერნაციონალიზაცია სავარაუდოდ ჯერ არ დასრულებულა. ჯერარდინი ხშირად დადის ევროპულ მივლინებებში და სავსებით სავარაუდოა, რომ კანადელ მსაჯ-ინფორმატორს კიდევ ერთი ახალი ენის შესწავლა მოუწიოს.




კარლოს დელფინო, ხოსე კალდერონი და ხორხე გარბახოსა

## ხორხე გარბახოსა აქ ყველანი მეგობრები ვართ

**- დროის უკან დაბრუნება რომ შეგეძლოთ, რას შეცვლიდით NBA-ში თქვენი კარიერის პირველი თვეებში?**

- არაფერს. როცა ოკეანის გაღმა გამგზავრება გადავწყვიტე, ვიცოდი, რომ აქაურობასთან შეგუება იოლი არ იქნებოდა და ბევრი რამ უნდა შემეცვალა. ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო იმის დამტკიცება, რომ ასეთ მაღალ დონეზეც შემიძლია თამაში. კვლავინდებურად ბევრი რამ ისევ არ გამომდის, მაგრამ ვფიქრობ, მთავარს მივაღწიე: მოვიპოვე მწვრთნელებისა და პარტნიორების ნდობა.

**- რა იყო ყველაზე რთული ადაპტაციის პერიოდში?**

- განრიგი. ევროპაში 10 თვის მანძილზე 50-55 მატჩს ატარებ, NBA-ში კი, ხუთთვენახევარში რეგულარული ჩემპიონატის 82 შეხვედრა უნდა ითამაშო, შემდეგ კი, დაძაბული პლეი ოფი. ასეთ რამეს რომ გაუძლო, მუდმივად უნდა იზრუნო ფიზიკური ფორმის შენარჩუნებაზე. გარდა ამისა, ერთი წამითაც არ გაქვს მოდუნების უფლება. აქ ხომ ყველა მატჩი - მსოფლიოს საუკეთესო კალათბურთელების პაექრობაა.

**- NBA-ის ბევრი ვარსკვლავის წინააღმდეგ გიწევთ თამაში. თანაც არა მარტო მძიმე, არამედ მსუბუქი ფორვარდების და შემტევი მცველების წინააღმდეგაც. არსებობს ისეთი კალათბურთელი, რომლის შეჩერება შეუძლებელია?**

- ასოციაციაში ძალიან ბევრი ისეთი ბრწყინვალე ოსტატი თამაშობს, რომელთა ერთი ერთზე შეჩერება შეუძლებელია. კევინ გარნეტი, პოლ პირსი, ლებრონ ჯეიმსი... ნებისმიერი მათგანის შესაჩერებლად მთელი გუნდის ძალისხმევაა საჭირო.

**- არსებობს უამრავი წვრილმანი, რაც დაცვაში გეხმარება: ჟესტიკულაცია, ყვირილი, ნაქცევა და ა.შ. ამ მხრივ არსებობს NBA-სა და ევროპას შორის განსხვავება?**

- თითქმის არავითარი. დაცვა - ეს პირველ რიგში არა მსგავსი ტრიუკები, არამედ ბრძოლისუნარიანობა, ნებისყოფა და დაღვრილი ოფლია. თუ მხოლოდ სამსახიობო შესაძლებლობებზე გააკეთებ აქცენტს, წარმატებას ვერ მიაღწევ. მოედანზე სამი მსაჯი იმყოფება და მათ ვერაფერს გამოაპარებ.

**- თქვენ ესპანეთის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი ხართ. „რეპტორზის" გასახდელში რა როლი გეკისრებათ?**

- მე აქ ახალი ვარ და ჯერაც თითქმის ყოველდღე ვაწყდები პრობლემებს. საერთოდ არ მგონია, რომ „ტორონტოში" ბევრი ლიდერი იყოს. კრის ბოში და შესაძლოა, ტი ჯეი ფორდი. სხვა საქმეა, რომ ჩვენ მხოლოდ თანაგუნდელები არ ვართ - მეგობრებიც გახლავართ და ეს ყველას ძალიან გვეხმარება.

**- არსებობს თუ არა „ტორონტოში" ევროპული დაჯგუფება?**

- დიახ (უთითებს მოთამაშეთა კარადებზე, რომლებიც ერთმანეთის მიყოლებით არის ჩამწკრივებული - კალდერონის, ბარნიანის, პარკერის, ნესტეროვიჩისა და გარბახოსასი). ის, რომ ადრე ხოსეს, ენტონისა და რაშოს ვიცნობდი, ამან ოკეანის გაღმა ადაპტაციაში უდიდესი სამსახური გამიწია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაჟელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი
დავით მაისურაძე
(დირექტორის მოადგილე)
გივი ვეშაპიძე
ქეთევან დილბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაძარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 19 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ სპორტთან

სპორტი
გამოდიოდა
2002-06 წლებში

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

ლელოს მთავარი რედაქტორები
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-84)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

მისამართი:
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახალი კონსტიტუცია, პირველი სართული);

ტელეფონი: 46 30 98
46 30 56, 46 32 62
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი)
53 39 11

ფაქსი +995 32 46 30 97

e-mail: sporti@sporti.ge
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა